

ISSN 1512-4169

**მედიცინისა და მენეჯმენტის
თანამედროვე პრობლემები**

ყოველკვარტალური, საერთაშორისო, რეცენზირებადი,
რეფერირებადი
სამეცნიერო შრომათა კრებული

**Modern Issues of Medicine and
Management**

Quarterly, international, refereed, peer-reviewed Collected Scientific
Works

**Современные проблемы медицины и
менеджмента**

Ежеквартальный, Международный, рецензированный,
реферированный сборник научных трудов

თბილისი
№3-4(7-8), 2017

უნივერსიტეტი გეომედი



მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები

ყოველკვარტალური, საერთაშორისო, რეცენზირებადი,
რეფერირებადი სამეცნიერო შრომათა კრებული

Modern Issues of Medicine and Management

Quarterly, international, refereed, peer-reviewed Collected Scientific
Works

Современные проблемы медицины и менеджмента

Ежеквартальный, международный, рецензированный,
реферированный сборник научных трудов

რედაქტორისაგან



ძვირფასო კოლეგებო! შემოთავაზებული სამეცნიერო ნაშრომთა კრებული განკუთვნილია მედიცინის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, დაზღვევის და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემების კვლევითა და შესწავლით.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ავტორთა მიერ წარმოდგენილი შრომები ხელს შეუწყობს ამ დარგთა სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.

მარინა ფირცხალავა,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
უნივერსიტეტ გეომედის რექტორი

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი - პროფესორი მარინა ფირცხალავა
რედაქტორის მოადგილე - პროფესორი თამარ ოქროპირიძე
რედაქტორის მოადგილე - პროფესორი გურამ ამყოლაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი - იოსებ ბოლოკაძე
ლელა აფციაური - პროფესორი
ჯემალ მაგანია - პროფესორი
მერაბ მირცხულავა - პროფესორი
თეიმურაზ თავხელიძე - პროფესორი
ნურეთინ კუნეში - პროფესორი, თურქეთი
მამანტი როგავა - პროფესორი
ლეილა წაქაძე - პროფესორი
ნინო მოწონელიძე - პროფესორი
დავით ჭავჭავანიძე - პროფესორი
რუდიგერ ანდრეზენი - პროფესორი, გერმანია
თეიმურაზ იოსებაძე - პროფესორი
ჯოვანი როვიელო - პროფესორი, იტალია
ლალი ალადაშვილი - პროფესორი
დავით გორდელაძე - პროფესორი
უილიამ ტოსკანო - პროფესორი, აშშ
გურამ ხასია - პროფესორი
რევაზ ლორთქიფანიძე - პროფესორი
რუსუდან ქუთათელაძე - პროფესორი
ანზორ აბრალავა - პროფესორი
ფრანჩესკო მიორინი - პროფესორი, იტალია
არჩილ ცერცვაძე - პროფესორი
მაია ლომსაძე-კუჭავა - პროფესორი
სტეფან ლაპრიჩი - პროფესორი, საფრანგეთი
ნანული დიბრაძე - პროფესორი
ევგენი ზარათაშვილი - პროფესორი
ვახტანგ დათაშვილი - პროფესორი
გივი ვაშალომიძე - პროფესორი, გერმანია

Научно-редакционная коллегия

Главный редактор – Профессор, Марина Фирцхалава

Зам. гл. редактора – Профессор, Тамар Окропиридзе

Зам. гл. редактора – Профессор, Гурам Амколадзе

Ответственный редактор – Иосеб Болокадзе

Лела Афциаури - Профессор

Джемал Дзагания –Профессор

Мераб Мирцхулава –Профессор

Теимураз Тавхелидзе –Профессор

Маманти Рogaва –Профессор

Леила Цакадзе - Профессор

Нино Моцонелидзе - Профессор

Давид Чавчанидзе - Профессор

Давид Горгеладзе - Профессор

Гурам Хасия - Профессор

Реваз Лордкипанидзе - Профессор

Русудан Кутателадзе - Профессор

Анзор Абралава –Профессор

Лали Аладашвили - Профессор

Арчил Церцвадзе - Профессор

Теимураз Иосебадзе - Профессор

Мая Ломсадзе-Кучава - Профессор

Эвгений Бараташвили - Профессор

Вахтанг Даташвили - Профессор

Гиви Вашаломидзе – Профессор, Германия

Джовани Ровиело – Профессор, Италия

Нуретин Кулеш – Профессор, Турция

Виллиам Тоскано – Профессор, США

Франческо Миорини - Профессор, Италия

Стефан Лапричи – Профессор, Франция

Рудигер Андресен - Профессор, Германия

Scientific Editorial Board

Editor-in-Chief Professor Marina Pirtskhalava, Rector of University Geomedi

Managing Editor - Professor Tamar Okropiridze

Managing Editor - Professor Guram Amkoladze

Managing Secretary – Ioseb Bolokadze

Lela Aptsiauri - Professor

Jemal Dzagania – Professor

Merab Mirtskhulava – Professor

Teimuraz Tavkhelidze – Professor

Mamanti Rogava –Professor

Leila Tsakadze – Professor

Nino Motsonelidze - Professor

Davit Gordeladze –Professor

Guram Khasia – Professor

Revaz Lortkipanidze - Professor

Rusudan Kutateladze – Professor

Anzor Abzalava- Professor

Lali Aladashvili – Professor

Archil Tsertsvadze – Professor

Teimuraz Iosebade – Professor

Maia Lomsadze-Kutchava – Professor

Nanuli Ghibradze – Professor

Evgeni Baratashvili – Professor

Vakhtang Datashvili – Professor

David Chavchanidze – Professor

Nuretin Kunesh – Professor, Turkey

William Toscano - Professor, , USA

Rudiger Andrezen - Professor, Germany

Stephan Laprich - Professor, France

Giovani Roviello – Professor, Italy

Francesco Miorini – Professor, Italy

Givi Vashalomidze - Professor, Germany

ISSN 1512-4169

**მედიცინისა და მენეჯმენტის
თანამედროვე პრობლემები**

ყოველკვარტალური, საერთაშორისო, რეცენზირებადი,
რეფერირებადი
სამეცნიერო შრომათა კრებული

**Modern Issues of Medicine and
Management**

Quarterly, international, refereed, peer-reviewed Collected Scientific
Works

**Современные проблемы медицины и
менеджмента**

Ежеквартальный, Международный, рецензированный,
реферированный сборник научных трудов

თბილისი
№4 (8), 2017

სარჩევი

1. მედიცინა	11
მამფორია ე. - ნანომასალები სტომატოლოგიაში.....	12
მარგველაშვილი ვ., გორდაძე ნ., მდივანი მ. - ღრძილის ქსოვილის ჰისტოლოგია ფიბრომატოზული ინგივიტის შემთხვევაში	19
დოლიძე ი. - ადამიანის ჯანმრთელობა ანთროპოკოსმიური მედიცინის პოზიციებიდან	24
2. ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტი	30
ქობლანიძე თ. - ჯანდაცვის სექტორის ხარისხის მართვის თეორიული ასპექტები	31
ლორთქიფანიძე რ. - ჯანდაცვის ეფექტიანი მართვის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ 2017-2020 წლებში და გრძელვადიანი სტრატეგიისთვის	35
3. მენეჯმენტი	46
ლომსაძე-კუჭავა - საინვესტიციო საქმიანობის მართვა და კრიტიკული აზროვნება	47
4. ეკონომიკა	54
ჯაფარიძე დ., გიორგიშვილი ნ., ბიჭიაშვილი ირ. - მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი	55
ამყოლაძე გ., ბაქანიძე დ. - ფარავანი ჰესზე განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრა	71
5. სამართალი	78
აბულაძე თ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემა	79
6. ისტორია	84
ჩიქოვანი პ. - ქართული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა და საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები. ნაწილი I - ცნებები და მათი განსაზღვრება	85

Content

1. Medicine	11
Mampori E. - Наноматериалы в стоматологии	12
Margvelashvili V., Gordadze N., Mdivani M. - Gum tissue histology in case of fibromatous gingivitis	19
Dolidze I. - Health in view of the anthropocosmic medicine	24
2. Healthcare management	30
Koblianidze T. - Theoretical Aspects of healthcare sector quality management	31
Lortkipanidze R. - About Economic Bases of Effective Management of Healthcare for Years 2017-2020 and Long-term Strategy	35
3. Management	46
Lomsadze-Kuchava M. - Investment management activities and critical thinking	47
4. Economic	54
Japaridze D., Giorgishvili N., Bichiashvili Ir. - World energy development trends and medium-term forecast for the production of energy resources in Georgia	55
Amkoladze G. , Bakanidze D. - Determination of efficiency of the performed investment at Paravani hydroelectric power station	71
5. Justice	78
Abuladze T. - Some problems in juvenile jus	79
6. History	84
Chikovani P. - Georgian State National Politics and National Minorities Living in Georgia. Part I - The Concepts and their definitions	85

Содержание

1. Медицина	11
Мампория Э. - Наноматериалы в стоматологии	12
Маргвелашвили Вл., Гордадзе Н., Мдивани М. - Гистология десенной ткани случае фиброматозного гингивита	19
Долидзе И. - Здоровье с позиций антропокосмической медицины	24
2. Менеджмент здравоохранения	30
Коблианидзе Т. - Теоретические аспекты качества управления в секторе здравоохранения	31
Лорткипанидзе Р. - Об экономических основах эффективного управления здравоохранения на 2017-2020 годы и долгосрочную стратегию	35
3. Менеджмент	46
Ломсадзе-Кучава М. - Управление инвестиционной деятельностью и критическое Мышление	47
4. Экономика	54
Джапаридзе Д., Георгишвили Н., Бичиашвили Ир. - Мировые тенденции развития энергетики и среднесрочный прогноз для производств энергоресурсов в Грузии	55
Амколадзе Г., Баканидзе Д. - Определение эффективности осуществленной инвестиции на Паравани ГЭС	71
5. Правосудие	75
Абуладзе Т. - Некоторые проблемы правосудия в отношении Несовершеннолетних	76
6. История	84
Чиковани П. - Грузинская национальная политика и национальные меньшинства, проживающие в Грузии. Часть I - Понятия и их определения	85

მედიცინა

ნანომასალები სტომატოლოგიაში

ე. მამფორია

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, თბილისი

შესავალი

დღეს ნანოტექნოლოგიები საზღვარგარეთ აღიარებულია მეცნიერების ავანგარდად და მათ დიდი ყურადღება ექცევა. ნანოტექნოლოგიებში იგულისხმება შემდეგი: როგორც წესი, 1 ნმ მასშტაბის პროცესების ცოდნა და მართვა, მაგრამ არ გამოირიცხება 100 ნმ-ზე ნაკლები მასშტაბი ერთ ან რამდენიმე განზომილებაში, როდესაც ზომითი ეფექტის (მოვლენის) მოქმედებაში შეყვანა ახლებური გამოყენების შესაძლებლობებს იძლევა; ობიექტებისა და მასალების თვისებების გამოყენება ნანომეტრულ მასშტაბში, რომლებიც განსხვავდება როგორც თავისუფალი ატომებისა და მოლეკულების თვისებებისგან, ასევე ამ ატომებისა და მოლეკულებისგან შედგენილი ნივთიერების მოცულობითი თვისებებიდან, ისეთი, უფრო სრულყოფილი მასალების, ხელსაწყოების, სისტემების შესაქმნელად, რომლებშიც განხორციელდება ამ თვისებების რეალიზაცია.

ძირითადი ნაწილი

ნანოტექნოლოგიის დარგი განისაზღვრება, როგორც მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლირებადი სახით ისეთი ობიექტების შექმნისა და მოდიფიცირების შესაძლებლობას, რომლებიც შეიცავენ, ერთ განზომილებაში მაინც, 100 ნმ-ზე ნაკლები ზომების მქონე კომპონენტებს და, ამის შედეგად, იმევენ პრინციპულად ახალ თვისებებს, რომლებიც, თავის მხრივ, იძლევა უფრო დიდი მასშტაბის, სრულყოფილად მოქმედ სისტემაში მათი ინტეგრაციის საშუალებას.

ნანოტექნოლოგიების პიონერად აღიარებულია ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში, რიჩარდ ფენმანი (1918-1988). მან გადმოსცა ნანოტექნოლოგიების თეორიული წინაპირობები ლექციაზე „ქვემოთ უამრავი ადგილია“, რომელიც წაიკითხა 1959 წელს კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. რიჩარდ ფენმანმა ივარაუდა, რომ შესაძლებელია ცალკეული ატომების მექანიკური გადაადგილება შესაფერისი ზომის მანიპულატორით, ყოველ შემთხვევაში, ასეთი პროცესი არ მოვიდოდა წინააღმდეგობაში ფიზიკის დღეისათვის ცნობილ კანონებთან.

ნანომასალები აქტიურად ინერგება სტომატოლოგიის სხვადასხვა დარგების კლინიკურ პრაქტიკაში. მრავალი კლინიცისტი და მეცნიერი წინასწარმეტყველებდა, რომ ნანომასალებს, ტრადიციულ მასალებთან შედარებით, ექნებოდათ საგრძნობლად გაუმჯობესებული თვისებები კბილებისა და კბილთა რიგების დეფექტების რესტავრაციისთვის: გაზრდილი მექანიკური სიმტკიცე, სტაბილური ფერი, ცვეთისადმი, ზზინვის დაკარგვისადმი მდგრადობა. სარესტავრაციო ნანომასალების შედარებითი ეფექტურობის საკითხის შესასწავლად ექიმებმა ჩაატარეს სამეცნიერო კვლევების ავტომატური ძიება მონაცემთა ბაზაში კლასებისა და კონკრეტული მასალების

სახელწოდებების მიხედვით და მექანიკური ძიება რამდენიმე უცხოურ სტომატოლოგიურ ჟურნალში.

გამოყენება ორთოპედიულ სტომატოლოგიაში

საფრეზავი კერამერი

ამ კლასის მასალების ერთადერთი წარმომადგენელი, ჯერჯერობით, არის Lava Ultimate. ეს არის ბლოკი CAD/CAM დანადგარისთვის, რომელიც შედგება პოლიმერულ მატრიცაში განაწილებული ცირკონიუმისა და სილიციუმის ნანონაწილაკებისგან. ჩვეულებრივი კერამერებისგან განსხვავებით, რომლებშიც არაორგანული შემავსებელი მთლიანი წონის 50%-ზე ნაკლებია, Lava Ultimate შემცველობაში მთლიანი წონის 80% უჭირავს არაორგანულ ფაზას (ცირკონიუმისა და სილიციუმის ნანონაწილაკებს) და დაახლოებით 20% – ორგანულ პოლიმერულ ფაზას. სილიციუმის ნანონაწილაკების დიამეტრის საშუალო ზომაა 20 ნმ, ცირკონიუმის ნანონაწილაკების – 4-დან 11 ნმ-მდე. ეს ნაწილაკები დამუშავებულია სილანით, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიურ ბმას პოლიმერულ მატრიცასთან. ნაწილაკები მატრიცაში ნაწილდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ნანოკლასტერების სახით. მასალის ელასტიურობის მოდულია 12,8 გპა. Lava Ultimate-ს მიაკუთვნებენ პოლიმერული ნანოკერამიკის კლასს (Resin Nanoceramic, RNC).

მეცნიერებმა ასევე შეისწავლეს სამი სარესტავრაციო მასალის: Vita Enamic-ის, IPS emax-ისა და Lava Ultimate-ს ზედაპირული სიმქისე. დაადგინეს, რომ გაპრიალებულ და მოჭიქულ ზედაპირებს მსგავსი ზედაპირული სიმქისე აქვს. თუმცა, ნიმუშების ხელოვნური „დაბერების“ შემდეგ ყველა ნიმუშის ზედაპირული სიმქისე გაიზარდა, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით. გარდა ამისა, დაადგინეს, რომ Lava Ultimate ყველაზე ნაკლებად ცვეთს ანტაგონისტი კბილის მინანქარს ღეჭვის 600 000 ციკლის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევას აკლია ჩვეულებრივი კომპოზიტები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას რესტავრაციების არაპირდაპირი დამზადებისას. 4 კვირის განმავლობაში სხვადასხვა შემდგომ ხსნარებში (შავ ჩაიში, ყავაში, წითელ ღვინოში) მოთავსებამ აჩვენა, რომ Lava Ultimate-ს ფერის სტაბილურობა უარესია, ვიდრე ჩვეულებრივი კომპოზიტებისა, რომლებიც არაპირდაპირი რესტავრაციებისთვის გამოიყენება.

პლასტმასა მოსახსნელი პროთეზების ბაზისებისთვის

მოსახსნელი პროთეზების ბაზისების დასამზადებლად გამოყენებული მეთილ-მეტაკრილური პლასტმასების მექანიკური თვისებების გასაუმჯობესებლად შემოთავაზებულია მათ შემადგენლობაში ნახშირბადის ნანომილაკების დამატება.

ექიმები – ორთოპედ-სტომატოლოგები სწავლობდნენ Lucitone199 პლასტმასის თვისებებს ნახშირბადის მრავალზრიანი ნანომილაკების სხვადასხვა რაოდენობების დამატების შემდეგ. ნანომილაკები შეჭქონდათ აკრილის მონომერში 0,5, 1 და 2 წონითი პროცენტის გაანგარიშებით, შემდეგ თითოეულ ხსნარს ურევდნენ ულტრაბგერით მიქსერში 20 წუთის განმავლობაში. საკონტროლო ჯგუფი არ შეიცავდა ნანომილაკებს მონომერში. პლასტმასის მოზელა და

პოლიმერიზაცია ხდებოდა გამოსაცდელი შაბლონების სახით, მწარმოებლის ინსტრუქციების შესაბამისად. დადგინდა, რომ პლასტმასა, რომელიც შეიცავდა ნანომილაკებს 0,5%-ისა და 1%-ის ოდენობით, უკეთ უძლებდა ღუნვის სტატიკურ დატვირთვას, მაგრამ ყველა პლასტმასამ, რომელიც ნანომილაკებს შეიცავდა, დადებითი ტესტში დინამიკური დატვირთვისადმი ცუდი მედეგობა აჩვენა. აკრილის პლასტმასში ნანომილაკების დამატებამ გამოიწვია მისი მექანიკური თვისებების გაუარესება. დაქვეითდა დინამიკური დატვირთვისადმი მდგრადობა და, თუმცა სტატიკური დატვირთვისადმი მედეგობა გაიზარდა, მაგრამ მაქსიმალური მნიშვნელობა ნანომილაკების მინიმალური შემცველობისას იყო ნაჩვენები.

ცირკონიუმის ოქსიდი

იაპონური ფირმა Panasonic უშვებს NanoZR დისკებს CAD\CAM დანადგარებისთვის. NanoZR შედგება ცირკონიუმის ტეტრაგონური ოქსიდის ნანონაწილაკების ნარევისგან, რომელიც სტაბილიზებულია ცერიუმის ოქსიდით Ce-TZP (65%), იტრიუმის ოქსიდის ნაცვლად, როგორც ეს არის ტრადიციულ ცირკონიუმის ოქსიდში 3Y-TZP, და ალუმინის ოქსიდის ნანონაწილაკებით (22%). კერამიკულ დისკებად პრესინტერიზაციის წინ კერამიკული ფხვნილი გადის ცივ იზოსტატიკურ დაწნევას.

ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ NanoZR, Lava 3Y-TZP-სგან განსხვავებით, მდგრადია ხელოვნური ჰიდროთერმული დაბერებისადმი და, მიუხედავად იმისა, რომ მასშიც ხდება კრისტალების მონოკლინური ტრანსფორმაცია, ის მაინც უფრო ნაკლებია, ვიდრე იტრიუმით სტაბილიზებულ ჩვეულებრივ ცირკონიუმში.

შესწავლილია NanoZr-ისა და Y-TZP-ის მექანიკური თვისებები. აღმოჩნდა, რომ NanoZr-ს სარწმუნოდ მაღალი აქვს ტეხვის საწინააღმდეგო მდგრადობა. ამ მასალებს თერმული გაფართოების მსგავსი კოეფიციენტები აქვთ, მაგრამ NanoZr-ს მნიშვნელოვნად უარესი აქვს მოსაპირკეთებელ კერამიკასთან შეჭიდულობა.

გამოკვლეულია NanoZr-ისა და Y-TZP-ის მოსაპირკეთებელ კერამიკასთან შეერთების მდგრადობა. დადგინდა, რომ მოსაპირკეთებელ კერამიკის სხვადასხვა მარკებთან NanoZr-ს ძვრაზე სიმტკიცის ზღვარი მნიშვნელოვნად განსხვავებულია. საუკეთესო შედეგები აჩვენა VITA VM 9-მ, Cerabien ZR-მა და Vintage ZR-მა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ აბრაზიული დამუშავება არ ახდენს გავლენას NanoZr-ის მოსაპირკეთებელ კერამიკასთან შეერთების მდგრადობაზე, ხოლო ლაინერის დატანა, კიდევაც აქვეითებს მას. Y-TZP-ის მოსაპირკეთებელ კერამიკასთან შეერთება მცირედით, მაგრამ შესამჩნევად უფრო ძლიერია NanoZr-თან შედარებით.

მეცნიერები ასევე სწავლობდნენ სხვადასხვაგვარად დამუშავებული ზედაპირის მქონე NanoZr-ის და Y-TZP-ის ამტანობას დადებითი ტესტის სტატიკურ და დინამიკურ ტესტებში, ISO 6872-ის შესაბამისად.

აღმოჩნდა, რომ NanoZr ორჯერ უფრო ამტანია, ვიდრე Y-TZP. ავტორებმა დაასკვნეს, რომ შესაძლებელია NanoZr-ს გამოყენება ძვალშიდა იმპლანტატების დასამზადებლად, რადგან მისი სიმტკიცე თითქმის 4-ჯერ აღემატება რეკომენდებულ მნიშვნელობას (ISO 13356 – 320 მპა).

In vitro კვლევებში NanoZr-მ, Y-TZP-თან შედარებით, გამოავლინა უფრო მაღალი მდგრადობა მონოკლინური ჰიდროთერმული ტრანსფორმაციისადმი და მექანიკური დატვირთვისადმი, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ ნანონაწილაკების არსებობის გამო, მას მნიშვნელოვნად უარესი აქვს მოსაპირკეთებელ კერამიკასთან შეჭიდულობა.

მოსაპირკეთებელი მინაკერამიკა

გამოქვეყნებულია იმ ექსპერიმენტული მინაკერამიკის მექანიკური თვისებების in vitro გამოკვლევები, რომელიც ლეიციტების ნანონაწილაკებისგან შედგება, და გამოიყენება მთლიანაკერამიკული კარკასების მოპირკეთებისთვის. დადგენილია, რომ ნანომინაკერამიკა, ჩვეულებრივი მოსაპირკეთებელი კერამიკისგან განსხვავებით (Ceramco-3), ნაკლებად იწვევს ანტაგონისტების მინანქრის ცვეთას. გარდა ამისა, ნანომინაკერამიკამ ღუნვაზე დატვირთვისადმი მაღალი მდგრადობა აჩვენა.

მთლიანაკერამიკული კარკასების მოსაპირკეთებელი ექსპერიმენტული ნანომინაკერამიკის თვისებების კვლევამ გამოავლინა მისი უპირატესობა ჩვეულებრივი მოსაპირკეთებელი კერამიკის წინაშე. თუმცა, ჯერჯერობით არ არის შესწავლილი ნანოკერამიკის კარკასთან შეჭიდულობის ძალა სხვადასხვა სახის დატვირთვის დროს და არ არის კვლევები ნანომინაკერამიკიანი გვირგვინების ხანმედეგობის შესახებ.

დასკვნა

1. თანამედროვე სარესტავრაციო მასალებს, რომლებიც ნანონაწილაკებს შეიცავს, არა აქვს კლინიკური უპირატესობა სტომატოლოგიაში გამოყენებული ტრადიციული მასალების წინაშე.
2. საწყისი სარესტავრაციო მასალის ნანოზომამდე დანამცეცება ან მასში ნანონაწილაკების დამატება არ იწვევს მისი თვისებების გაუმჯობესებას, ზოგჯერ კი პირიქით, აუარესებს მათ.
3. ასევე იქნა დადგენილი, რომ კბილის, ხელსაწყოს ან დასანერგი ობიექტის ზედაპირზე ნანოაფსკის შექმნა ნანოტექნოლოგიების განვითარების პერსპექტიული გზაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Crespi R Cappare P, Gastaldi G, Gherlone EF. «Immediate occlusal loading of full-arch rehabilitations: screw-retained versus cement-retained prosthesis. An 8-year clinical evaluation.»// Int J Oral Maxillofac Implants. 2014 Nov-Dec;29(6).
2. Millen C, Bragger U, Wittneben JG «Influence of prosthesis type and retention mechanism on complications with fixed implant-supported prostheses: a systematic review applying multivariate analyses.» // Int J Oral Maxillofac Implants. 2015 Jan-Feb;30(1):110-24.

3. Sherif S, Susarla SM, Hwang JW, et al. «Clinician- and patient-reported long-term evaluation of screw- and cement-retained implant restorations: a 5-year prospective study.» *Clin Oral Investig.* 2011;15 (6):993-999.
4. Vigolo P, Mutinelli S, Givani A, Stellini E. «Cemented versus screw-retained implant-supported single-tooth crowns: a 10-year randomised controlled trial.» // *Eur J Oral Implantol.* 2012 Winter;5(4):355-64.
5. Wittneben JG, Millen C, Bragger U. «Clinical performance of screw- versus cement-retained fixed implant-supported reconstructions--a systematic review.»//*Int J Oral Maxillofac Implants.* 2014;29 Suppl:84-98.
6. Linkevicius T, Puisys A, Vindasiute E, Linkeviciene L, Apse P. «Does residual cement around implant-supported restorations cause peri-implant disease? A retrospective case analysis.» // *Clin Oral Implants Res.* 2013 Nov;24(11):1179-84.
7. Pineyro A, Ganeles J. «Custom abutments alone will not eliminate the clinical effects of poor cementation techniques around dental implants.» // *J Compend Contin Educ Dent.* 2014 Oct;35(9):678-80, 682-6.
8. Wadhvani C «Cementation in Dental Implantology.»/ Springer, 2015, 202 ctp.
9. Solow RA «Channel retention for fixed implant superstructures: A clinical report.» // *J Prosthet Dent.* 2015 Sep;114(3):323-7.
10. <http://www.rodomedical.com/index.html>
11. Wadhvani C, Pineyro A, Hess T, Zhang H, Chung KH. «Effect of implant abutment modification on the extrusion of excess cement at the crownabutment margin for cement-retained implant restorations», *Int J Oral Maxillofac Implants* 2011;26:1241-6.
12. Wadhvani C, Hess T, Pineyro A, Chung KH. «Effects of abutment and screw access channel modification on dislodgement of cement-retained implant-supported restorations.»., *Int J Prosthodont.* 2013 Jan-Feb;26(1):54-6.
13. Hess TA «A technique to eliminate subgingival cement adhesion to implant abutments by using polytetrafluoroethylene tape.» // *J Prosthet Dent.* 2014 Aug;112(2):365-8.
14. Linkevicius T, Vindasiute E, Puisys A, Peciuliene V. «The influence of margin location on the amount of undetected cement excess after delivery of cement-retained implant restorations.» // *Clin Oral Implants Res.* 2011 Dec;22(12):1379-84.
15. Linkevicius T, Vindasiute E, Puisys A, Linkeviciene L, Maslova N, Puriene A. The influence of the cementation margin position on the amount of undetected cement. A prospective clinical study. *Clin Oral Implants Res.* 2013 Jan;24(1):71-
16. Schweitzer DM, Berg RW, Mancina GO. «A technique for retrieval of cement-retained implant-supported prostheses.» // *J Prosthet Dent.* 2011 Aug;106(2):134-8.
17. Chee WW, Duncan J, Afshar M, Moshaverinia A. « Evaluation of the amount of excess cement around the margins of cement-retained dental implant restorations: the effect of the cement application method.» // *J Prosthet Dent.* 2013 Apr;109(4):216-21.
18. Chaar MS, Att W, Strub JR. « Prosthetic outcome of cement-retained implant-supported fixed dental restorations: a systematic review.»// *J Oral Rehabil.* 2011 Sep;38(9):697-711.
19. ISO 6876:2001. Dental root sealing materials. Geneva, Switzerland: International Organization for Standardization.
20. Pette GA, Ganeles J, Norkin FJ. Radiographic appearance of commonly used cements in implant dentistry. *Int J Periodontics Restorative Dent.* 2013;33(1):61-68.
21. Wadhvani CP, Pineyro AF. Implant cementation: clinical problems and solutions. *Dent Today.* 2012;31(1):56-62.
22. Linkevicius T, Vindasiute E, Puisys A, Linkeviciene L, Svediene O. « Influence of the temperature on the cement disintegration in cement-retained implant restorations.»// *Stomatologija.* 2012;14(4):114-7.
23. Garg P, Pujari M, Prithviraj DR, Khare S. « Retentiveness of various luting agents used with implant-supported prosthesis: an in vitro study.» // *J Oral Implantol.* 2014 Dec;40(6):649-54.
24. Gultekin P, Gultekin BA, Aydin M, Yalcin S. « Cement selection for implant-supported crowns fabricated with different luting space settings.»// *J Prosthodont.* 2013 Feb;22(2):112-9.
25. Pan YH, Lin TM, Liu PR, Ramp L. « The Effect of Luting Agents on Retention of Dental Implant-Supported Prostheses.»// *J Oral Implantol.* 2014
26. Quooss A., Korda? B. «Werkstoffkundliche Untersuchungen an temporaeren Implantatzementen im Vergleich» Dept. of Dental Propaedeutics / Community Dentistry, C27. Korsch M, Walther W. « Peri-Implantitis Associated with Type of Cement: A Retrospective Analysis of Different Types of Cement and Their Clinical Correlation to the Peri-Implant Tissue.»// *Clin Implant Dent Relat Res.* 2014

28. Korsch M, Obst U, Walther W. «Cement-associated peri-implantitis: a retrospective clinical observational study of fixed implant-supported restorations using a methacrylate cement.» // Clin Oral Implants Res. 2014 Jul;25(7):797-802.
29. Nayak AG, Fernandes A, Kulkarni R, Ajantha GS, Lekha K, Nadiger R. «Efficacy of antibacterial sealing gel and O-ring to prevent microleakage at the implant abutment interface: an in vitro study.»// J Oral Implantol. 2014 Feb;40(1):11-4.
30. Canullo L, Micarelli C, Iannello G. «Microscopical and chemical surface characterization of the gingival portion and connection of an internal hexagon abutment before and after different technical stages of preparation.» // Clin Oral Implants Res. 2013 Jun;24(6):606-11
31. Canullo L, Micarelli C, Lembo-Fazio L, Iannello G, Clementini M. «Microscopical and microbiologic characterization of customized titanium abutments after different cleaning procedures.» //Clin Oral Implants Res. 2014 Mar;25(3):328-3enter for Stomatology, Ernst-Moritz-Arndt University of Greifswald, 2011.
32. Canullo L, Penarrocha D, Clementini M, Iannello G, Micarelli C. «Impact of plasma of argon cleaning treatment on implant abutments in patients with a history of periodontal disease and thin biotype: radiographic results at 24-month follow-up of a RCT.»// Clin Oral Implants Res. 2015 Jan;26(1):8-14.
33. Micarelli C, Canullo L, Baldissara P, Clementini M. «Implant abutment screw reverse torque values before and after plasma cleaning.»// Int J Prosthodont. 2013 Jul-Aug;26(4):331-3.

რეგენზია

ეთერ მამფორიას სამეცნიერო ნაშრომზე „ნანომასალები სტომატოლოგიაში“

ეთერ მამფორიას ნაშრომი „ნანომასალები სტომატოლოგიაში“ აქტუალურია და ეს ექვეარეშა მასში დასმული და შესწავლილი პრობლემების გამო. უკანასკნელ ხანს დიდი ინტერესს იჩენს ის პრობლემები, რაზეც საუბარია ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში, კერძოდ, ეძღვნება სტომატოლოგიის აქტუალურ პრობლემას – რომელიც დაკავშირებულია ნანომასალების გამოყენებაზე სტომატოლოგიაში. ეთერ მამფორიას დიდი და შრომატევადი სამუშაო აქვს ჩატარებული. მასალის მოცულობა ადეკვატურია და საკმარისია ნაშრომში დასახული ამოცანების განხორციელებისთვის. ნაშრომიდან იკვეთება, რომ ავტორს გამოყენებული აქვს კვლევის რუტინული მეთოდები, ხოლო შედეგები და დასკვნები სავსებით პასუხობს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. აქედან გამომდინარე, შემიძლია აღვნიშნო, რომ წარმოდგენილი შრომა შესრულებულია დასმული საკითხის პრობლემურობის გათვალისწინებით. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნაშრომს ეძლევა „visa jurnal“ დასაბეჭდად.

სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თ. ოქროპირიძე.

რეზიუმე

ეთერი მამპორია

ნანომასალები სტომატოლოგიაში

სამეცნიერო კვლევების საფუძველზე დადასტურებულია, რომ თანამედროვე სარესტავრაციო მასალებს, რომლებიც ნანონაწილაკებს შეიცავს, არა აქვს კლინიკური უპირატესობა სტომატოლოგიაში გამოყენებული ტრადიციული მასალების წინაშე. ასევე, საწყისი სარესტავრაციო მასალის ნანოზომამდე დანამცეცება ან მასში ნანონაწილაკების დამატება არ იწვევს მისი თვისებების გაუმჯობესებას, ზოგჯერ კი პირიქით, აუარესებს მათ. ასევე იქნა დადგენილი, რომ კბილის, ხელსაწყო ან დასანერგი ობიექტის ზედაპირზე ნანოაფსკის შექმნა ნანოტექნოლოგიების განვითარების პერსპექტიული გზაა.

საკვანძო სიტყვები: პლასტმასა, ნანოლასტერი, პოლიმერული მატრიცა, კომპოზიტი, ნანოკერამიკა.

Comment [s1]:

Резюме

Этери Мампория

Наноматериалы в стоматологии

На основании научных исследований подтверждается, что современные реставрационные материалы, содержащие наночастицы, не обладают клиническими преимуществами перед традиционными материалами, применяющимися в стоматологии. Так же размельчение частиц исходного реставрационного материала до наноразмера или добавление к нему наночастиц не приводит к улучшению его свойств, а иногда даже приводит к их ухудшению. Так же было установлено, что создание нанопленок на поверхности зуба, инструмента или внедряемого объекта – перспективный путь развития нанотехнологий.

Ключевые слова: Пластмасса, наноластер, полимерная матрица, композит, нанокерамика.

Summary

Eteri Mamporia

Nanomaterials in stomatology

On the basis of scientific studies it was confirmed that the modern restorative materials, containing nanoparticles, do not have clinical advantages over traditional materials, used in stomatology. In addition, pulverization of particles of the initial restorative material into nanosized ones, or adding nanoparticles to it does not improve its properties, and sometimes even leads to their worsening. It was also established that the creation of nanofilms on the tooth surface, the instrument or the embedded object – is a promising way of development of nanotechnologies.

Keywords: Plastic, nanolasteri, polymer matrix composite, nanoceramic.

ღრძილის ქსოვილის პისტოლოგია ფიბრომატოზული ინგივიტის შემთხვევაში

ვ. მარგველაშვილი, ნ. გორდაძე, მ. მდივანი

შესავალი

ფიბრომატოზული გინგივიტი, როგორც დამოუკიდებელი ნოზოლოგია, აღწერილი იქნა Byars L.T., Sarnat B.G. მიერ 1944წ. [18]. მსოფლიოს სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ნოზოლოგიის სინონიმები გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: გინგივომატოზი, ღრძილის დიფუზური ფიბრომა, ღრძილთა ელუფანტი, იდიოპათიური ფიბრომატოზი, ღრძილთა ჰიპერპლაზია, ღრძილთა გიგანტიზმი, ღრძილის ჰიპერტროფია. ღრძილთა ფიბრომატოზის ეტიოლოგია ბოლომდე არ არის შესწავლილი [2, 10]. წამყვან ფაქტორებად მოიაზრება მემკვიდრული წინასწარგანწყობა [2, 4, 7, 13, 15, 17, 20], ენდოკრინული დარღვევები, მედიკამენტოზური ინტოქსიკაციის გამოვლინება [9, 12]. კვლევებით დადასტურებულია, რომ ისეთი პრეპარატების მიღება, როგორცაა ფენიტონი და ციკლოსპორინი, შემთხვევათა 30-50% იწვევს ღრძილთა ჰიპერტროფიას. შემთხვევათა 20-40% ნიფედიპინის, ფელდინის, ამლოდიპინის, ასევე ესტროგენული პრეპარატების (პერორალური კონტრაცეპტივების) ხანგრძლივი მოხმარების ან პერედოზირება ქმნის ფიბრომატოზული გინგივიტის კლინიკას.

ამოცანის დასმა

მკვლევარები თვლიან, რომ ღრძილთა ჰიპერტროფია განპირობებულია კალციუმის ცვლის დარღვევებით, კერძოდ, ღრძილის ქსოვილის ფიბრობლასტების მემბრანიდან კალციუმის გამოდგენის შედეგად ირღვევა უჯრედულ ელემენტთა პომეოსტაზი, აქტიურდება კოლაგენების პროდუცირება და ადგილობრივი ქსოვილების იმუნიტეტი ქვეითდება [9]. ღრძილის ქსოვილის ჰიპერტროფიას ხელს უწყობს ასევე ესტროგენების მოქმედების შედეგად პერიფერიული სისხლძარღვების გაძლიერება და ანთების მედიატორების გააქტიურება [1, 2]. კვლევებით დადასტურებულია, რომ ქსოვილების ფიბრომატოზის განვითარების ხელშეწყობი ფაქტორებია ქსოვილთა ანთება და ლეიკოციტარტული ინფლტრაცია. ღრძილების ფიბრომატოზი თავის მხრივ, ქმნის ხელსაყრელ პირობებს პირის ღრუში კბილთა რბილი დანალექების აკუმულაციისათვის, რაც მერადად აღრმავებს პათოლოგიურ ანთებით პროცესებს [16]. ღრძილთა ფიბრომატოზული გადაგვარება შემთხვევათა 50-70%-ში არის ასევე სისხლის სისტემის პათოლოგიების (ლეიკემიის თრომბოციტოპენიის) თანმხლები კლინიკური ნიშანი [25].

გენეტიკური წინასწარგანწყობა გამოვლინდება როგორც აუტოსომურ რეცესიული, ისე დომინანტური დამემკვიდრებით [13, 15, 20]. გარდა ჰიპერპლაზიური ფორმებისა, შემთხვევათა 30% აღინიშნება ღრძილთა რეცესიული გადაგვარების ფორმები [6, 9, 17]. ავადობენ მოზრდილები, ძირითადად ქალები, ასევე ბავშვები დაუნის სინდრომით [19, 20]. შემთხვევათა 90% ღრძილთა ფიბრომატოზი არასინდრომული აუტოსომურ-დომინანტური გამოვლინება დაკავშირებულია 2p21-P222 და 5q13-Q22 გენების სტრუქტურულ ცვლილებასთან [17, 20, 24]. 2005წ. ჩატარებული კვლევებით აღმოჩენილი იქნა გენი SOS1, რომლის მუტაცია იწვევს ღრძილთა ფიბრომატოზს [20]. აღწერილია რიგი გენები – პროტონკოგენები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ცილათა სინთეზს (კოლაგენებს) ინდუქტორებად ფიბრომატოზული შემუშავების ჩამოყალიბებისათვის [1, 3]. მოცემული საკითხები წარმოადგენს ღრძილთა ფიბრომატოზის ეტიოლოგიური ფაქტორების კვლევის ფუნდამენტურ საკითხს. ღრძილთა ფიბრომატოზი კლინიკურად გამოვლინდება როგორც ღრძილის ქსოვილის პათოლოგიური ნაწილის არასანქცირებული წანახარდი და მოიცავს ვესტიბულარულ, სახის, ლოყის, ენისკენა ზედაპირების როგორც ზედა, ასევე ქვედა ყბის მიდამოში [2, 4, 7, 10, 11]. საერთაშორისო კლასიფიკაციებს თუ გადავხედავთ ღრძილთა ფიბრომატოზი მიეკუთვნება საჭმლისმომწელებელი ტრაქტის პათოლოგიებს (MK5-10) (KO6.1); პირისღრუს პათოლოგიათა კლასს (K00-K93), სანერწყვე ჯირკვლების და ყბის ძვალთა

პათოლოგიებს (K00-K14) ქვეკლასს. ნ.ფ. დანილევსკის მიერ მოწოდებულ პაროდონტის დაავადებათა კლასიფიკაციაში (1994წ.) ღრძილთა ფიბრომატოზი განხილულია როგორც კეთილთვისებიანი პაროდონტიზმი. გავრცელების მიხედვით განასხვავებენ ღრძილთა ფიბრომატოზის ლოკალურ, დიფუზურ, ტოტალურ ფორმებს [2, 4, 7, 23]. ლოკალური ფორმის შემთხვევაში ვეგეტაციის წინაზარდები აღწევენ კბილთა ზედაპირებამდე, გამოვლინდება ძირითადად ფრონტალური კბილების მიდამოში, თუ ღრძილთა ფიბრომატოზი მიმდინარეობს შერეული **თანახილვის** დროს, შესაძლოა ვეგეტაციის უბნები ჩაიზარდოს კბილთა შორის ალვეოლარულ ბუდეებში და შეიქმნას ძვალში ფიბროზული გადაგვარების კერები (ოსტეოპოროზის უბნები) (სურ. 1).

დიფუზური ფიბრომატოზის დროს ვითარდება ჰიპერპლაზიის კერები, რომლებიც ერწყმიან ერთმანეთს და ღრძილს ფარავენ როგორც პაპილარულ, ისე მარგინალურ და ალვეოლარულ ნაწილში (სურ. 2). ღრძილთა ფიბრომატოზის ტოტალური **ფორმისთვის** დამახასიათებელია ზედა და ქვედა ყბის ძვლების დეფორმაცია, რბილი ქსოვილების ელექვანტიაზი (elephantiasis gingivae) (სურ. 3).

ღრძილთა ფიბრომატოზის ზუსტი დიაგნოზის დასმა და კლინიკური ფორმების ადეკვატური დიფერენცირება შესაძლებელია კლინიკური და ლაბორატორიული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით. მოცემული კვლევების მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს ღრძილთა ფიბრომატოზის დროს ქსოვილთა ჰისტოლოგიური თავისებურებანი.

მასალა და მეთოდები.

გამოკვლეულ იქნა 38 პაციენტი, 18-დან 55 წლამდე. ყურადღება გაემახვილეთ **ანამდენჯერ მონაწილეობაზე**. აქედან 18 (37,5%) პაციენტს ჰიპერტროფიული ღრძილები აღენიშნებოდათ მექვიდრულად დევის ხაზით. 12 (30%) პაციენტი ღრძილების ჰიპერტროფიას უკავშირებდა მედიკამენტების მიღებას (ნიფედიპინი, ამლოდიპინი), ხოლო 8 (20%) პაციენტი დაავადების განვითარების მიზეზს ვერ ასახელებდა. პათოლოგიური პროცესის გავრცელების მიხედვით 12 პაციენტს დაესვა დიაგნოზი ღრძილთა ფიბრომატოზის ლოკალური ფორმა, 7 პაციენტს – ღრძილთა ფიბრომატოზის დიფუზური ფორმა. ყველა პაციენტისგან იქნა აღებული ბიოლოგიური მასალა ქსოვილთა ანათაღი და მასალა გაიგზავნა ჰისტოლოგიურ კვლევაზე. საკვლევი მასალა ფიქსირებულ იქნა 10% ფორმალინის ბუფერულ ნეიტრალურ ხსნარში. დამზადდა ცვილის ჰისტოლოგიური პრეპარატები შეიღება ეოზინით. შესწავლილი იქნა ელ. მიკროსკოპით და გაკეთდა ფოტოსურათები.

შედეგები:

ჰისტოლოგიური კვლევით მიღებული შედეგები ფორმულირდება შემდეგნაირად – ღრძილთა ლოკალური ფიბრომატოზის შემთხვევაში ადგილი აქვს ეპითელიალურ შესქელებას პარა- და ჰიპერკერატოზული უჯრედები ინფილტრაციის ხარჯზე, გამოხატულია სხვადასხვა ზომის **აკანტოზური** უბნები, რომლებიც სავსეა ჰიპერქრომიზებული დიდიბირთვიანი ან ორბირთვიანი ეპ. უჯრედებით (სურ. 4). პროლიფერაციული სტრომა წარმოდგენილია ფიბრობლასტებით ან მთავრობლასტებით ჩაზრდილი ბოჭკოვან ქსოვილში, ქსოვილი ნაკლებად ვასკულარიზებულია.

დიფუზური ფიბრომატოზის შემთხვევაში გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ეპითელი გათხელებულია, გამოხატული აკანტოზით და პარაკერატოზით (სურ. 5, 6, 7) იკვეთება ბოჭკოვანი სუბსტანცია მსხვილი ლიმფოციტარული და ჰიპერქრომულ ბირთვიანი და პერინუკლეარულ ბირთვიანი გრამულომებით. გრანულომები შეიცავენ პლაზმობლასტებს და ეოზინოფილებს, პლაზმურ უჯრედებს.

ღრძილთა ტოტალური ფიბრომატოზისათვის დამახასიათებელია ლეიკოციტარული ინფილტრაცია, ჩხირბირთვიანი გრანულოციტების და ეოზინოფილების განსაზღვრული რაოდენობით (სურ. 8).

დასკვნა:

ღრძილთა დიფუზური და ტოტალური ფიბრომატოზის შემთხვევებისათვის გარდა ფიბრობლასტების მთავრობლასტების პროლიფერაციისა და ბოჭკოვანი სტრუქტურების

შესჯელებისა, აღინიშნება ფორმირებული გრანულომების არსებობა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ B-უჯრედოვანი ტიპის იმუნოლოგიური ანთების არსებობაზე. ტოტალური ფორმის შემთხვევაში შეინიშნება გრანულომათა ჩირქოვანი ინფილტრაცია.




სურ. 1




სურ. 2




სურ. 3




სურ. 4




სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ашрафян Л.А., Киселев В.П. Опухоли репродуктивных органов (этиология и патогенез): пособие для врачей. - М.: Дими-трейд График Групп, 2007. - 210 с.
2. Бернадский Ю.И. Основы челюстно-лицевой хирургии и хирургической стоматологии. 3-е изд. - Витебск: Белмедкнига, 2003. -416 с.
3. Беднарская К.С., Якимова Н.В., Шишкина О.И. Этиопатогенетические особенности возникновения гиперпластических процессов эндометрия. - Успехи современного естествознания. - 2007; 1: 50.
4. Беляков Ю.А. Наследственные заболевания и синдромы в стоматологической практике. - М.: Ортодент-Инфо, 2000. - 294 с.
5. Биберман Я.М. Диффузный фиброматоз десен. - Стоматология. - 1959; 6: 54-7.
6. Боровский Е.В. Терапевтическая стоматология. - М.: Медицина, 2007. - 840 с.
7. Данилевский Н.Ф., Магид Е.А., Мухин Н.А., Миликевич В.Ю. Заболевания пародонта: атлас. - М.: Медицина, 1993. - 320 с.
8. Куцевляк В.Ф., Лахтин Ю.В. Індексна оцінка пародонтального статусу : навч.-метод. посібник. - Суми: Мрія-1, 2002. - 78 с.
9. Максимовский Ю.М., Максимовская Л.Н., Орехова Л.Ю. Терапевтическая стоматология. - М.: Медицина, 2002. - 640 с.
10. Робустова Т.Г. (ред.). Хирургическая стоматология. - М.: Медицина, 1990- 576с.
11. Aneundi R.T., Sudha P., Nayak U.A., Peter J. Idiopathic gingival fibromatosis: a case report. - Hong Kong Dent J. -2006; 3: 53-7.
12. Baxter J.D., Funder J.VV. Hormone receptors. - N Engl J. Med. - 1979; 301 (21): 1149-61.
13. Vakaeen G., Scully C. Hereditary gingival fibromatosis in a family with the Zimmermann-Laband syndrome. - J Oral Pathol Med. - 1991; 20 (9): 457-9.
14. Baxter J.D., Forsham P.H. Tissue effects of glucocorticoids. - Am J Med. - 1972; 53 (5): 573-89.
15. Carranza F.A., Hogan E.L. Gingival enlargement. -Clinical Periodontology. 9th ed. - USA: Saunders, 2002. -P. 279-296.
16. Coletta R.D., Graner E. Hereditary gingival fibromatosis: a systematic review.- J Periodontol. - 2006; 77: 753-64.
17. Gorlin R.J., Pinborg J.J., Cohen M.M. jr. Syndromes of the Head and Neck. 2nd ed. - NY: McGraw Hill, 1976.
18. Goddard W.H., Gross S.D. Case of hypertrophy of the gums. - Dent Regist West. - 1856; 9: 276-82.
19. Hart T.C., Pallos D., Bowden D.W., Bolyard J., Pettenati M.J., Cortelli J.R. Genetic linkage of hereditary gingival fibromatosis to chromosome 2p21. - Am J Hum Genet. -1998; 62 (4): 876-83.
20. Hart T.C., Pallos D., Bozzo L. et al. Evidence of genetic heterogeneity for hereditary gingival fibromatosis. - J Dent Res. - 2000; 79 (10): 1758-64.
21. Hart T.C., Zhang V., Gorry M.C., Hart P.S., Cooper M., Marazita M.L., Marks J.M., Cortelli J.R., Pallos D. A mutation in the SOS1 gene causes hereditary gingival fibromatosis type 1. - Am J Hum Genet. - 2002; 70 (4): 943-54.
22. Tipton D.A., Howell K.J., Dabbous M.K. Increased proliferation, collagen, and fibronectin production by hereditary gingival fibromatosis fibroblasts. - J Periodont. - 1997; 68 (6): 524-30.
23. Nayak P.A., Nayak U.A, Khande V., Nupur N. Idiopathic gingival fibromatosis. - Int J Clin Pediatr Dent. - 2011; 4: 77-81.
24. Tiwana P.S., De Kok IJ., Stoker D.S., Cooper L.F Facial distortion secondary to idiopathic gingival hyperplasia: surgical management and oral reconstruction with endosseous implants. - Oral Surg Oral Med Oral Pathol Oral Radiol Endod. - 2005; 100 (2): 153-7.

რეზიუმე

ვლადიმერ მარგველაშვილი, ნინო გორდაძე, მანანა მდივანი

ღრძილის ქსოვილის ჰისტოლოგია ფიბრომატოზული გინგივიტის შემთხვევაში

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ღრძილების ფიბრომატოზის მქონე 38 პაციენტი 18-დან 55 წლამდე ასაკში. პათოლოგიური პროცესის გავრცელებადობაზე დამოკიდებულებით 12 პაციენტს აღენიშნებოდა დაავადების ლოკალური ფორმა, 9 – დიფუზური, ხოლო 7 – ტოტალური. ქირურგიული ჩარევის შემდეგ პათოლოგიური ქსოვილები შესწავლილ იქნა ჰისტოლოგიურად. მიკროსკოპის ქვეშ. ჰისტოლოგიური პრეპარატების შესწავლისას აღინიშნება ფიბრობლასტების, მთლიანობის პროლიფერაცია და ბოჭკოვანი სუბსტანციების შესქელება. დიფუზური და ტოტალური ფორმების დროს აღინიშნებოდა გრანულომის წარმოქმნა, პლაზმოციტებისა და პლაზმოციტების დიდი ოდენობით, ხოლო ღრძილების ელექტანტიანობის შეინიშნება აბსცესირება. ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ბ-უჯრედოვანი ტიპის იმუნოლოგიურ ანთეზაზე ღრძილების ფიბრომატოზისას.

საკვანძო სიტყვები: ღრძილების ფიბრომატოზი, ჰისტოლოგია, პლაზმოციტები, პლაზმოციტები, პარაკერატოზი.

Резюме

Владимир Маргвелашвили, Нино Гордадзе, Манана Мдивани

Гистология десенной ткани в случае фиброматозного гингивита

Наблюдали 38 пациенток с фиброматозом десен в возрасте от 18 до 55 лет. В зависимости от распространенности патологического процесса у 12 пациенток выделили локализованную форму, у 9 – диффузную, а у 7 – тотальную. После проведения хирургического вмешательства патологические ткани подвергались гистологическому исследованию под микроскопом. При изучении гистологических препаратов наблюдается пролиферация фибробластов, миофибробластов и увеличение волокнистых субстанций. При диффузной и тотальной формах определяется формирование гранулем, с большим количеством плазмобластов и плазмочитов, а при слононости десен отмечается нагноение. Результаты гистологического исследования дают право утверждать о наличии иммунологического воспаления по В-клеточному типу согласно эфферентной фазе при фиброматозе десен.

Ключевые слова: Фиброматоз десен, гистология, плазмочиты, плазмобласты, паракератоз.

Summary

Vladimer Margvelashvili, Nino Gordadze, Manana Mdivani

Gum tissue histology in case of fibromatous gingivitis

38 patients with gingival fibromatosis aged 18 to 55 years have been observed. Depending on the prevalence of pathological process a localized form of gum fibromatosis revealed in 12 patients, in 9 – diffuse, in 7 – total form. All patients performed surgical removal of abnormal growths. Tissue morphology was studied under a microscope. Diffuse and total forms of fibromatosis gingival observed proliferation of fibroblasts, myo-fibroblasts and increased fibrous substances. In diffuse and total-determined histiocytic lymphomas formation of granulomas, with lots of plasmoblasts and plasma followed by addition of festering in total form. The results of morphological studies are entitled to assert the presence of immune inflammation in B-cell type, according efferent phase, the fibromatosis of gums.

Key words: Gingival fibromatosis, histology, plasmocyte, plasma-cytoblasts, keratosis.

ადამიანის ჯანმრთელობა ანთროპოკოსმიური მედიცინის პოზიციებიდან

ი. დოლიძე

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, თბილისი

შესავალი

თანამედროვე ვალეოლოგია (მეცნიერება ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ) ითვლის ჯანმრთელობის 100-ზე მეტ განმარტებას. ტერმინის საბოლოო ვარიანტად კი აღიარებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების დებულება, სადაც ჯანმრთელობა განიხილება, როგორც ადამიანის სულიერი, ფიზიკური და სოციალური კეთილდღეობა.

თანამედროვე სამეცნიერო მსოფლმხედველობის თანახმად, ჯანმრთელად ითვლება ის ადამიანი, რომელიც სამყაროს ინფორმაციულ ნაკადში (სენსორული, ვერბალური და სტრუქტურული ბუნების) რაოდენობრივად და ხარისხობრივად ინარჩუნებს მისთვის აუცილებელი წონასწორობის მდგომარეობას გარე სამყაროსთან ურთიერთზემოქმედების პროცესში.

ადამიანები, რომლებიც აღიზარდნენ მატერიალისტური მსოფლმხედველობით, მწელად იგებენ იმას, რომ, ადამიანი წარმოადგენს კოსმიური გონის (დემერთის) მიერ შექმნილ სულიერ არსებას და, რომ მისი მიწიერი ცხოვრებამუდმივობის რეჟიმში უშუალოდ დაკავშირებულია კოსმიურ გონთან.

ძირითადი ტექსტი

ადამიანი ჯანმრთელად ითვლება მაშინ, როცა მისი სასიცოცხლო, ენერგეტიკული ძალა გამომდინარეობს პიროვნების სულიერებიდან და მოქმედებს კოსმოსური კანონის შესაბამისად. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში ორგანოების ენერგეტიკული ფუნქციური დატვირთვა გაწონასწორებულია მათორის არსებული ურთიერთზემოქმედებით და ქმნიან ოპტიმალურ პირობებს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. იმ სიტუაციებში, როცა ადამიანის ენერგეტიკული სასიცოცხლო ძალა დასუსტებულია ან გაუკუღმართებულია, მისი სულიერების რეალობიდან გამომდინარე - მის ორგანიზმში ჩართვას იწყებს ის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია კოსმოსური კანონის საწინააღმდეგოდ, რაც იწვევს დაზიანებულ არხებში ბიოენერგეტიკული ნაკადების გადანაწილების ბლოკადას და პათოლოგიური პროცესების განვითარებას, რაც აუცილებლად ხდება დაავადების განვითარების მიზეზი.

საერთოდ ცნობილია, რომ, ყველაფერი, რაც არსებობს ადამიანის გარშემო, - უსათუოდ არის დემერთის შემოქმედებითი აზროვნების ანარეკლი. სამყარო მოწყობილია გასაოცარი სიზუსტითა და გონიერებით, რაც მიზანმიმართულად ემორჩილება ბუნების კანონებს, - ამას ადასტურებს კოსმიური გონის არსებობამისი უსაზღვრო და უსასრულო ჭეშმარიტების გამოხატვით.

თანახმად თანამედროვე მსოფლმხედველობისა, ჯანმრთელობა უნდა განვიხილოთ ანთროპოკოსმიური მედიცინის პოზიციიდან, რაც გულისხმობს სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკურ ერთიანობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისთავად წარმოადგენს, ერთის მხრივ- ფიზიკურ სხეულს, მეორეს მხრივ- გონებას, სულს, ანუ ჩვენ ემოციებს, გრძნობებს, უპირატესად კი ქვეცნობიერებას.

როგორც არ უნდაჟღერდეს პარადოქსულად, სამყაროს კანონზომიერებების შემეცნებასულის საიდუმლოების ამოხსნისა, ეს ნაწილობრივად შეძლეს ქართველმა მეცნიერებმა (მ. შადური, გ.ჭიჭინაძე)- მათმა ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ ცოცხალ ორგანიზმებში ტალღები აგებენ საკუთარ იერარქიულ სტრუქტურას (ბიოჰოლოგრამას), რომელიც იზრდება და ვითარდება ისევე, როგორც ხილვადი, შედგენილი სხეულის ფიზიკური ნაწილაკებისაგან. მეცნიერების გამოთქმით ორგანიზმში არსებული ტალღური ორული (ფანტომი) თვისობრივად წარმოადგენს ინტერნეტის ანალოგს: ის წუნდაუდებლად უზრუნველყოფს კავშირს სისტემის ყველა ელემენტს შორის. ეს არის

ყველაზე მთავარი ფუნქციური სისტემა: ის გავლენას ახდენს ყველა ბიოლოგიურ პროცესზე; სიცოცხლის შენარჩუნების თვალსაზრისით, მისი როლი მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ნერვული ან სხვა ნებისმიერი ფუნქციური სისტემა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, თითქოსდა გაჟღერდა წმიდა მაკარი ეგვიპტელის ადრინდელი გამოხატულება: „როგორც ადამიანის სხეულს აქვს სხვადასხვა ორგანო და ყველას ერთად ადამიანი ჰქვია, ასევე, სულსაც აქვს თავისი წახნაგები და ხარისხები: გონება, სინდისი, ნებისყოფა, აზროვნება. ყველაფერი ეს კი ადამიანის შინაგან საყაროს წარმოადგენს.“

თანამედროვე მეცნიერებაში უკვე დადგა დრო, როცა ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიდეთ პრიმიტიული მატერიალისტური წარმოდგენიდან, როცა ვქადაგებთ: „ადამიანი იწყება და მთავრდება ფიზიკური სხეულით“. სინამდვილეში კი ადამიანი ძალზე რთული ინფორმაციულ-ენერგეტიკული სისტემაა. ადამიანის ორგანიზმი იქმნება ტალღური ინფორმაციული სისტემის წყალობით. ეს ინფორმაციული ქსელი, დამუშავებული და სრულყოფილია თვით ბუნების მიერ.

ჰოლოგრაფიული ენა ჩვენი სამყაროსათვის უნივერსალურია: ის იძლევა დირექტივებს ნებისმიერი ცოცხალი და არაცოცხალი სისტემის მოქმედებების შესასრულებლად. ჩვენ, ადამიანებს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კოსმიური გონის მიერ შექმნილი სულიერი არსებები ვართ და საკუთარი მიწიერი ცხოვრება უშუალოდ მუდმივ რეჟიმში უფალთან არის მიჯაჭვული. ამაზე, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მიაწინებდა დიდი ფილოსოფოსი არისტოტელე: “სული სხეულის გამართიანებელი თვისებაა, ის ნებისმიერი სიცოცხლის არსია...” და, ჩვენდა სასიხარულოდ, თანამედროვეობის დიდმა მეცნიერ-აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა თავისი შემოქმედებითი კვლევა-ძიებით დაადასტურა ის, რომ ყველა ადამიანს გააჩნია ჰოლოგრამა (სულის მსგავსი), რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული უდიდეს ინფორმაციულ ჰოლოგრამასთან (ე.ი. ღმერთთან, როგორც მიიჩნევენ ჩვეულებრივი ადამიანები) და აღიარებს - ღმერთი არსებობს. ყველაფერი დეზოქსირიბონუკლეინის მკავშია ჩაწერილი და მათ შორის ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც. მე მჭამს მხოლოდ სულის უკვდავების (რაც კვდება - მატერიალურია).“

ადამიანებისათვის ჯერ კიდევ უცნობია ის, რომ ნებისმიერი სხეულების (კიბო, შაქრიანი დიაბეტი, ვირუსული დაავადებები და ა.შ.) განვითარების საფუძველში სულის დაავადება დევს. ამის გაუთვალისწინებით, დაავადების მხოლოდ მექანიკური მკურნალობა იწვევს კონკრეტული პათოლოგიის გადასვლას სხვა ორგანოებზე და სისტემებზე, ან გადაეცემა ადამიანის ბედისწერას და ფსიქიკას, ან გამოვლინდება მის სხვა ცხოვრებაში, ან გაგრძელებას მოძებნის მის შთამომავლებში.

ჰოლოგრამა (სულის მსგავსი) ყველა ცოცხალი არსების სუბსტანციურ ფორმას წარმოადგენს, მათ შორის თავის ტვინისაც, რაც განაპირობებს გონებრივი მუშაობის ფიზიოლოგიურ პროცესებს. ბიოფიზიკოსებისათვის ცნობილია, რომ უჯრედის გარშემო წარმოიშობა „უძრავი ლეპტონური ტალღები, ანუ კვანტური ჰოლოგრამა), რომელიც იმიორებს სხეულის გეომეტრიასა და სტრუქტურას. თითოეული ჰოლოგრამა შეიცავს სხეულის სრულყოფილ ინფორმაციას და წარმოადგენს მის ინფორმაციულ ორეულს.

კაცობრიობა სიცოცხლის ფენომენის ახსნას მთელი თავისი არსებობის მანძილზე ცდილობდა, მაგრამ მიუხედავად უდიდესი წარმატებებისა ბიომედიცინაში, მრავალი ფუნდამენტური ხასიათის კითხვები უპასუხოდ რჩებოდა. მედიკო-ბიოლოგების დიდმა ნაწილმა დღემდე არ იცის, თუ რა არის სიცოცხლე, რა არის აზროვნების საფუძველი, რით განსხვავდება ცოცხალი არაცოცხალისაგან და ა.შ. თუმცა, 21-ე საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა რეალური შესაძლებლობები ცოცხალი სამყაროს შემეცნებისა და ამას საფუძვლად დაედო ახალი მეცნიერების - ბიოჰოლოგრაფიის შემეცნებითი მიღწევები. მანამდე მეცნიერები შეისწავლიდა მხოლოდ ხელშესახებ ნაწილაკებს და ობიექტებს, ხოლო უყურადღებოდ რჩებოდა ცოცხალი ობიექტის ვირტუალური მხარე - ტალღების სამეფო. ნებისმიერ ჩარევას ფაქიზ ტალღურ სტრუქტურებში შეუძლია გამოიწვიოს ობიექტის მომენტალური ნგრევა და დაშლა.

მეცნიერების დარგებში მატერიალისტურმა მიდგომამ მრავალი აუხსნელი ფაქტი დააგროვა, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია სიცოცხლის წარმოშობისა და სახეობათა წარმოქმნა-განვითარების ევოლუციური თეორიის პოზიციები. დღემდე აუხსნელია შავი ხვრელების ფუნქციური მნიშვნელობა, რითაც სავსეა სამყარო. ისინი კოლოსალური მასის გრიგალს წარმოადგენს, რომლებიც იწოვს ყველაფერს, რაც მათ გზაზე ხვდება. ეს იქნება ვარსკვლავები, თუ სინათლე. შეუსწავლელია აგრეთვე შავი ენერგიები (ანტიგრავიტაციული ენერგიები), დაუდგენელია კოსმოსური ვაკუუმის აგებულება და შემადგენლობა. ეს ყოველივე, დედამიწისა და მთვარისაგან განსხვავებით შედგება არა მოლეკულებისაგან, ატომებისაგან, ელექტრონებისაგან, პოზიტრონებისა და კვარკებისაგან, არამედ სრულიად სხვა, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ელემენტალური ნაწილებისაგან. მეცნიერებმა შეძლო შეესწავლა სამყაროს აგებულების მხოლოდ 3-5 %.

სამედიცინო აზროვნების თვალთახედვით მეტად დამაფიქრებლად გამოიყურება პროფესორ ო. ხარძიეშვილის (პათანატომი) გამონათქვამი იმის შესახებ, რომ პათანატომია დღევანდელი გამოსახედიდან მორფოლოგიური მეცნიერებიდან გადაიქცა პათოლოგიური მოვლენების არსის შემსწავლელ მეცნიერებად. არსი კი არამარტო მატერიალურს ნიშნავს, მისი დისკრეტული ფორმების ელექტრომაგნიტური რხევების ანუ ქვანტების ჩათვლით, არამედ მატერიალურისა და იდეალურის ერთიანობას, ერთი სიტყვით - იმას, რასაც არსებობის უფლება გააჩნია.

ადამიანი ჯანმრთელად ითვლება მაშინ, როცა მისი სასიცოცხლო ენერგეტიკული ძალა თვით ადამიანის სულიერებიდან გამომდინარეობს და კოსმოსური კანონის შესაბამისად მოქმედებს. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში ენერგიის ფუნქციური დატვირთვა გაწონასწორებულია და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ქმნის ოპტიმალურ პირობებს. ჯანმრთელობის ხარისხის იმ მდგომარეობაში, როცა ადამიანის სასიცოცხლო ენერგეტიკული ძალა, სულიერი რეალობიდან გამომდინარე დაქვეითებული და დამახინჯებულია, ორგანიზმში ჩართვას იწყებს კოსმოსური კანონის მიმართ საპირისპიროდ მიმართული მექანიზმები, რაც დაზიანებულ არხებში იწვევს ბიოენერგეტიკული ნაკადების ბლოკირებას და პათოლოგიური პროცესების წარმოშობას, რაც დაავადების განვითარებისათვის აუცილებელი მიზეზი ხდება.

ანთროპოკოსმიური მედიცინის მეთოდოლოგიური მსოფლმხედველობა უნდა დაეყრდნოს დღემდე დავიწყებული აზროვნების პრაქტიკაში დამკვიდრებას, კერძოდ, სულისა და ფიზიკური სხეულის ერთიანობას ადამიანის ნორმალური ცხოველმოქმედების წარმართვაში. საინტერესო ისტორიულ ფაქტად რჩება ის, რომ წარსულში ფილოსოფია, რელიგია და მედიცინა ერთმთლიანობის სიბრტყეში განიხილებოდა. ერთი ადამიანი-ექიმი, თავის თავში ყველა ამ ცოდნას აერთიანებდა და ის კარგადაც მკურნალობდა. ამას ჰიპოკრატეს სიტყვებიც ადასტურებს „, ფილოსოფოსი-მედიკოსი ღმერთის სადარია ... დღეს კი, რა ხდება: ექიმი აკეთებს ოპერაციებს, ინიექციებს, ნიშნავს მედიკამენტებს, ასრულებს სხვადასვა ინსტრუქციებს და დაკავებულია მხოლოდ ადამიანის ფიზიკური სხეულის პრობლემებით; მედიცინა კი სულ უფრო და უფრო სცილდება თავის მთავარ დანიშნულებას - უმკურნალოს ადამიანს, რადგან ის, პირველ რიგში სულის მატარებელია და სამყაროს ენერგეტიკული ველის შემადგენელი ნაწილი. ამ პრობლემის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ანთროპოკოსმიური მედიცინის ინტეგრირებული ცოდნის მიზანმიმართული შესაძლებლობების გამოყენებით, რაც დაფუძნებული უნდა იყოს ვალეოლოგიის (ჯანმრთელობის მეცნიერების) მეთოდოლოგიურ კრიტერიუმებზე, სადაც წამყვანი როლი უნდა ეკუთვნოდეს ორგანიზმის ბიოჰოლოგრაფიულ კვლევას. კვლევის ამ მეცნიერულმა მიმართულებამ საფუძლიანად დაამტკიცა, რომ სიცოცხლე წარმოუდგენელია ორგანიზმის ტალღური სტრუქტურის ფუნქციონირების გარეშე და რომ სიკვდილის მომენტში ტალღური ფანტომი მთლიანად ქრება, გამოსხივდება. ხოლო ნარკოზის დროს ის გადადის უფრო დაბალ ენერგეტიკულ დონეზე.

სპორტსმენებში ჯანმრთელობის ხარისხის დადგენის მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ ანთროპოკოსმიური მედიცინის ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდი-ბეოტომოგრაფია, რომელიც

დაფუძნებულია აირგანმუხტვითი ვიზუალიზაციის კამერის ტექნიკურ შესაძლებლობებზე; მასში ჩვენ ვარეგისტრირებდით ინდუციების (მადალსიხშირიან ელექტრომაგნიტურ ველში) ემისიას სპორტსმენების ხელის თითებში.

ბეოტომოგრაფიამ გამოავლინა თავისუფალი ენერჯის დისბალანსი, ორგანოების სტრუქტურული დარღვევები და ფუნქციური შესაძლებლობების დაქვეითება; კერძოდ, სპორტსმენების უმეტესობას აღენიშნა ქრონიკული დალილობის სიმპტომები, გაწვრთნილობის სხვადასხვა დონე, მიკრობული ინფიციების ნიშნები და ა.შ.

დასკვნა

ბეოტომოგრაფია წარმოადგენს ანთროპოკოსმიური მედიცინის ინოვაციურ მეთოდს, საკმარისი სარწმუნოებით გამოავლინა სპორტსმენებში მათი „ჯანმრთელობის ხარისხი“ და ფუნქციური რგოლის სისუსტეები, რამაც ჩვენ მოგვცა საკმარისი ინფორმაცია დარღვეული ფუნქციების აღსადგენად. ბეოტომოგრაფიის მეთოდი მისი დიაგნოსტიკური შესაძლებლობებით შეიძლება მივაკუთვნოთ ვალეომეტრიული კვლევის ბიოპოლოგრაფიულ მეთოდს, რომლის გამოყენება ექვემდებარება მეცნიერული აზროვნების ჰოლისტიკურ პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დოლიძე ი. (თანავტორები: კორძია დ., ბახუტაშვილი ვ., ჭუმბურიძე ვ.). ტრადიციული მედიცინა: რეალობა და საერთო ტენდენცია. საერთაშორისო თათბირი-სემინარი „ინტეგრაციული მედიცინა და ავადმყოფთა პალიატიური მოვლა“, 2000, თბილისი, 3-7. Доллидзе И. Д., Гиоргбиანი Л. Е., Джanelidze Г. Г. Метод газоразрядной визуализации в практике спортивной медицины. Georgian Engineering News, Tbilisi 2005, 3, 206-2009.
2. დოლიძე ი., ჯანელიძე გ., ტულუში მ., ხომასურიძე კ. ვალეომეტრიული ბიოპოლოგრაფიის მეთოდოლოგიის გამოყენების პერსპექტივები სპორტულ მედიცინაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2005, 8, 217-220.
 1. Dolidze I.D., Kakhbrishvili I., Janelidze G. Valeometrik Approach To Determining Psychophysical Fitness of Wrestlers, 4-th International Baltic Congress on Sport Medicine, 2005, Riga, Latvia, p. 20.
 2. დოლიძე ი. სიცოცხლის ფენომენის საიდუმლოება ახალი აღმოჩენის შუქზე, „ფენომენი“, 2004, 10, 32, 28-31.
 3. დოლიძე ი. დედამიწაზე სულის გაორმაგების კოსმოსურსაიდუმლოება, „ფენომენი“, 2004, 5, 14;
 4. დოლიძე ი. რაზია ადამიანის კოსმიური პათანატომიის საიდუმლოს არსი? „ფენომენი“, 2004, 9, 28-32;
 5. დოლიძე ი. (თანავტორი ხვედელიძე მ.). სარწმუნოებიდან რელიგიამდე, რელიგიიდან მეცნიერებამდე და მათ ერთიანობამდე, პირველი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, „მეცნიერება და რელიგია“, 2005, თბილისი, 289-301;
 6. Шадური М. И., Чичинадзе Г. К. Работа с программно - аппаратным комплексом „ГРВ -камера „ по методике М. Шадური (БЭО - томография), Вестник Северо - Западного отделения медико технических наук Р. Ф. под ред. К. Г. Короткова – СПб: Агентство, РДК – принит“, 2001, 119-137;
 7. ფრანგიშვილი ი. მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის სისტემური ურთიერთობანი, პირველი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, „მეცნიერება და რელიგია“, 2005, თბილისი, 42-52.
 8. Доллидзе И. Д., Шадური М. И., Джanelidze Г. С. Об оценке психофизического состояния спортсменов методом БЭО – томографии, Материалы Международной конференции „Медицинская реабилитация и райттерапия“, 2006, Тбилиси, Грузия, 77 – 80.

9. Дolidze И. Д., Шадури М. И., Джanelidze Г. Г. О перспективах применения БЭО - томографии в спортивной медицине, Материалы VII Международной конференции „Перспективы развития физической культуры в современном обществе“, 2006, Молдова, Кишинев, 357 – 359.
10. Dolidze I. D. Effectiveness Of Beotomography in Psychophysical Tranig Diagnostics, Batumi, Spring. 2010. International Conference Exhibition (May 7-9), 26.

რეზიუმე

იგორი დოლიძე

ადამიანის ჯანმრთელობა ანთროპოკოსმიური მედიცინის პოზიციებიდან

თანამედროვე ვალეოლოგია (მეცნიერება ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ) ითვლის ჯანმრთელობის 100-ზე მეტ განმარტებას. ტერმინის საბოლოო ვარიანტად კი აღიარებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების დებულება, სადაც ჯანმრთელობა განიხილება, როგორც ადამიანის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა.

თანამედროვე სამეცნიერო მსოფლმხედველობის თანახმად, ჯანმრთელად ითვლება ის ადამიანი, რომელიც სამყაროს ინფორმაციულ ნაკადში (სენსორული, ვერბალური და სტრუქტურული ბუნების) რაოდენობრივად და ხარისხობრივად ინარჩუნებს მისთვის აუცილებელი წონასწორობის მდგომარეობას გარე სამყაროსთან ურთიერთზემოქმედების პროცესში.

ცნობილია ისიც, რომ ადამიანები, რომელიც აღიზარდა მატერიალისტური მსოფლმხედველობით, ძნელად იგებენ იმას, რომ, ადამიანი წარმოადგენს კოსმიური გონის (დემურთის) მიერ შექმნილ სულიერ არსებას და, რომ მისი მიწიერი ცხოვრება მუდმივობის რეჟიმში უშუალოდ დაკავშირებულია კოსმიურ გონთან.

ადამიანი ჯანმრთელია მაშინ, როცა მისი სასიცოცხლო, ენერგეტიკული ძალა გამომდინარეობს პიროვნების სულიერებიდან და მოქმედებს კოსმოსური კანონის შესაბამისად. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში არსებული ორგანოების ენერგეტიკული ფუნქციური დატვირთვა ერთმანეთში გაწონასწორებულია და მათი ურთიერთზემოქმედების შედეგად იქმნება ოპტიმალური პირობები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

ბიოტომოგრაფიის მეთოდის აპრობაციამ, რომელიც წარმოადგენს ანთროპოკოსმიური მედიცინის ინოვაციურ მეთოდს, საკმარისი სარწმუნოებით გამოავლინა სპორტსმენებში მათი „ჯანმრთელობის ხარისხი“ და ფუნქციური რგოლის სისუსტეები, რამაც ჩვენ მოგვცა საკმარისი ინფორმაცია დარღვეული ფუნქციების აღსადგენად. ბიოტომოგრაფიის მეთოდი მისი დიაგნოსტიკური შესაძლებლობებით შეიძლება მივაკუთვნოთ ვალეომეტრიული კვლევის ბიოპოლოგრაფიულ მეთოდს, რომლის გამოყენება ექვემდებარება მეცნიერული აზროვნების ჰოლისტიკურ პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: ვალეოლოგია, კოსმიური გონი, ვალეომეტრიული კვლევა, ბიოტომოგრაფია, ბიოპოლოგრაფია, ფანტომი.

Резюме

Игорь Долидзе

Здоровье с позиций антропокосмической медицины

О валеологии (наука о здоровье) имеется более, чем 100 определений; Окончательный вариант приведен в Уставе Всемирной Организации Здравоохранения, где здоровье рассматривается как духовное, физическое и социальное благосостояние.

Согласно современному научному мировоззрению, здоровым считается тот человек, который в информационном потоке (сенсорной вербальной и структурной природы) Мира сохраняет количественно и качественно, необходимое ему равновесие при взаимодействии с внешним Миром. С этой позиции здоровье надо рассматривать, как составную часть антропокосмической медицины, что подразумевает диалектическое единство медицины тела и медицины души. Это означает, что Человек является духовным существом, созданным Богом и его земная жизнь в режиме постоянства, непосредственно прикована к Космическому Разуму (Богу). Это означает, что Человек представляет собой с одной стороны тело, с другой – разум, душу или наши эмоции, чувства, преимущественно подсознание.

Апробация метода биолографии, который представляет собой инновационный метод антропокосмической медицины, с достаточной достоверностью выявила у спортсменов „Степень здоровья“, его функционально слабые звенья, и дала нам достаточную информацию для восстановления нарушенных функций. Метод биотомографии с его диагностическими возможностями, можно причислить к биолографическому методу валеометрического исследования, применение которого подчиняется холистическим принципам научного мышления.

Ключевые слова: Валеология, космический разум, Валеометрическое исследование, биотомография, биохолография, фантом

Summary

Igor Dolidze

Health in view of the anthropocosmic medicine

The valeology (Health science) possess more of than hundred definitions: the final version is presented in the guidance of World Health Organization. The health is considerate as the physical, spiritual and social happily.

In accordance with modern scientific world informational stream (of the sensoric, verbal or structural genesis) keeps (in the qualitative and quantitative manner) his necessary balanced state in the process of interaction with external world.

In general, it is known, that for the in materialistic tradition breded mans it is difficult to understand, that the man is the by God created being and that the mans carthly life, in the constant regime, is chained directly to the Mind of Cosmos (God).

According to the modern world outlooks, the health must be consider in the points of view of anthropocosmic medicine, that means the dialectical unity of the both body and spirit medicines. It does mean, that the mans essence is, on the one hand, the body, on the other hand- the mind, spirit or emotions, senses, mainly – the subconcciousness.

In the trial of bioholographic methods (the innovative method of anthropocosmic medicines), on the sufficient significances level, was been studied the sportsmans “Health degree”, its functional wekly Inks. This trial had given sufficiently data to make the repair of damaged functions. The method of biotomography, according to its diagnostic possibilities, can be attribute to the valeometric bioholographic methods. Its application proceeds according to the holistic principles of scientific thinking.

Key words: Valeologia, cosmic mind, valeometrical research, biotomography, bioholography, Phantom.

ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტი

ჯანდაცვის სექტორის ხარისხის მართვის თეორიული ასპექტები

თ. ქობლანიძე

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, თბილისი

შესავალი

სამედიცინო სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს „სამედიცინო მომსახურების ხარისხის“ შესახებ შეთანხმებული აზრის არ არსებობა.

ხარისხი საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციული ბრძოლის უმთავრესი პირობაა. ხარისხის მართვის კონცეფცია მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების ამოცანებს ეფუძნება. ხარისხი ცნება რთული ფილოსოფიური შინაარსისაა, რასაც იწვევს მისი თავისებურება წარმოებისა თუ მომსახურების ამა თუ იმ სფეროში. ამასთანავე, ხარისხი სუბიექტური კატეგორიაა. შესაბამისად, არ არსებობს ხარისხის ერთი უნიკალური განმარტება. ვიწრო გაგებით, ხარისხი გულისხმობს პროდუქციის ხარისხს. ფართო გაგებით კი იგი განსაზღვრავს მუშაობის, მომსახურების, პერსონალის საქმიანობის დონეს. სხვაგვარად, ხარისხი, შესაძლოა, განვმარტოთ, როგორც არსებული შესაძლებლობების საზღვრებში და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გათვალისწინებით რაიმეს სწორად კეთების უნარი.

ხარისხის მართვის თანამედროვე კონცეფცია სათავეს გასული საუკუნის 30-40 – იანი წლებიდან იღებს. ამ მიმართულებით აშშ-სა და იაპონიაში რამდენიმე თეორია იქნა შემუშავებული. დღეისათვის ხარისხის უზრუნველყოფა ყველა სფეროსთვის უმნიშვნელოვანესია და ხარისხის საკითხებზე მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია. მათ შორის წამყვანია ISO, რომელმაც 21000 მეტი საერთაშორისო სტანდარტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები გამოაქვეყნა. ISO-ს სტანდარტები მოიცავენ თითქმის ყველა ინდუსტრიას, ტექნოლოგიიდან დაწყებული სურსათის უვნებლობის, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის ჩათვლით. ISO-ს საერთაშორისო სტანდარტები გავლენას ახდენენ ყველაფერზე.

ცხრილში (იხ. ცხრილი 1) მოცემულია ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც შესაბამისი სტანდარტების მეშვეობით ხორციელდება.

ცხრილი 1

ISO - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა

ISO 9000:2005	Quality management systems — Fundamentals and vocabulary (სსტ ისო 9000:2003 „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი“)
ISO 9001:2008	Quality management systems — Requirements (სსტ ისო 9001:2003 „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები — მოთხოვნები“)
ISO 9004:2009	Managing for the sustained success of an organization — A quality management approach (მართვა ორგანიზაციის მდგრადი წარმატების უზრუნველყოფის მიზნით — მიდგომა ხარისხის მენეჯმენტის საფუძველზე)
ISO 19011:2011	Guidelines for auditing management systems (სახელმძღვანელო მითითებანი მენეჯმენტის სისტემების აუდიტზე)

წყარო: <http://www.iso.org/>

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ხარისხის მნიშვნელობის ამაღლებასთან ერთად საქმიანობის ყველა სფეროში იზრდება მასზე ორიენტირებული ფირმების რაოდენობაც, რომლებიც მისწრაფიან პროდუქციის/მომსახურების ხარისხის სისტემური და განუწყვეტელი ამაღლებისკენ, რისთვისაც იყენებენ ხარისხის გოტალური მართვის კონცეფციას TQM - შედარებით ახალი სიტყვა ხარისხის მენეჯმენტში. TQM დარგებისა და ფირმების მიხედვით ცვალებადია და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით ადაპტაციას საჭიროებს, თუმცა არის ყველასათვის საერთო და მისაღები კომპონენტებიც. სწორედ ISO 9001-ით არის განსაზღვრული TQM-ის ძირითადი მოთხოვნები.

ძირითადი ტექსტი

სამედიცინო მომსახურების/სამედიცინო დახმარების ხარისხის განმარტება მოცემული არაა საქართველოს კანონში „საექიმო საქმიანობის შესახებ“, რომლის ზოგადი დებულებები მოიცავს ტერმინთა განმარტებას, ხოლო ამ უკანასკნელში მოცემულია მხოლოდ სამედიცინო მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, მაშინ როცა თავად ხარისხის ცნება არაა

განმარტებული. ასევე, მუხლი 66 გვამცნობს, რომ საქიმო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტროს საბჭოს მეშვეობით, ხოლო მუხლი 67 გვიდასტურებს, რომ საქიმო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ერთ-ერთი სახეა სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი. ჩვენს მიერ გადახედილ მეორე კანონში: სააქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, კიდევ უფრო ზოგად ინფორმაციას იძლევა და მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვავს, რომ ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის მექანიზმია სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი. უფრო ვრცელი და კონკრეტული ინფორმაცია აღნიშნულ კანონებში ჩვენს მიერ მოძიებული ვერ იქნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანდაცვაში ადგილი აქვს ცნების განსაზღვრის სუბიექტურ მიდგომებს და ძალზედ აქტუალურია სექტორის ხარისხის მართვის თეორიული ასპექტების კონკრეტიზაცია. ამასთანავე, ყველამ ვიცით სამედიცინო დაწესებულებების მომსახურების კუთხით არსებული პრობლემების შესახებ, თუმცა ასეთი მომსახურების მიზეზი პრობლემის კომპლექსურობა უფროა, ვიდრე სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელთა თუ სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი ნება.

სამედიცინო დახმარების ხარისხი შეიძლება განისაზღვროს, როგორც

1. ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების შესაბამისობის დონე პროფესიულ სტანდარტებთან ან ამა თუ იმ ტექნოლოგიის შესრულების წესებთან თანამედროვე მედიცინის დონისა და ჯანდაცვის მატერიალური ბაზის გათვალისწინებით.

2. მახასიათებელთა ერთობლიობა, რომელიც ასახავს სამედიცინო დახმარების თავისდროულ აღმოჩენას, სამედიცინო დახმარებისას პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და რეაბილიტაციის მეთოდების შერჩევის სისწორეს, დაგეგმილი შედეგის მიღწევის დონეს.

ჯანდაცვის სიტემაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო მომსახურების ხარისხის ეფექტური მექანიზმების დანერგვას. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით „ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესებული ხარისხი განაპირობებს კლინიკური შედეგების გაუმჯობესებას, პაციენტის მეტ უსაფრთხოებასა და მათ კმაყოფილებას.“

სამედიცინო მომსახურების ხარისხის ანალიზის ძირითადი კონცეფცია, პრინციპები და მეთოდები მსოფლიოში ფართოდ განვითარდა მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან. სამედიცინო მომსახურების ხარისხის პრობლემის შესწავლაზე სამეცნიერო ინტერესი განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით:

- ჯანდაცვის არასაკმარისი დაფინანსება.

- სამედიცინო მომსახურების დაგეგმვის პრაქტიკის არარსებობა.

- პროფილაქტიკურთან შედარებით უმეტესად სამკურნალო სერვისების განვითარება.

- ჯანდაცვის სერვისების უფრო სამართლიანი გადანაწილების საჭიროება.

სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფელი მთავარი კომპონენტებია: სამედიცინო დახმარების უსაფრთხოება; სამედიცინო დახმარების მისაწვდომობა; სამედიცინო დახმარების ოპტიმალობა; პაციენტების კმაყოფილება. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას და მათი ანაზღაურების სისტემას.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის კონცეფცია და ძირითადი პრინციპები შემუშავებული იქნა აშშ-ში. სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესახებ ფუნდამენტური


შრომები შემუშავდა ა. დონაბედიანის მიერ. მის მიერ პირველად იქნა შემუშავებული ხარისხის ანალიზის მეთოდების სისტემური კლასიფიკაცია, რომელმაც შემდგომ დონაბედიანის ტრიადის სახელი მიიღო. იგი მოიცავს სამედიცინო მომსახურების სტრუქტურას, ტექნოლოგიას (პროცესს) და შედეგებს

სტრუქტურული ხარისხი ასახავს მისი აღმოჩენის პირობებს (კადრების კვალიფიკაცია; დანადგარების არსებობა და მდგომარეობა; შენობა-ნაგებობების მდგომარეობა; წამლებით უზრუნველყოფა; ყველა სახის რესურსის რაციონალური გამოყენება; სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა დაფინანსება); სტრუქტურული მიდგომა საშუალებას იძლევა განისაზღვროს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო მომსახურების გაწევას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ტექნოლოგიის/პროცესის ხარისხი, რომელიც ასახავს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესს (აღწერს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესს დიაგნოზის დასმის მომენტიდან მკურნალობის დამთავრებამდე; ახასიათებს კონკრეტული ავადმყოფისათვის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების კომპლექსის ოპტიმალურობას; მთავრი კრიტერიუმი კი არის ექიმის შეცდომების არსებობა/არარსებობა). სამედიცინო მომსახურების პროცესი მოიცავს შემდეგ პირობებს: ადეკვატურ მომსახურებას, მომსახურების უწყვეტობას, მომსახურების კოორდინაციას და დროულობას, თანასწორობას მომსახურების პროცესში; მომსახურების ხელმისაწვდომობას; მომსახურების უსაფრთხოებას; სოციალურად მიღებული მომსახურებას (ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ წარმოებული სერვისი უნდა აკმაყოფილებდეს პაციენტის მოლოდინებს. ძირითადად ის მოითხოვს სამედიცინო პერსონალისაგან ისეთ თვისებებს, როგორცაა: გულისხმიერება, პატივისცემა, მეგობრულობა, მგრძობელობა და კომუნიკაციის შესაძლებლობა, რათა პაციენტს, მისთვის გასაგებ ფორმებში მიეწოდოს სრული ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ);

შედეგის ხარისხი აღწერს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგს (კონკრეტული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკას; საანგარიშო პერიოდში სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულების ყველა ავადმყოფის მკურნალობის შედეგებს; მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას.)

მსოფლიო ტენდენცია ხარისხის შეფასებიდან მის უზრუნველყოფისა და მართვისაკენ იხრება. შეფასება არ ნიშნავს ხარისხის გაუმჯობესებას. საჭირო ხარისხის უზრუნველყოფა გაცილებით რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს პაციენტისათვის ადეკვატურ და უსაფრთხო ტექნოლოგიის შერჩევას, მუშაობისათვის აუცილებელ რაოდენობრივი და ხარისხობრივი სამუშაო პირობების და ყველა სახის რესურსების შექმნას. ხარისხის უზრუნველყოფა სქემატურად ასე გამოიყურება (იხ. სქემა №1)



წყარო: Комаров Ю.М. *Современные представления о стандартах качества медицинской помощи.*

სამედიცინო დახმარების ხარისხის მართვა მთელი სისტემაა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ასპექტებს:

1. ხარისხი შეიძლება და სავალდებულოა, რომ შეფასდეს საქმიანობის შედეგებზე სტანდარტებით.
2. სტრუქტურასა და რესურსებზე ზემოქმედება აკრედიტაციის მოთხოვნების დაცვით.
3. ტექნოლოგიასა და პროცესებზე ზემოქმედება კლინიკური რეკომენდაციების “ოქროს წესების” და ISO-ს საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, აგრეთვე მედპერსონალის უწყვეტი სწავლებით (მათ შორის გუნდური მუშაობის პრინციპების) და ექიმთა ლიცენზირებით.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ერთად შეადგენს სამედიცინო დახმარების ხარისხის მართვის სისტემას.

აშშ-ის მედიცინის ინსტიტუტი განმარტავს ჯანდაცვის ხარისხს, იმის მიხედვით, თუ რამდენად აუმჯობესებს ცალკეული პაციენტისა, თუ მათი პოპულაციისთვის მიწოდებული სერვისები ჯანმრთელობის გამოსავლებს. მოვლა დაფუძნებული უნდა იყოს უძლიერეს კლინიკურ მტკიცებულებებზე და მიწოდებული იყოს ტექნიკურად და კულტურულად კომპეტენტური მანერით, კარგი კომუნიკაციისა და გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღების ფონზე.

აშშ ჯანმრთელობის ინსტიტუტი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების 6 მიზანს გვთავაზობს, რომელიც განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის შესაბამისია (იხ. სქემა1)

უსაფრთხოება: ჯანდაცვამ პაციენტს არ უნდა მიაყენოს ზიანი.

ეფექტურობა: სერვისები მეცნიერულ მტკიცებულებებზე უნდა იყოს დაფუძნებული და დამტკიცებული, რომ სარგებელი მოაქვს ამ მომსახურების მიმღებთათვის.

პაციენტ-ცენტრულობა: მოვლა პაციენტითა და გაგებით უნდა ეპყრობოდეს ცალკეული პაციენტის შეხედულებებს, საჭიროებებსა და ღირებულებებს.

დროულობა: ჯანდაცვის მიწოდებამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს პაციენტის ლოდინი და თავიდან აიცილოს ზიანის მომტანი დაყოვნება.

ეფექტიანობა: თავიდან აცილებული უნდა იყოს რესურსების ფლანგვა.

თანასწორობა: მოელის ხარისხი არ უნდა განსხვავდებოდეს პაციენტის სქესის, ეთნიკური მახასიათებლების, გეოგრაფიული მდებარეობისა თუ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით.

სქემა 1



წყარო: <http://www.healthquality.ge>

ჯანდაცვის ხარისხი ერთ-ერთი არსებითია მიღწევის განვითარების მიზნების მისაღწევად. და მაინც, ჯანდაცვის სერვისები ბევრ ქვეყანაში უსაფრთხოებისა და ხარისხის პრობლემებითაა დაძაბული, რისი მიზეზიც, რესურსების ნაკლებობის გარდა, სამედიცინო მომსახურების ცუდად მოწოდებით სისტემებია, რომლებიც არ არის მობილიზებული დააკმაყოფილოს პაციენტის საჭიროებები, ან მიაწოდოს ეფექტური და ეფექტიანი მოვლა.

სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური პრაქტიკის განვითარებისა და მხარდაჭერის, ექიმებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივებისა და პაციენტისათვის საუკეთესო კლინიკური პრაქტიკის ხელმისაწვდომობის მიზნით ჯანდაცვის სახელმწიფო უწყებები ქვეყანაში ნერგავენ კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებს (გაიდლაინებს - კლინიკური მდგომარეობის მართვის რეკომენდაციებს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტს) და დააგადაბათა მართვის სახელმწიფო სტანდარტებს (პროტოკოლები - გაიდლაინის საფუძველზე შემუშავებული კლინიკური მდგომარეობის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები და მოქმედებათა თანმიმდევრობა).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სამედიცინო მომსახურების ხარისხში უმნიშვნელოვანესია პაციენტთა სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება. იგი წარმოადგენს ბენეფიციართა პრეფერენციებს, მოლოდინებსა და მიღებულ სამედიცინო მომსახურებას შორის შესაბამისობის საზომს. პაციენტების კმაყოფილების შესწავლა ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემის შესაფასებლად.

სამედიცინო ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე, პაციენტის კმაყოფილების შესახებ კვლევებს იყენებენ არსებული მომსახურების შესანარჩუნებლად და პოტენციური მომსახურების მისაზიდად. ჩვეულებრივ სამედიცინო სერვისების ხარისხის წინდაწინ შეფასება რთულია, იგი მხოლოდ მისი გაწვევის შემდეგაა შესაძლებელი.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მიიღწევა მუდმივი მონიტორინგითა და სხვადასხვა პროგრამების უწყვეტი მიმდინარეობით. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ეს მოქმედება უნდა ეფუძნებოდეს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, ჯანდაცვის პოლიტიკას და ეთიკის ნორმებს.

ხარისხის ტოტალური მართვის კონცეფცია შედარებით ახალი სიტყვაა ხარისხის მენეჯმენტში, რომელიც ჯანდაცვის სექტორში, შესაძლოა, ასეთი გამოიყურებოდეს:

-პაციენტზე ორიენტაცია, მის მოლოდინებისა და მენეჯერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისად.

-აუცილებელი პირობების შექმნაში ხელმძღვანელობის ლიდერობის უნარი.

-სპდ –ს მთელი პერსონალის ჩართულობა ხარისხის მართვის საქმიანობაში.

-რესურსებისა და საქმიანობისადმი პროცესუალური მიდგომა.

-სისტემური მიდგომა, რომელიც აერთიანებს ყველა პროცესს სპდ-ში და რომელიც მიმართულია პაციენტისაკენ.

-პროცესების მუდმივი გაუმჯობესება და სრულყოფა, რომლებიც ეყრდნობა შედეგებს.

-გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებით (დადასტურებულ) ფაქტებსა და მტკიცებულებით სამედიცინო ტექნოლოგიებს.

-პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა სპდ-თან ურთიერთობა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჯანდაცვაში სწრაფად უმჯობესდება ხარისხი, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: გამოცდილების დაგროვებით; კომპლექსური სამედიცინო მომსახურების მიწოდების გაზრდით; ახალი მეთოდებით ეფექტური და ეფექტიანი სამედიცინო დახმარების მიწოდებაზე; პაციენტების მოლოდინის გაზრდით გაუმჯობესებული სერვისების დანერგვასა და მათ მიწოდებაზე; ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებასა და დაავადებების მართვაში ცოდნის გაღრმავებით.

დასკვნა

ჯანდაცვის სიტემაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო მომსახურების ხარისხის ეფექტური მექანიზმების დანერგვას, ხოლო სამედიცინო სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს „სამედიცინო მომსახურების ხარისხის“ შესახებ შეთანხმებული აზრის არ არსებობა. ამდენად, მიზანშეწონილია ქართულ კანონმდებლობაში ხარისხის ცნების ტერმინოლოგიური აპარატის დაზუსტება; ფართო სპექტრის მენეჯერთა (სამედიცინო სფეროს, ეკონომისტების, სოციალური მენეჯერების წარმომადგენელთა) მსჯელობა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე და მისი გაუმჯობესების ეფექტურ და ეფექტიან გზებზე.

საჭირო ხარისხის უზრუნველყოფა მოითხოვს პაციენტისათვის ადეკვატურ და უსაფრთხო ტექნოლოგიის შერჩევას, მუშაობისათვის აუცილებელი საშუალო პირობების და ყველა სახის რესურსების შექმნას. სწორედ მასზეა დაფუძნებული ჯანდაცვის სისტემაში ხარისხის ტოტალური მართვის კონცეფცია. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია სპდ-ის ლიდერული

უნარებით დაჯილდოვებული ხელმძღვანელების როლი. ხარისხი უნდა შეფასდეს საქმიანობის შედეგების სტანდარტებით, ხოლო ხარისხზე უნდა ვიმოქმედოთ აკრედიტაციის მექანიზმით, კლინიკური რეკომენდაციების “ოქროს წესებით”, ISO-ს საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, მედპერსონალის უწყვეტი სწავლებითა და ექიმთა ლიცენზირებით. მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი ეფექტური და ეფექტიანი სამედიცინო დახმარების მიწოდება და პაციენტების გაზრდილი მოლოდინის დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ვერულავა თ. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა თბ. 2009.
- 2.ვერულავა თ. ჯანდაცვის პოლიტიკა თბ. 2016.
- 3.ურუშაძე რ. თანამედროვე საავადმყოფოს ორგანიზაცია და მენეჯმენტი. თბ. 2010).
- 4.პატარიძე რ., ფირცხალაიშვილი გ., ბარკალაია თ. სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემები. ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“. №1, 2015 წ.
- 5.აპანაშვილი.ბ. ISO და ხარისხის ტოტალური მართვა. ჟურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა” 2008 №13-14.
6. Donabedian A. The criteria and standards of quality/Health administration Press //- Ann. Abor., 1982.
7. Комаров Ю.М. Презентация лекции „Современные представления о стандартах качества медицинской помощи“. Электронный ресурс. 20.10.201.
8. Линденбратен А.Л. Методические основы и организационные технологии оценки качества и эффективности медицинской помощи. Дисс. ... докт. мед. наук. - М., 1994.
9. <http://www.mednovosti.by/journal.aspx?article=4477>
10. www.rspor.ru/mods/kea/Quality_indicators.doc
11. <http://www.moh.gov.ge/>
12. <http://cardio.ge/new.php?id=15>
13. <http://www.healthquality.ge/>
14. <http://strategy.ge/>

რეზიუმე

თამარ ქობლანიძე

ჯანდაცვის სექტორის ხარისხის მართვის თეორიული ასპექტები

ხარისხი საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციული ბრძოლის უმთავრესი პირობაა. ხარისხის მართვის კონცეფცია მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების ამოცანებს ეფუძნება. სამედიცინო სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს „სამედიცინო მომსახურების ხარისხის“ შესახებ შეთანხმებული აზრის არ არსებობა, რასაც ხელს უწყობს საქართველოს საქართველოს კანონებში “საექიმო საქმიანობის შესახებ” და “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” სამედიცინო მომსახურების/სამედიცინო დახმარების ხარისხის ცნების კონკრეტიზაციის და განმარტების არ არსებობა. ქართულ სამეცნიერო სივრცეში არც თუ იხე ღრმადაა შესწავლილი აღნიშნული საკითხი და, ძირითადად, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები იკვლევენ მას. მსოფლიო პრაქტიკა მნიშვნელოვნად ეყრდნობა დონაბედიანის ხარისხის მართვის კონცეფციას (ტრიადას); მსოფლიო ტენდენცია ხარისხის შეფასებიდან მის უზრუნველყოფისა და მართვისკენ იხრება. საჭირო ხარისხის უზრუნველყოფა მოითხოვს პაციენტისათვის ადეკვატურ და უსაფრთხო ტექნოლოგიის შერჩევას, სამუშაო პირობებისა და ყველა სახის რესურსების შექმნას. სტატიაში

განხილულია სამედიცინო მომსახურების ხარისხის მანველებლები და ფაქტორები, რომლებიც მასზე ახდენენ გავლენას.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ხარისხის მართვის კონცეფცია, TQM, სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა.

Summary

Tamar Koblianidze

Theoretical Aspects of Quality Management in the health sector

Quality is the main aspect of competitive market economy. Quality management concept is based on the needs of the maximum satisfaction of tasks. The main difficulty we face in health care sector quality management is that there is no one clear, agreed idea about “Quality of medical services”. Moreover, in Georgian legislation, including laws “About medical Practice” and “About health care system”, there is no specific and clear definition of quality of medical services/medical assistance. In Georgian scientific field there have not been many serious researches conducted regarding this topic, and most of the researches we have been carried out by people from medical field. The practice is based on the Donabedian's quality management concept (Donabedian's triad). Many countries in the world tend to concentrate on quality assurance and management, rather than quality assessment. In order to reach adequate quality it is important to offer customers/patients proper and safe technologies, to create good working environment and all the necessary resources. The following article discusses different indicators of medical services and the factors affecting them.

Key words: Quality of medical services, quality management concepts, TQM, quality assurance of health services.

Резюме

Тамар Коблианидзе

Теоретические аспекты качества управления в секторе здравоохранения

Качество является главным условием конкурентной борьбы рыночной экономики. Концепция управления качеством основан на задач максимального удовлетворения потребностей. В области здравоохранения основным препятствием для создания системы обеспечения качества является отсутствие согласованном мнении о «качество медицинской помощи», которое поддерживается Грузинскими законами. В них отсутствуют уточнения и конкретизация понятия качества медицинских услуг / медицинской помощи. В Грузинской научной литературе не глубоко изучен этот вопрос и, в основном, исследовано учеными из сфер медицины. Всемирная практика значительно основана на концепции Донабедиана управления качеством (триада Донабедиана); На лице мировая тенденция: от оценки качества к его обеспечению и управлению им. обеспечение нужного качества требует выбора адекватного и безопасного для пациента технологии, создания необходимых условий труда и всех видов ресурсов. В статье рассматриваются показатели качества услуг здравоохранения, а также факторы, которые влияют на него.

Ключевые слова: Качество медицинских услуг, концепция управления качеством, TQM, обеспечение качества медицинских услуг.

**ჯანდაცვის ეფექტიანი მართვის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ 2017-2020 წლებში
და გრძელვადიანი სტრატეგიისთვის**

რ. ლორთქიფანიძე

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, revazlordkipanidze@gmail.com

შესავალი

საქართველოში მიმდინარე საყოველთაო ჯანდაცვის უპრეცედენტო რეფორმამ, გახანგრძლივებული კრიზისით შეჭირვებული მოსახლეობის დიდი მადლიერება და სპეციალისტთა დამსახურებული აღიარება დაიმსახურა, თუმცა მისი სრულფასოვანი რეალიზებისთვის გრძელვადიანი სტრატეგიაში, აუცილებელია ეკონომიკური საფუძვლის შესაბამისი არსებითი გაძლიერება.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა ეკონომიკური განვითარების ყველაზე მწვავე პრიორიტეტები, რაც საშუალებას მოგვცემს ჯანდაცვის რეფორმაც მეტად სარგებლიანი და პოპულარული გავხადოთ არამხოლოდ საქართველოში.

ძირითადი ნაწილი

ჯანდაცვის სფეროს სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფქრობთ, ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სამედიცინო და ეკონომიკური მეცნიერებების კომპლექსურ

კვლევებს. ამიტომაც, ძალზე სასიხარულოა, რომ ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და პრევენციისთვის, უნივერსიტეტ გეომედში წარმოებული კვლევების საფუძველზე, ბიძგი მიეცა „ახალ უნიკალურ იდეას ბიოტექნოლოგიის სფეროში“ [4, გვ. 48] და ამავე უნივერსიტეტში წარმოებული ერთობლივი კვლევების თანახმად, ჯანდაცვის უმთავრეს პრიორიტეტად აღინიშნება „სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის მეშვეობით უთანასწორობის აღმოფხვრა და ხელმისაწვდომობის გაზრდა“ [1, გვ. 55]. დარწმუნებული ვართ, რომ ერთობლივი ძალისხმევით, მეტი მარგიქმედებით პრიორიტეტულად დაწინაურდება სტრატეგიული დაგეგმვაც ყველაზე მეცნიერებატევად (ინტელექტუალურ) დარგებში - „ჯანდაცვა, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია, კოსმონავტიკა და საინფორმაციო-კომპიუტერული სისტემები“ [2, გვ. 41], რაც მთლიანად ეკონომიკის დაწინაურების უცილობელი წინაპირობაა.

გვიქრობ, ბრძენი კითხველი დამეთანხმება, რომ მსოფლიოში და მათ შორის რესურსებით მდიდარ ღვთისმშობლის წილხვედრ ქართულ მიწაზე, გენეტიკურად ხანგამძლე მოსახლეობამ მეტად ბედნიერად რომ იცხოვროს, მეტად უნდა გაითვალისწინოს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორებიც, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია: 1) ადამიანის სულიერი მდგრადობა და ღოცვის სისტემატურობა; 2) ცხოვრების ეკონომიკური დონე; 3) ეკონომიკური დამოუკიდებლობა (როგორც სახელმწიფოს, ასევე, ადამიანის მეტად თავისუფალი - ღადი ცხოვრება); 4) ჯანსაღ ბუნებასთან ხშირი კონტაქტი; 5) სუფთა წყალი; 6) სუფთა ჰაერი; 7) რაციონალური კვება; 8) საზოგადოებისადმი გახსნილობა; 9) მშვიდი ოჯახური გარემო; 10) შემოქმედებითი აქტიურობა; 11) ინტერესიანობა; 12) ზომიერი სპორტი და სხვ [3].

ინტერნეტქსელის გლობალური გავრცელების ეპოქაში, საერთაშორისო თანამეგობრობის შესაძლებლობები განუზომლად იზრდება და, სასიხარულოა, რომ საქართველოს რეფორმირებადი სახელმწიფოს მცდელობა უპრეცედენტოდ დიდია ჯანდაცვის პრობლემებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში. ჯუნგლების კანონისაგან განსხვავებით, ადამიანების საზოგადოება მხოლოდ ინსტიტუტზე ვერ იქნება აგებული და სულ უფრო მეტად გააზრებული ჩარევა ეკონომიკაში საჭირო და არა პასუხისმგებლობის აცილება თავისუფალი ბაზრის თვითრეგულირების უნარის მომიზეზებით. პოლიტეკონომიის კლასიკოსების ეპოქის შემდეგ, მრავალი კრიზისი იწვინა კაცობრიობამ და საერთაშორისო თანამეგობრობის მეტი აქტიურობაა საჭირო, რომ გრძელვადიან სტრატეგიაში მოსალოდნელი რესურსების მწვავე დეფიციტი და, შესაბამისად, კლიმატის მეტად მკვეთრი ცვლილებები, შესაძლოდ უმტკივნეულოდ გადაიტანოს ადამიანმა.

ეკონომიკისა და პოლიტიკის საქმიან წრეებს საქმიანად მინდა მივმართო, რომ რეალურად მასობრივი დასაქმებისათვის, მწვავედ აუცილებელია, საერთაშორისო თანამეგობრობის ანტიმონოპოლიური საქმიანობის ამოქმედებისა [5] და საქართველოში მის აქტიურად მოხმობასთან ერთად, მცირე მეწარმეობას პრიორიტეტული მხარდაჭერა მიეცეს - მიკრო და მცირე ბიზნესის შედავათები შემოსავლებს კი არ უნდა უკავშირდებოდეს, როგორც ჯერ კიდევ 90-იანი წლების საგადასახადო კოდექსშია, არამედ დასაქმებულთა რაოდენობას. თუ კაცი მარტო ან 2-3 თანამშრომლითაა ბიზნესში, მან ბუღალტერია აწარმოოს, თუ ბიზნესზე იზრუნოს - შეარგოს ღმერთმა, რასაც იშოვის, ნუ დავუწევთ ეჭვიანობას და ისედაც მცირე შემოსავლებში ქექვას. უფრო მეტიც, შემოსავლის კრიტერიუმები, ხშირ შემთხვევაში, ამ

შემოსვლების დამალვის მიზეზი ხდება და ბიუჯეტიც მეტს კარგავს და მეწარმეც არალეგალური ბიზნესის ჭაობში ექცევა.

კოსმოსური კვლევების განვითარებისა და ტექნიკის განსაზოგადოების ეპოქაში, სახელმწიფოსა და მსხვილი ინდუსტრიის როლი და ჩართულობა მსოფლიო ეკონომიკაში არსებითად მატულობს, მაგრამ, ჩვენი წონასწორული რეალიზმის თეორიის შესაბამისად, რაც შემოთავაზებულია და ვითარდება ჩვენს შრომებში [6; 7], არ უნდა დაფუძნდეს არც სახელმწიფო და არც კერძო მონოპოლიების გაჩენის შესაძლებლობები არაკეთილსინდისიერი გამოვლინებების მიმართულებით. შესაბამისად, არც უნდა შევზღუდოთ და დავაკნინოთ, როგორც სახელმწიფოს (მეტწილად მსხვილ ინდუსტრიათან ასოცირებული), ასევე, კერძო (ინდივიდუალური) უნარების უნიკალობა და ეფექტი.

გლობალიზების პირობებში, ეკონომიკური მონოპოლიების მოქმედება მნიშვნელოვნად აფერხებს მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვან განვითარებას, რის გამოც, მსოფლიოს მზარდი მთლიანი პროდუქტის მიუხედავად, სიღარიბე და სიმდიდრის პოლარიზება მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებულია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს ადგილობრივი ბაზარი განსაკუთრებით საგანგაშოა და ზიანებული საერთაშორისო ფესვების მქონე ფარული მონოპოლიებით, რაც, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პოტენციალის გამოყენების ჯერ კიდევ უკიდურესად დაბალ დონეებზე აისახება.

პრობლემის მოგვარების გარეშე, ქართული ტურისტული პოტენციალის ამოქმედებაც კი ფაქტიურად უსარგებლო იქნება ქვეყნისთვის, ვინაიდან, ტურიზმით შემოდინებული ვალუტა, ისევე უცხოელი მესაკუთრებისა და სურსათის იმპორტიორების სასარგებლოდ გაედინება. ასევე, აზრს მოკლებულია ექსპორტის საგადასახადო სტიმულირებაც, ვინაიდან, მატარიალური წარმოების დარგების სათანადო დონეზე განვითარების გარეშე, ექსპორტის სტიმულები, ძირითადად, ნედლეულის ექსპორტს ახალისებს, რის შედეგადაც, ადგილობრივ მეწარმეობასაც ეცლება სანედლეულო საფუძველი და ჩვენივე ნედლეულიც გაძვირებული სახით გვიბრუნდება გადაამაჟშავებული მრეწველობის იმპორტის სახით.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საჭიროა რეალური ბაზრის ქმედითი მონიტორინგის განვითარება რეგიონებისა და დარგების მიხედვით და, შესაბამისად, საზოგადოების სისტემატური ინფორმირება იმპორტ-შემცველი საგადასახადო მექანიზმების ამოქმედებისა და შესაბამისი მეწარმეობის სტიმულირების შესახებ, მ.შ. ეფექტიანი დიფერენცირებული საამორტიზაციო მექანიზმების გამოყენებით.

ეკონომიკურად განვითარებულ სამყაროში, სულ უფრო არსებითი ხდება სახელმწიფოს მონაწილეობა მასობრივი გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიებისა და იაფი ენერგომატარებლების პროექტებში, თავდაცვითი ტექნიკის წარმოებაში, კოსმოსისა და წყალქვეშა პოტენციალის ათვისებაში, განსაკუთრებით, მძიმე და მასშტაბური გავრცელების ჯანდაცვითი დაავადებების წინააღმდეგ წარმოებულ კვლევებში, ადამიანის ჯანსაღი და ფინანსურად წელგამართული სიბერის პერსპექტივის პრაქტიკულ რეალიზებაში.

ჩვენი ისტორიის გაკვეთილებმა გვიჩვენა, რომ, ამ მხრივ, ხშირია ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოჩენის შემთხვევები, როცა ხან სახელმწიფო დიქტატურის პროცესები ვითარდება ან, საპირისპიროდ, ქაოსი და ანარქიაა, რაც, ორივე შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკურ პროგრესსა და ცხოვრების დონის ამაღლების ტენდენციებს.

მაკროეკონომიკური თვალთახედვით, ინფლაციური რყევების, ფარული მონოპოლიებით ხელეწინააღმდეგებელი რეგულაციური სტრუქტურული უმუშევრობისა და ცენტრალური, ავტონომიური წარმონაქმნებისა და მუნიციპალური ინტერესების მნიშვნელოვანი დისპროპორციების დასაძლევად, საჭიროა უნიკალურ ადგილობრივ შესაძლებლობათა კომპლექსური გამოყენება და ეკონომიკური ეფექტიანობითა და ეროვნული სიმდიდრით დაწინაურებული სუპერსახელმწიფოების (შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და სხვ.) გამოცდილებათა დასაბუთებული გათვალისწინება ეკონომიკურ რეგულაციებში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უახლოეს ორიენტირად უნდა დავისახოთ მნიშვნელოვანი რეზერვის გამოყენება მთლიან შიდა პროდუქტში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხვედრითი წონის 35-40%-მდე ზრდისა და მისი მეტად დემოკრატიული (თანაბარზომიერი) განაწილების სახით ცენტრსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის. ჯერ-ჯერობით, ამ მხრივ, ცენტრალიზმის ეპოქის მემკვიდრეობით, ჯერ კიდევ უკიდურესად უთანაბრო განაწილებასთან გვაქვს საქმე, რის გამოც, ადგილობრივი ინტერესები, ხშირ შემთხვევაში, მინიმალურადაც ვერ კმაყოფილდება.

რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის ხარვეზების გამო, საქართველოში, 2014-2015 წლების შედეგებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ვაშლის, თხილის, ატმის, ბალისა და ალუბლის წარმოება და ავადსუნებული საბჭოთა კავშირის 1985 წელთან შედარებითაც, 2015 წლის ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით ორჯერ არის შემცირებული ყურძნის წარმოება, თითქმის 4-ჯერ - ციტრუსების წარმოება, უფრო არსებითია შემცირება სამრეწველო პროდუქციაზე. მ.შ. განსაკუთრებით მეცნიერებატექნოლოგიებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის, საწყის ეტაპზე, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უნიკალური შესაძლებლობების სოფლის მეურნეობის დაწინაურებასა და ეფექტიან რეგიონალურ პოლიტიკას, ვინაიდან, ქვეყანას, რომელსაც განვითარებული რეგიონები აქვს, დარგობრივი სრულყოფილი სრულყოფილი ექნება, ხოლო, თუ პრიორიტეტი დარგობრივი სტრუქტურის განვითარებას ენიჭება, შესაძლებელია, მხოლოდ ძლიერი ცენტრი და სუბიექტურად დაწინაურებული ტერიტორიული „ოჯახები“ მივიღოთ, ხოლო ბევრი რეგიონი ჩამორჩენილი დარჩეს.

განსაკუთრებული სტიმულები უნდა მიეცეს საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაციის სტაბილიზებას მაღალმთიან რეგიონებში და რეალურად ამოქმედდეს მრავალშვილიანი ოჯახების წახალისების ეკონომიკური მექანიზმები, ამასთანავე, ადამიანის დამსახურებასთან დაკავშირებული სოციალური დაცვის დიფერენცირებული სტიმულები, მ.შ. განსაკუთრებით მთის მოსახლეობისთვის.

სასოფლო-სამეურნეო ტრადიციების საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყისში აჩვენა, რომ სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ მიდევნებათა დამოუკიდებლად შექმნა და გამოყენება გლეხს ძალიან გაუჭირდა და მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეს კიდევ უფრო გაართულებდა. ამდენად, აუცილებელია, კოოპერაციული მეურნეობების ყოველმხრივი სტიმულირება, მათ შორის საგადასახადო ბერკეტებისა და ფინანსური სუბსიდირების მექანიზმებით საწყის ეტაპებზე.

გასათვალისწინებელია, რომ ქართული სოფელი უძველეს და უახლეს ისტორიაშიც იყენებდა კოოპერირების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის საეკლესიო მეურნეობების ეფექტიანი

ჩართულობით და კოოპერაციის სასიკეთო შესაძლებლობებს აქტიურად იყენებენ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები თანამედროვე პირობებში.

ეკონომიკური სუბიექტების მრავალმხრივი ჩართულობა ორიენტირებული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდებასა და, შესაბამისად, საექსპორტო ნამეტის არსებითი სტიმულირებისათვის.

ზემოაღნიშნული საფუძვლის გარეშე, ტექნიკური ინოვაციების ეპოქაში, საქართველოს უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად გამოუყენებელია და აუცილებელია ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გატერება ინდუსტრიულ ცენტრებში კლასტერული ტიპის ტერიტორიების მოწოდების სტიმულირებისათვის, რამაც, ასეთი ტიპის წარმონაქმნებთან ურთიერთხელსაყრელი ინოვაციური კოოპერირებისათვის, აქტიურად უნდა დააინტერესოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, უნივერსიტეტები, ბანკები, სხვადასხვა ბიზნეს-ობიექტები.

დასკვნა

გამოთქმული მწვავედ აუცილებელი პრიორიტეტების საფუძველზე, 2017 წლიდან სტაბილური ორნიშნა ზრდის შემთხვევაში, ჩვენი გაანგარიშებებით, 2020 წელს, ცხოვრების დონე საქართველოში მინიმუმ 1,6-1,7-ჯერ გადაამეტებს 2015 წლის მაჩვენებელს და საერთაშორისო ანტიმონოპოლიური მექანიზმების შემდგომი აქტიური მოქმედებებით, საცხებით რეალურია, რომ საუკუნის მიწურულისთვის, ღარიბი მოსახლეობის ხვედრიწონა მთლიანად მსოფლიოში 2-3%-მდე შემცირდეს.

მსოფლიო ინტერნეტკსელის ეპოქაში, საერთაშორისო თანამეგობრობის შესაძლებლობები განუზომლად იზრდება და, სასიხარულოა, რომ საქართველოს რეფორმირებადი სახელმწიფოს მცდელობა უპრეცედენტოდ დიდია ჯანდაცვის პრობლემებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამჟღაძე გ., მოწონელიძე ე., ჭავჭავაძე დ. საქართველოს ჯანდაცვის სექტორის განვითარებისა და მართვის პრიორიტეტები. - თბილისი, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2016, 1.
2. ლორთქიფანიძე რ. სამედიცინო პერსონალის სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვის საკითხები. - თბილისი, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2016, 2.
3. ლორთქიფანიძე რ. ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობის ეკონომიკური სტიმულების ზოგადთეორიული გააზრება. - თბილისი, 2016, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დირსეული სიბერე (კონფერენციის მასალები).
4. მირცხულავა მ., ჯორჯ ნასარი, აკოფიანი ვ., სურეია მერიკ, ფირცხალავა მ., მოწონელიძე ე., გვენეტაძე ნ., კურატიშვილი ი. ულტრაბგერითი რადიო რეზისტენტულობა. - თბილისი, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2016, 1.

5. R. Lordkipanidze, For international antimonopoly policy against poverty in effective structure of world economy (Conception). - Tbilisi, 2014, on English, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47096>
6. https://en.wikipedia.org/wiki/რევაზ_ლორთქიანიძე
7. <http://revaz-lordkipanidze.simplesite.com/>

რეზიუმე

რევაზ ლორთქიანიძე

ჯანდაცვის ეფექტიანი მართვის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ 2017-2020 წლებში და გრძელვადიანი სტრატეგიისთვის

შრომში განხილულია ჯანდაცვის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური, მაკრო და რეგიონალური რეფორმების საერთაშორისო განზოგადების პრიორიტეტები. მსოფლიო ინტერნეტის ეპოქაში, საერთაშორისო თანამეგობრობის შესაძლებლობები განუზომლად იზრდება და, სასიხარულოა, რომ საქართველოს რეფორმირებადი სახელმწიფოს მცდელობა უპრეცედენტოდ დიდია ჯანდაცვის პრობლემებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, მართვა, სტრატეგია, გრძელვადიანი, ანტიმონოპოლიური რეფორმა, სიღარიბის დაძლევა.

Summary

Revaz Lordkipanidze

About Economic Bases of Effective Management of Healthcare for Years 2017-2020 and Long-term Strategy

Author of the work offers the priorities to the development of the healthcare and international generalization of anti-monopoly, macro and regional reforms. In the epoch of the world internet, an international community's capacity grows enormously and it's pleased that role of the reforming Georgian state unprecedentedly grows in processes of the elimination of healthcare problems and poverty.

Key words: Health care, Management, strategy, long term, Antimonopoly Reform, Overcoming poverty

Резюме

Реваз Лортქიანიძე

Об экономических основах эффективного управления здравоохранения на 2017-2020 годы и долгосрочную стратегию

Автор работы предлагает приоритеты развития здравоохранения и международного обобщения антимонопольной, макро и региональных реформ. В эпохе мирового интернета, потенциал международного сообщества невыразимо растет и особо примерно, что роль реформируемого грузинского государства небывало растет в процессах ликвидации проблем здравоохранения и нищеты.

Ключевые слова: Здравоохранение, менеджмент, Стратегия, долгосрочный, антимонопольная реформа, преодоление бедности.

მენეჯმენტი

საინვესტიციო საქმიანობის მართვა და კრიტიკული აზროვნება

მაია ლომსაძე-კუჭავა

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, თბილისი

შესავალი

ადიარებულია, რომ საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად 10 კონკრეტული მიზეზი არსებობს: პოლიტიკური და ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები; მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო; კონკურენტული სავაჭრო წესები; სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია; მოდერნიზებული ბიზნეს ლიცენზიების სისტემა; რეფორმირებულ ტექნიკური რეგულირების სისტემა; სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; კონკრეტული საბანკო სექტორი.

ძირითადი ტექსტი

ალბათ გაჩნდება კითხვა, რა საერთო აქვს ინვესტიციას და კრიტიკული აზროვნებას, მაგრამ, თუ კარგად ჩაუკვირდებით, ინვესტორის და მეწარმის საქმიანობა წარმოუდგენელია კრიტიკული აზროვნების გარეშე.

წარმოდგინეთ ინვესტორი, რომელიც არ არის გაწონასწორებული, წინდახედული, ობიექტური და, რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერი. სწორედ ყველა ამ თვისებას ინვესტორს კრიტიკული აზროვნება სძენს.

რა არის ეს კრიტიკული აზროვნება, რომელსაც ბიზნესში ამხელა როლი მივანიჭეთ?

კრიტიკული აზროვნება მრავალმხრივი, მრავალფაქტორიანი პროცესია, რომლის საშუალებითაც ხდება მენეჯმენტში არსებული ფაქტების გაანალიზება, გადასინჯვა და სწორი დასკვნების გაკეთება.

ინვესტირებისას მთავარია ყველა მოვლენა გაშუქდეს სხვადასხვა კუთხით, გონივრულად, მაქსიმალურად გამოვლინდეს ადამიანის შესაძლებლობა, დაისახოს პრობლემის გადაწყვეტის სწორი გზები, გადაილახოს სიძნელეები, მოიძებოს გამოსავალი. ამ ყველაფერს კრიტიკული აზროვნება სჭირდება.

ინვესტირების დროს კრიტიკული აზროვნება გვაიძულებს ეჭვქვეშ დავაყენოთ ჩვენი სუბიექტურობა, შეხედულებები, მიდგომები და ა.შ. კრიტიკული აზროვნება არ ნიშნავს ეჭვიანობას, იგი გულისხმობს ობიექტურ აზროვნებას, ანუ მოვლენების, პროცესების, საქმიანობის მიმართ სუბიექტური მიდგომების გამორიცხვას.

კრიტიკულ აზროვნებაში მთავარია თვითკრიტიკის გრძნობა. მაგალითად: თუ სოლიდური ფირმის ხელმძღვანელს, თუნდაც რაღაც მცირე პერიოდით, დაეკარგა საქმისადმი კრიტიკული მიდგომა და თვითკმაყოფილებას მიეცა, გამძაფრებული კონკურენტული გარემოს ზეგავლენით მალევე მისი ფირმის წარმატებულობას საფრთხე დაემუქრება.

კრიტიკული აზროვნების წარმმართველი მეხსიერებაა, რომელიც უნდა გაჯერდეს სამენეჯმენტო სფეროს სრულყოფილი ცოდნით, სხარტი აზროვნებით, ანალიტიკური გონებით და გამომგონებლობის უნარით. ეს ყველაფერი კი, საშუალებას მოგვცემს სწორად შევაფასოთ მოვლენები და შედეგებიც ობიექტური იქნება. მთავარია შევძლოთ რთული იდეების გაგება, რთული პროცესების მარტივ პროცესებად გარდაქმნა, რაც გაამარტივებს პრობლემას, უფრო გასაგებს, ნათელს გახდის მას და გამოსავალიც იოლად მოიძებნება.

ინვესტირების დროს მთავარი როლი შემოქმედებით აზროვნებას უკავია, რომელიც ინტუიციურს უტოლდება. ამ აზროვნების საშუალებით მენეჯმენტი უფრო მისაღები, სახალისო და ადვილად განსახორციელებელი ხდება.


კრიტიკული აზროვნება და ლოგიკური აზროვნება ერთმანეთის შემავსებელია და ორივეს მიყვავართ მენეჯმენტში სწორი დასკვნების გაკეთების გზისკენ. ინვესტირებაში ძირითადი როლი სწორ დასკვნას უკავია, მაგრამ მასთან მისასვლელი გზა ძალიან დატვირთულია ირაციონალური აზროვნებით, რომელიც ემყარება საკუთარ ემოციებს. ძლიერი მენეჯმენტი საკუთარი ემოციების სწორი მართვა და კონტროლია.

ინვესტიციის ჩადების დროს მთავარია ემოციების სწორი მართვა და სადი აზრი, ან თუ არ გვაქვს იგი, სისტემურად უნდა ვეძიოთ ის. ამიტომ საჭიროა საკუთარი შეხედულებების ხშირი კრიტიკა და სხვათა აზრის გათვალისწინება. ეს არის წინდახედულება: ცოტა ხანი საკუთარ აზრებზე უარის თქმა და სხვათა დასაბუთებულ არგუმენტების ყურის გდება.

ასეთ პირობებში იბადება ახალი იდეები, მართვის ელემენტები და სწორი მენეჯმენტი. მაგალითად: წარმატებული ფირმის ხელმძღვანელი ასე იქცევა: თავის თანამშრომლებს გამოათქმევინებს მოსაზრებებს და იდეებს, ემოციების გარეშე თავისთვის აწონ-დაწონის და ისე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ემოციური, ზედმეტად თვითდაჯერებული მენეჯერი კი არათუ სხვას მოუსმენს, არც კი ჰკითხავს აზრს სხვას და მხოლოდ საკუთარი სუბიექტური შეხედულებით გადაწყვეტს საკითხებს, რაც რა თქმა უნდა ხშირად წამგებიანი აღმოჩნდება.

ინვესტორს კრიტიკული აზროვნება ეხმარება პრობლემების სწორ ანალიზში, ახსნაში, მართებული დასკვნების გამოტანაში. მენეჯმენტში მთავარია კრიტიკულ აზროვნებას ჰქონდეს თავისი ადგილი, ის არ უნდა იყოს მუდმივი, უნდა ამუშავდეს მაშინ, როცა ეს მენეჯმენტს სჭირდება და ამის შემდეგ შედეგიც იქნება მისაღები და გასაგები. კრიტიკულ აზროვნებას მენეჯმენტი მიმართავს მაშინ, როდესაც რთული პრობლემა გადასაწყვეტი და ინფორმაციის სიმწირეა. ამ დროს იმაზე კრიტიკული აზროვნება და ცდილობს მენეჯმენტი სწორ გზაზე დააყენოს.


ინვესტირებაში კრიტიკული აზროვნება შეუძლებელია ცოდნის და გამოცდილების დაგროვების გარეშე. ცოდნა ქმნის ყველანაირ მოტივს იმისას, რომ ინვესტორმა კრიტიკულად იაზროვნოს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არგუმენტების არსებობას, მის სისწორეს, მტკიცებას და იდეების ნათლად ჩამოყალიბებას.



ნახ 1

ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი კი კრიტიკული აზროვნებაა, რომელიც სწორად არჩევს საფუძვლიან არგუმენტებს.

ინვესტირებაში კრიტიკული აზროვნება ითვალისწინებს სამ ძირითად ფაქტორს: მტკიცებულებას, საბუთს და საფუძველს. ამ სამი ფაქტორის გათვალისწინებით წარმართება ძლიერი და სწორი მენეჯმენტი.



ნახ2

მაგალითად ინვესტირების დროს თუ არის რაიმე საქმის – პრობლემის მტკიცებულება და ამაზე იქმნება საბუთი, რასაკვირველია ეს საბუთი არის ამ პრობლემის – საქმის საფუძველი და ასევე მტკიცებულებაც, ე.ი. გამოდის, რომ ეს სამი ფაქტორი იმდენად ერთია, რომ მათი სწორი კავშირი წარმოადგენს და ქმნის ჭეშმარიტ მენეჯმენტს.

იმისათვის, რომ ინვესტირების დროს ინვესტორმა გამოიმუშაოს კრიტიკული აზროვნება, მან უნდა იაზროვნოს ლოგიკურად, ემოციების გარეშე, ყოველგვარ ინფორმაციაში დაინახოს, როგორც დადებითი, ისე ურყოფითი მხარე, გაითვალისწინოს მომხრე და მოწინააღმდეგე მხარე, მოახდინოს მიღებული ინფორმაციის შეფასება და არ აჩქარდეს დასკვნების გამოტანაში, სანამ პრობლემას მთლიანად არ გაითავისებს. მხოლოდ ყველა ამ პირობის გათვალისწინების შემდეგ წარმართება სამართლიანი, ძლიერი მენეჯმენტი.

ინვესტირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორის მიერ არავერბალურ კომუნიკაციას, როგორცაა ინტონაცია, ხმის მოდულაცია, მეტყველების რიტმი და ა. შ. მაგალითად, თუ ფირმას კარგი და ძლიერი მენეჯერი ჰყავს, მას არ უნდა დასჭირდეს ინვესტორებთან პრობლემის გადასაწყვეტად ან რაიმე საკითხის მოსაგვარებლად ინტონაციის შეცვლა, ხმის აწევა ან ხმის მოდულაციის დაძაბვა, მან თავისი ინტელექტით და ერუდიციით, უნდა მოაგვაროს ეს პროცესი.

კარგი ინვესტირებისათვის და სწორი კომუნიკაციისათვის აუცილებელია ბიზნესმენმა შეძლოს საპირისპირო მხარისათვის კერძოს ინვესტორისათვის, რომელიც თუნდაც არ იყოს მისდამი საღად განწყობილი, გამოამჟღავნოს მეტი კეთილგანწყობა, გამოიჩინოს ყურადღება. ძლიერი ბიზნესმენი კონფლიქტურ სიტუაციას არ პასუხობს კონფლიქტით – არამედ მას ღიმილით ამარცხებს და იღებს დაფინანსებას ინვესტორისგან.

ინვესტირებაში კომუნიკაციის სწორ წარმართვაში ბიზნესმენს ეხმარება ე.წ. "ტემპერამენტის ნერვული თეორიის" გამოყენება, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს, საერთოდ პიროვნებები იყოფიან შემდეგნაირად:

სანგვინიკი - ძლიერი გაწონასწორებული, მოძრავი ტიპი (აქტიური - ზედაპირული);

ფლეგმატიკი - ძლიერი გაწონასწორებული, ინერტული ტიპი (დაბალი აქტივობა - მოდუნება);

ქოლერიკი - ძლიერი გაწონასწორებული ტიპი (მაღალი აქტივობა - მკვეთრი განცდებით);


მელანქოლიკი - სუსტი ტიპი (გრძნობების შეკავება ჩაკეტილობა, გაუცხოება).

თუ ბიზნესმენი ამ მახასიათებლებში კარგად ერკვევა, მას არ გაუჭირდება ნებისმიერ ინვესტორთან წარმართოს სწორი თანამშრომლობა. ასევე სასურველია ბიზნესმენი ხასიათდებოდეს და მისი თვისებები პასუხობდეს ფსიქოლოგიურ ტიპს - ქოლერიკს.

ბიზნესმენი, რომ იყოს კომუნიკაბელური მისთვის აუცილებელი პირობებია:

- გამოამყვანოს გულწრფელი ინტერესი ინვესტორების მიმართ, რათა მილოს დაფინანსება;
- ხშირად უნდა ილიმებოდეს;
- ინვესტორებს უნდა მიმართოს სახელით, რადგან ადამიანისათვის თავისი სახელის გაგონება ყველა სხვა სიტყვაზე უფრო სასიამოვნოა;
- იყოს კარგი მსმენელი;
- ისაუბროს თემებზე, რომლებიც ინვესტორებისათვის საინტერესო სფეროდან იქნება, არ მოაბეზროს თავი ზედმეტი საუბრებით;

იმისათვის, რომ ბიზნესმენმა მოახდინოს სწორი კომუნიკაცია რაც შეიძლება მოკლე დროში, მას უნდა შესძლოს "გონებრივი შტურმი", რაც ნიშნავს მის თავისუფალ აზროვნებას, ყოველგვარი სტერეოტიპებისგან განთავისუფლებას, იდეების გენერირებას, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებას და სხვას ამ შემთხვევაში იგი ნამდვილად მიღებს ინვესტორებისაგან დაფინანსებას..



ნახ 3

გამართული ბიზნესისათვის ბიზნესმენი წერს ბიზნეს გეგმას, რომლის გარეშე არც კი ღირს კომერციული საქმიანობის დაწყება, რადგან ამ შემთხვევაში წარუმატებლობის შანსი ძალიან მაღალია, მაგრამ სანამ ბიზნეს გეგმის შედგენა დაიწყება, სასურველია ბიზნესმენმა თავის თავს დაუსვას კითხვები:

- რას მინდა მივაღწიო?
- როგორ მინდა ამას მივაღწიო?
- რა დამჭირდება ამისათვის?
- რა უნდა გავაკეთო, რომ თავიდან ავიცილო წარუმატებლობა.

თუ ბიზნესმენს ამ კითხვებზე დადებითი პასუხები ექნება, მაშინ იგი მობილიზდება სამეწარმეო საქმიანობის კეთებისათვის და იწყებს ბიზნეს გეგმის წერას.

ბიზნეს გეგმა ეს არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს მომავალი წარმოების ყველა ძირითად ასპექტს. ანალიზებს ყველა შესაძლო პრობლემას და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტილების გზებს. ამიტომ ბიზნეს გეგმის სწორედ შედგენა საბოლოო ჯამში იძლევა პასუხს კითხვაზე: ღირს კი ამ საქმეში ფულის ჩადება და მოიტანს თუ არა ის იმ შემოსავალს, რომელიც აანაზღაურებს ყველანაირ დანახარჯს?

ბიზნეს გეგმას წერენ:

1. საგარეო სარგებლობისათვის, იმისათვის, რომ გარეშე პირებს, მაგალითად, ინვესტორებს საქმე წარუდგინონ ხელსაყრელი კუთხით;

2. შიდა სარგებლობისათვის - ამ შემთხვევაში წარმოჩნდება საქმის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე. იგი მუდმივად გამოიყენება, როგორც მართვის ინსტრუმენტი.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევთ თქვენ ბიზნესში, თუ დაიწყებთ საქმეს შიდა სარგებლობის ბიზნეს გეგმით. მისი შედგენის პროცესში თქვენ განიხილავთ მრავალ საკითხს, რომელიც შესაძლოა არასოდეს ჩაიწეროს საგარეო ბიზნეს გეგმაში. ეს ყველაფერი საჭიროა მოსამზადებლად ინვესტორთან სალაპარაკოდ.

შიდა გეგმის შედგენისას წინასწარ უნდა იქნას შესწავლილი განვითარების ყველა ვარიანტი და სტრატეგია. თუ ინვესტორის მოზიდვა გამართლებული აღმოჩნდა, მაშინ ინვესტორსაც და ფირმასაც გარიგებისათვის მყარი საფუძველი ექნებათ.

ამრიგად, ბიზნეს გეგმის დანიშნულებაა დაეხმაროს მეწარმეს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაში:

- 1) მომავალი გასაღების ბაზრის მოცულობისა და პერსპექტივის შესწავლაში;
- 2) ბაზრისათვის საჭირო პროდუქციის წარმოებისათვის დანახარჯების შეფასებაში, საქონლის გასაყიდი ფასის დადგენაში და საქმის მომგებიანობის გამორკვევაში;
- 3) იმ მაჩვენებლების დადგენაში, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება საქმის რეგულარული კონტროლირება.

დასკვნა

ინვესტირება წარმოუდგენელია კომუნიკაციის გარეშე, ეს მისი ძირითადი საზრდოა. მისი საშუალებით ხდება ურთიერთობის დალაგება, აზრების და იდეების გაცვლა, თუ გნებავთ პრობლემების გადაწყვეტა. ინვესტირებაში კომუნიკაციის პროცესი ესაა მოქმედების უწყვეტობა დროში. იგი შედგება ურთიერთ დამოკიდებული ნაბიჯებისაგან. თითოეული ეს ნაბიჯი საჭიროა იმისათვის, რომ მენეჯერის აზრები გასაგები გახდეს სხვა პირთათვის.

კომუნიკაცია აუმჯობესებს ურთიერთობებს ორგანიზაციაში და მის გარეთ, ინვესტორსა და ცალკეულ თანამშრომლებს შორის. სწორი, საღი ინვესტირების წარმართვისათვის აუცილებელია ინფორმაციის გავრცელების პროცესი. გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლისას იზრდება ინფორმაციული ნაკადი და მისი სიზუსტე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლომსაძე-კუჭავა მ. ინვესტიციების მართვა. თბილისი: „გეომედი“, 2014 წ. 165 გვ.
2. ლომსაძე-კუჭავა მ., გიორგაძე ხ. ეკონომიკა და მარკეტინგი. თბილისი: „გეომედი“. 2016 წ., 180 გვ.
3. ჰლ. ვარიანი. მიკროეკონომიკა. თანამედროვე მიდგომა. თბილისი, გამომცემლობა “დიოგენე”, 2005 წ.
4. Долан Э.Д., Линдсей Д. Е. Микроэкономика: / Пер. с англ. В. Лукашевича. - Санкт-Петербург: Литера Плюс.2001.
5. einс Дж. Общая теория занятости, процента и денег. Антология экономической классики. М. изд. «Прогресс», 2003.

რეზიუმე

მაია ლომსაძე-კუჭავა

საინვესტიციო საქმიანობის მართვა და კრიტიკული აზროვნება

სტატიაში გადმოცემულია საინვესტიციო საქმიანობის მართვის ელემენტები. ასახულია ინვესტორის როლი საინვესტიციო საქმეში. ასევე, აღნიშნულია თუ რამდენად ეხმარება ინვესტორს და მეწარმეს კრიტიკული აზროვნება ინვესტიციების სწორედ დაბანდებასა და მართვაში.

საკვანძო სიტყვები: ინვესტორი, ინვესტიცია, ფირმა, საწარმო.

Summary

Maia Lomsadze-Kuchava

Investment management activities and critical thinking

The paper deals with investment management. Analyzed the individual investor roll in the success of the implementation of the investment. In addition, it is shown how helps investors and entrepreneurs critical thinking in the implementation of capital investments and investment management.

Keywords: Investor, investment, firm, enterprise.

Резюме

Майя Ломсадзе-Кучава

Управление инвестиционной деятельностью и критическое мышление

В статье изложены подходы в управлении инвестиционной деятельностью. Подчёркнута роль инвестора в успешном осуществлении инвестиционной деятельности. Кроме того, указано на то, насколько помогает инвестору и предпринимателю критическое мышление в правильном осуществлении инвестиции и управлении инвестиционной деятельностью.

Ключевые слова: Инвестор, инвестиция, фирма, предприятие.

ეკონომიკა

**მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოში
ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი**

დ. ჯაფარიძე, ნ. გიორგიშვილი, ი. ბიჭიაშვილი


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

მსოფლიო ენერგეტიკა, ამჟამად, განიცდის უპრეცედენტო ცვლილებებს. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს [11] მონაცემების და ენერგეტიკის განვითარების პროგნოზირებისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების [6,7,8,9,10,11] კვლევების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ უახლოეს 10 წელიწადში ენერგეტიკის განვითარებაში დომინირებადი იქნება შემდეგი ტენდენციები:

1. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდა.
2. ბუნებრივი გაზის გამოყენების მატება და არატრადიციული გაზის ამოღების მკვეთრი ზრდა.
3. სუფთა ნახშირის ტექნოლოგიის კომერციალიზაცია.
4. ატომური ენერჯის მსოფლიო აღორძინება.
5. განახლებადი ენერგეტიკის განვითარება.
6. ენერგოეფექტურობის ამაღლება.

წამყვანი ეკონომისტების პროგნოზით [8,12,13] 2030 წლამდე მოსალოდნელია პლანეტის მოსახლეობა გაიზარდოს 1,3 მილიარდი ადამიანით, მთლიანი შიდა პროდუქტი ორჯერ, ხოლო ენერგომატარებლებზე მოთხოვნა 36%-ით. ენერგომომხმარებლის მთელი მასშტაბის 93% მოვა ქვეყნებზე, რომლებიც არ შედიან ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციაში.

სურ.№1-ზე მოცემულია მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის და პირველადი ენერგომატარებლების მოხმარების პროგნოზული ანალიზი.




ეთგო --- ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია

სურ.№1 მოსახლეობის ზრდა, შემოსავალი და ენერჯის მოხმარება (1990-2030 წწ.).

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებში მოსახლეობის და ენერგომატარებლების მოხმარების ზრდა თითქმის არ შეიმჩნევა. ძირითადად აღნიშნული მაჩვენებლების ზრდა ამ ორგანიზაციაში არ შემავალი ქვეყნების ხარჯზე მოვა. ექსპერტების შეფასებით [8,13] ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა აფრიკაში, ჩინეთსა და ინდოეთში გაიზრდება სოფლის რაიონების ელექტრიფიკაციის განვითარების შესაბამისად. ელექტრომობილების და ჰიბრიდული ავტომობილების გამოყენების გაფართოების კვალდაკვალ განვითარებულ ქვეყნებშიც გაიზრდება მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე. 2020 წლისათვის მსოფლიოში ელექტრიფიკაციის დონე მიაღწევს 80 %-ს.

ენერჯის მოხმარების ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იქნება ინდუსტრიალიზაცია. სურათ.№2 მოცემულია ენერგორესურსების მოხმარების პროგნოზი რეგიონების, ენერჯის პირველადი მოხმარების და საბოლოო სახეების მიხედვით.




*ბიოსათბობის ჩათვლით

სურ.№2.მსოფლიოში ენერგორესურსების მოხმარების პროგნოზი (1990-2030წწ)

სურათ №2-ზე მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ 2030 წელს პირველადი ენერჯის მსოფლიო მოხმარების თითქმის 80% მოვა მოპოვებით სათბობზე, თუმცა საპროგნოზო პერიოდში უფრო სწრაფად გაიზრდება განახლებადი ენერგორესურსების მოხმარება. იგი საშუალოდ 8% -ით მოიმატებს. სამომავლოდ მკვეთრად შეიცვლება ენერგიაზე მოთხოვნის გლობალური განაწილება. ერთის მხრივ იქნება სტაგნაცია ევროპაში, მეორეს მხრივ-იქნება მკვეთრი ზრდა აზიაში, სადაც თავმოყრილია ენერგიაზე მოთხოვნის 60%, აგრეთვე აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში და ლათინურ ამერიკაში. 2030 წლისათვის ჩინეთი გახდება ნავთობის უმსხვილესი მომხმარებელი. იგი გაუსწრებს ა.შ.შ-ს, სადაც ნავთობის მოხმარება დაიყვანება მინიმუმამდე. ამ მომენტიდან ინდოეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ახალი აღმოსავლეთი და აფრიკის ნაწილი სახარტიდან სამხრეთით მსოფლიო მოთხოვნის ზრდის ძირითადი ლოკომოტივები იქნებიან.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიოში ენერგომატარებლების წარმოების პროგნოზული ანალიზი. იხ. სურათ №3.

მსოფლიოში ენერგორესურსების წარმოების პროგნოზი (მლრდ. ტ.ნ.ე)



მლრდ. ტ.ნ.ე. --- მილიარდი ტონა ნავთობის ექვივალენტი

სურ.№3.მსოფლიოში ენერგორესურსების წარმოების პროგნოზი (1990-2030წწ).

სურათ. №3-ზე წარმოდგენილი ენერგომატარებლების წარმოების პროგნოზული ანალიზიდან ირკვევა, რომ პირველადი მოპოვებითი რესურსების წარმოებაში ძირითად როლს შეასრულებენ ქვეყნები, რომლებიც არ შედიან ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციაში. მათ წილად მოდის მიწოდების თითქმის 80%-ი. ამ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზრდება ენერგორესურსების არა მხოლოდ მოხმარება, არამედ წარმოებაც. წარმოების ყველაზე მეტი მატება მოდის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე, თუმცა ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ამ რეგიონში აქტიურად გამოიყენება ნახშირი და რესურსების მოპოვება ხელმისაწვდომია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირის მარაგების დიდი მოცულობის გამო მის წარმოებაში პრობლემები არ იქნება. კვლევებით [8,11,13] დადგენილია, რომ 2040 წლისათვის მსოფლიოში მოთხოვნა ნახშირზე გაიზრდება 15%-ით. ამ მატების ორი მესამედი მოვა უახლოეს ათწლეულზე. ჩინეთში მოთხოვნა ნახშირზე მიაღწევს მთელი მსოფლიო მოთხოვნის 50%-ს. 2030 წლიდან შემცირდება მოთხოვნა ნახშირზე განვითარებულ ქვეყნებში. მათ შორის ა.შ.შ-ში, სადაც ელექტროენერჯის წარმოებაში ნახშირის მოხმარება შემცირდება ერთი მესამედით. მეორე


ადგილზე გავა ინდოეთი და იგი 2020 წლისათვის გახდება ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელი. 2040 წლისათვის ჩინეთზე, ინდოეთზე, ინდონეზიაზე და ავსტრალიაზე მოვა ნახშირის წარმოების 70%-ზე მეტი. ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურებში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა და აგრეთვე შორეულ პერსპექტივაში ჩ 2 გამონახოლქვისმართვისა და შენახვის პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება გახდეს დაბალნახშირბადიან ენერგეტიკაზე გადასვლის ეფექტური საშუალება.

დადგენილია, [6,8,13] რომ ენერგომატარებლებს შორის ელექტროენერჯის წარმოება წარმოადგენს ყველაზე სწრაფად მზარდს. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში მოსალოდნელია ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა, საჭირო გახდება აშენდეს 7200გვა ვატი სიმძლავრის გენერაციის ობიექტები. მთელს მსოფლიოში ქმედითი ღონისძიებები გატარდება ელექტროენერჯის წარმოებაში განახლებადი ენერგორესურსების გამოსაყენებლად. ამ სახით ელექტროენერჯის წარმოების წილი გაიზრდება მთელი გენერაციის ერთი მესამედით. 2040 წლისათვის განახლებადი ენერგორესურსების ბაზაზე ელექტროენერჯის წარმოების წილი 50%-ს მიაღწევს. ამავე დროს ბიოსათბობის გამოყენება სითბოს გამოსამუშავებლად გაიზრდება ორჯერ და დღე-ღამეში 4,6 მილიონ ბარს მიაღწევს. განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება ელექტროენერჯის წარმოებაში ყველაზე მეტად გაიზრდება განვითარებად ქვეყნებში და იგი ახლო მომავალში 37%-ს მიაღწევს.

ჩინეთში, ინდოეთში, ლათინურ მერიკაში და აფრიკაში გენერაცია განახლებად რესურსებზე გაიზრდება 34%-ით. მათ შორის ჰიდროენერგეტიკა 30%-ით. მზის ენერგეტიკა 18%-ით, ევროპის ქვეყნებში ქარის ენერჯის გამოყენება მიაღწევს 20%-ს. ამჟამად იაპონიაში ზაფხულის პერიოდში მზის ენერჯის გამოყენება შეადგენს 37%-ს.

აღსანიშნავია, რომ ატომური ენერგეტიკა ეროვნული სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს იმ ქვეყნებშიც კი რომლებიც ახორციელებენ ატომური ელექტროსადგურების ეტაპობრივ დახურვას და ეძებენ მათ შემცვლელს. 2040 წლისათვის ატომურ სადგურებზე ელექტროენერჯის წარმოება 2013 წელთან შედარებით გაიზრდება 60%-ით. მსოფლიოში ელექტროენერჯის წარმოებაში ატომური ენერჯის წილად მოვა 12%-ი. 2040 წლისათვის ჩინეთის წილად მოვა ატომური გენერაციის ზრდის 40%-ი. ინდოეთში, კორეაში და რუსეთში ზრდა იქნება 30%-ი. ა.შ.შ-ში ატომური ენერჯის წარმოება გაიზრდება 16%-ით. ევროკავშირში შემცირდება 10%-ით.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით [10] მოთხოვნა ბუნებრივ გაზზე 2030 წლისათვის გაიზრდება 50%-ით. გაზის წარმოების და მოხმარების ზრდა ძირითადად კონცენტრირებული იქნება ქვეყნებში, რომლებიც არ შედიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში. სურათ №4-ზე ნაჩვენებია ბუნებრივი გაზის მოპოვების პროგნოზი რეგიონების მიხედვით.



ეთგო -- ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია

სურ.№4. ბუნებრივი გაზის მოპოვების პროგნოზი (1990-2030წწ) რეგიონების მიხედვით (მლრდ კუბ.ფუტი დღე-ღამე)


სურათ. №4-ზე ნათლად ჩანს, რომ გაზის ამოღების ზრდის 37%-ი მოდის ფიქლის გაზზე. გაზზე მოთხოვნის ძირითადი რეგიონები იქნებიან ჩინეთი და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ხოლო განვითარებად ქვეყნებში გაზი იქნება სათბობის ძირითადი სახე. ენერგეტიკულ ბალანსში ამას ხელს შეუწყობს ა.შ.შ-ს მიერ შემოღებული შეღებვები ელექტროსადგურებში ჩ 2 გამოფრქვევაზე. გაზის მოპოვება გაიზრდება ყველგან (გარდა ევროპისა). არასტანდარტულ რესურსებზე მოვა თითქმის 60%-ი. გაზის იმპორტზე მოთხოვნა გაიზრდება აზიის ქვეყნების უმეტეს ნაწილში, აგრეთვე ევროპაში. გაზის მყიდველთა დამაჯერებლობას გაზრდის დეფიციტურ რეგიონებში თხევადი გაზის მიწოდების გასამზაგება.

მრავალ ქვეყანაში იზრდება ინტერესი ენერგოეფექტურობის ამაღლების მიმართ. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში აქტიურად ამუშავებენ და ნერგავენ ენერგოეფექტურობის ამაღლების ღონისძიებებს საყოფაცხოვრებო ელექტრო-ხელსაწყოებში, აწესებენ კონტროლს მათ მინიმალურ ელექტროწარმადობაზე და ნერგავენ შესაბამის ენერგოსტანდარტებს. ტექნოლოგიები მიმართული სათბობის მოხმარების შემცირებაზე და ნახშირორჟანგის გამოფრქვევაზე. ისეთი ღონისძიებები როგორცაა: მწვანე შენობები, სუფთა ტრანსპორტი მოგვევლინებინ საკვანძო ტექნოლოგიურ საშუალებებად ენერგოეფექტურობის ამაღლებასა და ჩ 2 გამოფრქვევის მოცულობების შემცირებაში.

ამ საქმეში წინა პლანზე იწევს სატრანსპორტო სფეროში ენერგოეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტა. ამჟამად საავტომობილო ბაზრის სამი მეოთხედი ექცევა სათბობის სტანდარტების ქვეშ. იმ პირობებშიც კი, როდესაც 2040 წლისათვის ავტომობილების წარმოება გაიზრდება ორჯერ, ტრანსპორტზე ნავთობის საწვავზე მოთხოვნა გაიზრდება მხოლოდ ერთი მეოთხედით, რაც საშუალებას მისცემს მსოფლიოს ნავთობზე მოთხოვნა დღე-ღამეში შეამციროს 23 მილიონ ბარელამდე.

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები [8,12,13] თვლიან, რომ 2030 წლისათვის ძრავის სათბობზე მოთხოვნა დაახლოებით 5%-ით დაკმაყოფილდება ბუნებრივი გაზის ხარჯზე, 5%-ით ბიოსაწვავის ხარჯზე, ელექტროენერჯის წილი იქნება 2%-ი. უფრო გრძელვადიან პერიოდში

სიტუაცია შეიცვლება. ტრანსპორტზე ენერგომატარებლებზე მოთხოვნის ანალიზი [11] მოცემულია სურათ.№5-ზე.



სურ.№5. ტრანსპორტზე ენერგორესურსების მოხმარების პროგნოზი (1990-2030წწ).

სურათ.№5 -იდან ჩანს 2030 წლისათვის ნავთობის საწვავის ხარჯი ერთი ავტომობილის 100 კმ-იან გარბენზე ა.შ.შ-ში 5 ლიტრზე ნაკლები იქნება, ჩინეთში 4,5 ლიტრი, ევროკავშირის ქვეყნებში 3,5 ლიტრი. ავტომობილებზე საწვავის ხარჯის და ჩ 2 შემცირების ამოცანის გადაწყვეტა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, თუმცა ქვეანაში ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი არ კეთდება.

მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციების უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ცხრილი №1-ში მოცემულია ენერგორესურსების უმსხვილესი მომხმარებელი ქვეყნების გენერაციის სტრუქტურის ანალიზი.

ცხრილი №1. ენერგორესურსების უმსხვილესი მომხმარებელი ქვეყნების წარმოების სტრუქტურის პროგნოზული ანალიზი.(უახლოესი 10 წელიწადი)

ქვეყანა	ჩინეთი	ინდოეთი	ბრაზილია	ა.შ.შ.	რუსეთი
ჰესები	15%	25%	80%	6%	16%
ატომური ელექტრო სადგურები	2%	3%		20%	15%
თბოელექტრო სადგურები		65%			
ნახშირზე მომუშავე ელ.სადგურები	80%		1%	48%	19%

გაზზე მომუშავე ელსადგურები	1%		9%	21%	48%
მაზუთზე მომუშავე ელსადგურები	1%		3%		2%
არატრადიციული	1%	7%	1% -ქარის ელსადგურები 4%-ბიომასა		
გენერაციის სხვა სახეები				5%	

საქართველოში ენერგორესურსების წარმოების განვითარების ტენდენციების და 2020 წლამდე მათი წარმოების რეალური მოცულობების დადგენის მიზნით შესრულებულია ქვეყანაში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი. ამ პროგნოზის მაღალი სიზუსტით განხორციელების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ამ ნაშრომის ავტორების მიერ დამუშავებული პროგნოზირების რეგრესული ანალიზის, მრავალფაქტორიანი და ნეირონული ქსელების ჰიბრიდული მოდელი.[5].

ამ მოდელით საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზის განსახორციელებლად მოდიფულ იქნა 2007-2015 წლების სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ენერგორესურსების წარმოებისა და მასზე მოქმედი სავარაუდო ფაქტორების შესახებ [1,2,3]. შედეგები შეტანილია ცხრილ №2 და ცხრილ №3-ში.

ცხრილი №2. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების წარმოების სტატისტიკური მონაცემები 2007-2015 წწ[1,2,3,4]

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ელ. ენერჯია	მლნ. კვტ.სთ.	8,346	8,451	8,408	10,058	10,105	9,695	10,059	10,370	10,833
ნავთობი ¹	ტონა	63,850	51,660	52,731	50,413	48,942	44,061	51,018	52,120	50,047
ბუნებრივი აირი ²	1000 მ ³	17,776	13,828	12,165	8,148	5,758	5,380	5,424	8,657	10,148
ნახშირი	ტონა	18,891	58,275	168,451	267,664	352,872	421,755	371,847	275,058	177,560
შეშა	მ ³	805,423	818,231	697,461	798,881	595,433	447,479	626,243	595,359	445,020

ცხრილი №3. ელექტროენერჯიისა და შეშის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების სტატისტიკური მონაცემები 2007-2015 წწ[1,2,3,4]

²ბუნებრივი აირი თხევად ან აირისებრ მდგომარეობაში

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ელექტროენერჯის იმპორტი	მლნ. კვტ.სთ	433	649	255	222	471	615	484	59	699
ელექტროენერჯის ექსპორტი	მლნ. კვტ.სთ	626	680	749	1,524	931	528	450	604	660
პ.უ.ი. ენერჯეტიკის სექტორში	მლნ. აშშ დოლარი	362.58	294.86	-2.13	21.88	203.95	179.40	244.75	189.94	65.31
ბუნებრივი გაზის მოხმარება	მლნ. კუბური მეტრი	1,684	1,463	1,184	1,094	1,750	1,933	1,907	2,190	2,403
შემის წარმოება	კუბური მეტრი	805,423	818,231	697,461	798,881	595,433	447,479	626,243	595,359	445,020
ელექტროენერჯის მოხმარება	მლნ. კვტ.სთ	8,603	8,930	8,533	10,141	10,383	10,087	10,345	11,006	11,292
ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი	აშშცენტი/კვტ.სთდღე-ის ჩათვლით	8.12	8.12	8.12	7.97	7.97	7.58	7.58	8.20	8.62
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	აშშდოლარი/ლარი	1.6707	1.4902	1.6705	1.7826	1.6860	1.6513	1.6634	1.7659	2.2750
მშპ-ის რეალური ზრდა	პროცენტული ცვლილება (%)	12.58	2.61	-3.74	6.2	7.19	6.4	3.32	4.62	2.8
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მოხმარება	მლნ. კუბური მეტრი	980.8	1078.5	886.8	889.2	1086.4	1189.8	1370.7	1579.2	1689.4
ურბანიზაციის დონე	%	53%	53%	53%	53%	53%	53%	54%	54%	57%

მითითებულ ცხრილებში შეტანილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩატარდა კორელაციური ანალიზი. კორელაციის შედეგები მოცემულია ცხრილ №4-ში.

ცხრილი №4. ელექტროენერჯის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციური მატრიცა.

ფაქტორები	ელექტროენერჯის წარმოება	ელექტროენერჯის იმპორტი	ელექტროენერჯის ექსპორტი	პ.უ.ი. ენერჯეტიკის სექტორში	ბუნებრივი გაზის მოხმარება	შემის წარმოება	ელექტროენერჯის მოხმარება	ის სამომხმარებლო	წლიური გაცვლითი კურსი	რეალური ზრდა
ელექტროენერჯის წარმოება	1.000									
ელექტროენერჯის იმპორტი	-0.020	1.000								
ელექტროენერჯის ექსპორტი	0.125	-0.356	1.000							
პ.უ.ი. ენერჯეტიკის სექტორში	-0.331	0.284	-0.502	1.000						

ბუნებრივი გაზის მოხმარება	0.615	0.304	-0.619	0.233	1.000					
შემის წარმოება	-0.670	-0.313	0.413	0.250	-0.761	1.000				
ელექტროენერჯის მოხმარება	0.986	0.008	0.016	-0.244	0.706	-0.698	1.000			
ელექტროენერჯის	0.096	0.007	0.099	-0.243	0.240	-0.004	0.139	1.000		
საშუალო წლიური გაცვლითი	0.662	0.161	0.072	-0.478	0.556	-0.551	0.646	0.652	1.000	
მშპ-ის რეალური ზრდა	0.050	0.079	0.089	0.617	0.176	0.127	0.053	-0.157	-	1.000

ცხრილი №5. შემის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციური მატრიცა.

ფაქტორები	შემისწარმოება	საშუალო წლიური გაცვლითი	საყოფაცხოვრებო ურბანიზაციის დონე
შემისწარმოება	1.000		
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო ურბანიზაციის დონე	-0.690	1.000	
ურბანიზაციის დონე	-0.580	0.134	1.000

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში წარმოებული ენერჯორესურსებიდან ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნახშირის წარმოებას უმნიშვნელო წილი უკავია ენერჯორესურსების მთლიან წარმოებაში, ამ რესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზირება ჩატარებულია ავტორეგრესული მეთოდით [18] ცხრილ №2-ში მოცემული მონაცემების საფუძველზე. ამავე მეთოდით არის ჩატარებული ელექტროენერჯისა და შემის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების საშუალოვადიანი პროგნოზირება. შედეგები შეტანილია ცხრილში №6 და №7.

ცხრილი №6. ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნახშირის წარმოების პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელები

ენერჯორესურსი	პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელი
ნავთობი	$\hat{y} = 40432.8223631174 + 0.104320801026442 x_{t-1} + 0.0818645775241203 x_{t-2}$
ბუნებრივი აირი	$\hat{y} = 2969.59353995853 + 1.11622294697542 x_{t-1} - 0.458041819975042 x_{t-2}$
ნახშირი	$\hat{y} = 97058.7319735181 + 1.44796250072751 x_{t-1} - 0.85457604756966 x_{t-2}$

ცხრილი №7. ენერჯეტული რესურსების წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელები

ფაქტორი	პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელი
ელექტროენერჯის იმპორტი ³	$\hat{y} = 0$
ელექტროენერჯის ექსპორტი	$\hat{y} = 789.975193574696 + 0.378938100723352 x_{t-1} - 0.392634997479875 x_{t-2}$
პ.უ.ი. ენერჯეტის სექტორში	$\hat{y} = 210.495569984267 + 0.169196317323099 x_{t-1} - 0.583783984981085 x_{t-2}$
ბუნებრივი გაზის მოხმარება	$\hat{y} = 257.527676629157 + 0.686708072223146 x_{t-1} + 0.301623958879744 x_{t-2}$
შემის წარმოება	გამოყენებულია ხელოვნური ნეირონული ქსელების მეთოდი

³ ცხრილი #4-ზე დაყრდნობით გაკეთებულია დაშვება, რომ ელექტროენერჯის იმპორტი მთლიანად უნდა ჩანაცვლდეს ადგილობრივი წარმოებით.

ელექტროენერჯის მოხმარება	$\delta = 2392.06178642462 + 0.545458601047022 \delta_{-1} + 0.256232484030564 \delta_{-2}$
ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი	$\delta = 9.73086896037924 + 0.891712900237678 \delta_{-1} - 1.11067047743373 \delta_{-2}$
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	$\delta = 0.804334990959998 + 1.04338625746767 \delta_{-1} - 0.460932583109392 \delta_{-2}$
მშპ-ის რეალური ზრდა	$\delta = 6.56345784436357 + 0.0347220665215313 \delta_{-1} - 0.580955204861623 \delta_{-2}$
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო	$\delta = -23.7375866716233 + 1.20956961320583 \delta_{-1} - 0.122475356147879 \delta_{-2}$
ურბანიზაციის დონე	$\delta = 0.108 + 0.8 \delta_{-1} + 0 \delta_{-2}$

პროგნოზირების ავტორეგრესულ მოდელებში δ_{-1} , δ_{-2} არის საპროგნოზო ფაქტორების წინა 2 წლის მაჩვენებლები.

მე-6 და მე-7 ცხრილებში მოცემული პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელების გამოყენებით გამოთვლილია შესაბამისი ენერგორესურსის წარმოების და ფაქტორების საპროგნოზო მაჩვენებლები. შედეგები შეტანილია შესაბამისად მე-8 და მე-9 ცხრილებში.

ცხრილი №8. ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნახშირის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლები 2016-2020წწ.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ნავთობი	ტონა	49,920	49,738	49,708	49,690	49,686
ბუნებრივი აირი	1000 მ ³	10,332	9,854	9,236	8,766	8,524
ნახშირი	ტონა	119,102	117,775	165,811	236,499	297,803

ცხრილი №9. ელექტროენერჯისა და შემის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების საპროგნოზო მაჩვენებლები 2016-2020წწ.


ფაქტორი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერჯის იმპორტი	მლნ. კვტ.სთ	0	0	0	0	0
ელექტროენერჯის ექსპორტი	მლნ. კვტ.სთ	803	835	791	762	768
პ.უ.ი. ენერგეტიკის სექტორში	მლნ. აშშ დოლარი	110.66	191.09	178.23	129.09	128.29
ბუნებრივი გაზის მოხმარება	მლნ. კუბური მეტრი	2,568	2,746	2,918	3,089	3,259
შემის წარმოება	კუბური მეტრი	437,871	425,101	412,706	400,699	389,048
ელექტროენერჯის მოხმარება	მლნ. კვტ.სთ	11,371	11,488	11,572	11,648	11,710
ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი	აშშ ცენტი/კვტ.სთ. დღის ჩათვლით	8.31	7.57	7.24	7.79	8.63
საშუალო წლიური გაცვლითი	აშშ დოლარი/ლარი	2.3641	2.2224	2.0334	1.9016	1.8512

კურსი						
მშპ-ის რეალური ზრდა	პროცენტული ცვლილება (%)	4.0	5.1	4.4	3.8	4.1
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მოხმარება	მლნ. კუბურიმეტრი	1,826.30	2,003.33	2,199.37	2,414.93	2,651.66
ურბანიზაციის დონე	%	56%	56%	56%	55%	55%

ელექტროენერჯისა და შეშის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზული მარკენებლების დადგენის შემდეგ შესაძლებელი გახდა ელექტროენერჯისა და შეშის წარმოების პროგნოზირება მრავალფაქტორიანი მოდელისა და ხელოვნური ნეირონული ქსელების მეთოდის საშუალებით [14, 19].

მე-8 და მე-9 ცხრილების მონაცემების საფუძველზე PredictorX პროგრამული პაკეტის მეშვეობით, სხვადასხვა აქტივაციის ფუნქციის, ნეირონების არაფარული და ფარული შრეების სხვადასხვა რაოდენობის მიხედვით ექსპერიმენტით დადგინდა პროგნოზული მარკენებლები. კვლევამ აჩვენა, რომ პროგნოზირების ყველაზე მაღალი სიზუსტით განხორციელება შესაძლებელია ნეირონების ფარული შრეების – 1 და აქტივაციის ლოგისტიკურ-სიგმოიდური ფუნქციით. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში ელექტროენერჯისა და შეშის წარმოების პროგნოზირების ხელოვნური ნეირონული ქსელების მოდელი მიიღებს 6 სურათზე მოცემულ სახეს. ელექტროენერჯისა და შეშის წარმოების პროგნოზული პარამეტრები ასახულია ცხრილში №10.

სურათი №6. საშუალოვადიან პერიოდში ელექტროენერჯისა და შეშის წარმოების მარკენებლების პროგნოზირების მოდელი.



ცხრილი №10. ელექტროენერჯისა და შეშის წარმოების პროგნოზული პარამეტრები.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგია	მლნ. კვტ.სთ.	11,226	11,578	11,948	12,266	12,675
შეშა	მ ³	437,871	425,101	412,706	400,699	389,048

ცხრილი №11. ენერგორესურსების წარმოების პროგნოზული პარამეტრები.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგია	მლნ. კვტ.სთ.	11,226	11,578	11,948	12,266	12,675
შეშა	მ ³	437,871	425,101	412,706	400,699	389,048
ნავთობი	ტონა	49,920	49,738	49,708	49,690	49,686
ბუნებრივი	1000 მ ³	10,332	9,854	9,236	8,766	8,524
ნახშირი	ტონა	119,102	117,775	165,811	236,499	297,803

ცხრილი №11 -ში მოცემული პროგნოზული პარამეტრების დაზუსტების მიზნით დეტალურად იქნა შესწავლილი ქვეყანაში ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა. აღნიშნულის საფუძველზე დაზუსტდა 2020 წლამდე მათი ექსპლუატაციაში გაშვების გრაფიკი [1]. განისაზღვრა ელექტროენერჯის გამომუშავების შესაძლებლობები, ცალკე გაანალიზდა ამჟამად მოქმედი თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის გამომუშავების გაზრდის პერსპექტივები. თვალსაჩინოების მიზნით კვლევის შედეგები შეტანილია ცხრილ №12-ში.

ცხრილი №12. საქართველოში 2016-2020 წლებში გენერაციის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის შედეგად დამატებითი ელექტროენერჯის გამომუშავების მაჩვენებლები.

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	წარმოება	2016	2017	2018	2019	2020
ელექტროენერგია	მლნ. კვტ.სთ.	ზედა, თეორიულად შესაძლებელი	1,365.5	2,370.5	2,872.0	3,212.1	3,376.3
		ქვედა, რეალურად შესაძლებელი	1,092.72	1,896.4	2,298.36	2,574.2	2,701.2

ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგების კომპლექსურად შეფასების, ახალი საწარმოო სიმძლავრეების დადგენილ ვადებში ექსპლუატაციაში შეყვანის, ელექტროენერჯის წარმოებაში თბოსადგურების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების, მოსახლეობის გაზიფიკაციის შემდგომი გაფართოების ეფექტის გათვალისწინებით, რეგულირებადი ტრენდით ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდის [19] გათვალისწინებით, დადგინდა ენერგორესურსების წარმოების ზედა და ქვედა ზღვრები. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი მიიღებს ცხრილ №13-ში მოცემულ სახეს.

ცხრილი №13. საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	ზღვარი	2016	2017	2018	2019	2020
ელექტრო-ენერჯია	მლნ. კვტ.სთ.	ზედა	12,592	13,949	14,820	15,478	16,051
		საბაზისო	12,319	13,474	14,246	14,840	15,376
		ქვედა	11,226	11,578	11,948	12,266	12,675
შემა	მ3	ზედა	459,765	446,356	433,341	420,734	408,500
		საბაზისო	437,871	425,101	412,706	400,699	389,048
		ქვედა	415,977	403,846	392,071	380,664	369,596
ნავთობი	ტონა	ზედა	52,416	52,225	52,193	52,175	52,170
		საბაზისო	49,920	49,738	49,708	49,690	49,686
		ქვედა	47,424	47,251	47,223	47,206	47,202
ბუნებრივი აირი	1000 მ3	ზედა	10,849	10,347	9,698	9,204	8,950
		საბაზისო	10,332	9,854	9,236	8,766	8,524
		ქვედა	9,815	9,361	8,774	8,328	8,098
ნახშირი	ტონა	ზედა	125,057	123,664	174,102	248,324	312,693
		საბაზისო	119,102	117,775	165,811	236,499	297,803
		ქვედა	113,147	111,886	157,520	224,674	282,913

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან და მსოფლიოს სამეცნიერო ანალიტიკური ცენტრების მიერ დამუშავებული პროგნოზირების სცენარებიდან [14] გამომდინარე მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარების მომავალ 15 წელიწადში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

1. ნავთობის მოხმარება გაიზარდა 10-15%-ით. ამასთან შესაძლებელია, როგორც ზრდა, ისე შემცირება.
2. ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა 2-2,5 ჯერ და მიაღწევს 5-6 მლრდ.ტ.ნ.ე.
3. ნახშირის მოხმარება შეიძლება გაიზარდოს 15%-ით და მიაღწიოს 4 მლნ ტ.ნ.ე. მატება განპირობებული იქნება განვითარებად ქვეყნებში მოთხოვნის გაზრდით, ამასთან შესაძლებელია მისი შემცირება ეკოლოგიური შეზღუდვების გამკაცრებით.
4. ბიომასის და განახლებადი ენერჯორესურსების მოხმარება თითოეულ ამ სახის რესურსზე გაიზარდა 3-4 -ჯერ და მიაღწევს 2,5-3,0 მლრდ.ტ.ნ.ე.
5. ატომური ენერჯის განვითარების პერსპექტივები პირველ რიგში დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამჟამად ყველაზე რეალისტურად მიჩნეულია ატომური ენერჯის ზრდა 1,5-2,5-ჯერ.
6. სწრაფი ტემპით გაიზარდა მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე, განახლებად ენერჯორესურსების ბაზაზე ელექტროენერჯის წარმოების წილი მიაღწევს 50%-ს.
7. როგორც შედეგი, მსოფლიოს ენერჯეტიკის სტრუქტურა გახდება უფრო დივერსიფიცირებული. ენერჯის საერთო მოხმარების მოცულობა მიაღწევს 19-28 მლრდ.ტ.ნ.ე.
8. კორელაციური ანალიზით დადგენილია საქართველოში ენერჯორესურსების წარმოებაზე მოქმედი ფაქტორები პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელების გამოყენებით, განსაზღვრულია საშუალოვადიან პერიოდში ამ ფაქტორების პროგნოზული სიდიდეები;
9. პროგნოზირების მაღალი სიზუსტით განხორციელების მიზნით რეგრესული ანალიზისა და ხელოვნური ნეირონული ქსელების მეშვეობით შესრულებულა საქართველოში ელექტროენერჯის, შეშის, ნახშირის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის წარმოების საშუალოვადიან პროგნოზირება, ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდით დაზუსტებულია წარმოების პარამეტრები, შესაბამისად, განსაზღვრულია პროგნოზული მაჩვენებლები.
10. პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომით შემუშავებულია საქართველოში საშუალოვადიან პერიოდში ენერჯორესურსების წარმოების პროგნოზირების ერთიანი მეთოდიკა, რომელიც ატარებს უნივერსალურ ხასიათს და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ დარგში პროდუქციის წარმოების პროგნოზირებაში. აღნიშნული მეთოდიკა აპრობირებულია საქართველოს მაგალითზე და, შესაბამისად, განსაზღვრულია საშუალოვადიან პერიოდში ენერჯორესურსების წარმოების პროგნოზული პარამეტრები.
11. საქართველოში ენერჯეტიკული რესურსების წარმოების პროგნოზული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში სწრაფი ტემპით გაიზარდა ელექტროენერჯის წარმოება განახლებადი ენერჯორესურსების გამოყენების ხარჯზე. ზრდის ტენდენციებით ხასიათდება ნახშირის წარმოება. მოსახლეობის გაზიფიკაციის ზრდის კვალდაკვალ შემცირდება შეშის მოხმარება. პრაქტიკულად არ გაიზარდა ბუნებრივი გაზის და ნავთობის წარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო <http://www.energy.gov.ge/>
2. ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი. ენერჯობალანსი 2006-2015 http://esco.ge/index.php?article_id=8&clang=0
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, წლიური ანგარიშები <http://gnerc.org/ge/public-information/reports/tsliuri-angarishi>
5. დ. ჯაფარიძე, ი. ბიჭიაშვილი, ნ. გიორგიშვილი. „საქართველოში სამუალოვადიან პერიოდში ენერგორესურსების წარმოების ოპტიმალური დაგეგმვა“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული. თბილისი, №3. 2016 წ.
6. А. Захаров, М. Овакимян. «Тенденции развития мировой энергетики». Журнал «Экономика ТЕК». №1(32),2015.
7. В. Кондратьев. « Тенденции развития мировой энергетики» (Ч.1). Электронный журнал «Перспективы». 2013.
8. В. Кондратьев. «Тенденции развития мировой энергетики» (Ч.2). Электронный журнал «Перспективы».№3(7) 2016.
9. «Тренды и сценарии развития мировой энергетики в первой половинеXXIвека. «Институт энергетической стратегии». 2011г.
10. Р. И. Хансаяров. «Современные тенденции развития мировой энергетики». Журнал «Экономические науки». №12. 2011г.
11. «Прогноз мировой энергетики» (Ч.1) «МЭА» 2015г.
12. К. Рюль. «Прогноз развития мировой энергетики до 2030 года» Электронный журнал «Экономический портал» 2013г.
13. А. Никитина. «Прогноз развития мировой энергетики ВП 2016» (Ч.1).Национальный отраслевой журнал «Нефтегазовая вертикаль»2016г.
14. Н. И. Андриянов, С.В. Генералова, С.П.Юякевичюс. «Анализ прогнозов развития мировой энергетики». Журнал «Инноватика и экспертиза». 2(11) 2013г.
15. US Energy Information Administration / International Energy Statistics <http://www.eia.gov/cfapps/ipdbproject/iedindex3.cfm?tid=3&pid=26&aid=1&cid=GG,&syid=1980&eyid=2012&unit=BCF>
16. Artificial Neural Networks: An Introduction to ANN Theory and Practice edited by P.J. Braspenning, F. Thuijsman, A.J.M.M. Weijters .
17. Энергетическая стратегия России на период до 2035 года
18. International Energy Outlook 2013. DOE/EIA-0484(2013) [http://www.eia.gov/forecasts/ieo/pdf/0484\(2013\).pdf](http://www.eia.gov/forecasts/ieo/pdf/0484(2013).pdf)
19. Jarkko Isotalo „Basics of Statistics“ 2008წ. გვ. 79.
20. W. Penny and L. Harrison. **Multivariate autoregressive models**. In K. Friston, J. Ashburner, S. Kiebel, T. Nichols, and W. Penny, editors, *Statistical Parametric Mapping: The analysis of functional brain images*. Elsevier, London, 2006.
21. Mohamad Hassoun, Fundamentals of Artificial Neural Networks (MIT Press) 1995.
22. International Energy Agency.

რეზიუმე

დავით ჯაფარიძე, ნინო გიორგიშვილი, ირაკლი ბიჭიაშვილი.

მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი

სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარებისადმი მიძღვნილი ცნობილი მეცნიერების შრომები და საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზული მონაცემები, დადგენილია ენერგეტიკის განვითარების მსოფლიო ტენდენციები და ენერგორესურსების წარმოება-მოხმარების პროგნოზული მაჩვენებლები. საქართველოში ენერგეტიკის განვითარების ტენდენციების მეცნიერული კვლევის საფუძველზე განსაზღვრის მიზნით, პროგნოზირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, შესრულებულია ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი. მიღებული პროგნოზული პარამეტრები დაზუსტებულია ექსპერტული შეფასებით, რომელშიც გათვალისწინებულია 2016-2020 წლებში ენერგორესურსების წარმოების ზრდის გეგმური მაჩვენებლები და რეგულირებადი ტრენდით ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდით განსაზღვრულია ენერგორესურსების წარმოების ზედა და ქვედა ზღვრები. ჩატარებული კვლევებით გამორკვეულია, რომ საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში მოსალოდნელია განახლებადი ენერგორესურსების, ელექტროენერჯის წარმოების სწრაფი ტემპებით ზრდა, გაიზრდება აგრეთვე ნახშირის წარმოება. მოსახლეობის გაზიფიკაციის გაფართოების ხარჯზე შემცირდება შეშის მოხმარება. ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მოპოვება პრაქტიკულად დარჩება არსებულ დონეზე, მომავალში შესაძლებელია აღნიშნული ენერგორესურსების მოპოვების კლება.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, ენერგორესურსები, პროგნოზი, პროგნოზული პარამეტრები, ელექტროენერჯია, გეგმური მაჩვენებლები.

Summary

David Japaridze, Nino Giorgishvili, Irakli Bichiashvili

World energy development trends and medium-term forecast for the production of energy resources in Georgia

Article provides the analyses of works done by scientists regarding future development of energy sector and forecasted data provided by International Energy Agency. In this article trends of energy sector future developments and forecasted parameters of energy resources supply-demand have been estimated. Using advanced forecasting methods mid-term forecasting of energy resources production has been done, results are verified based on specialists' assessments. Using trend-adjusted exponential smoothing method upper and lower margins of energy resources production have been set for 2016-2020 period. According to the research we can safely say that in mid-term period higher production level of renewable energy resources as well as electricity is expected, production of coal will also increase significantly. Due to expansion of gasification process consumption of wood will step-down. Level of fuel and natural gas production will retain, in future production level of mentioned energy resources may fall a bit.

Keywords: Energy, energy Resources, prognosis, prognostic parameters, electrical energy, planned highlights.

Резюме

Давид Джапаридзе, Нино Георгишвили, Ираклий Бичиашвили

Мировые тенденции развития энергетики и среднесрочный прогноз для производства энергоресурсов в Грузии

В статье анализируется развитие энергетики в мире, посвященный произведениям науки и прогнозирования данных Международного энергетического агентства, по оценкам производства и потребления топливно-энергетических ресурсов и тенденций развития энергетики в мире прогностических показателей. Тенденции развития энергетики Грузии в области научных исследований с целью выявления, прогнозирования с использованием современных методов, формирования среднесрочного прогноза состоит из энергии. Прогнозные параметры, указанные в оценке экспертов, которые давали за годы 2016-2020 в производстве энергии планируемых темпов роста и регулируемого экспоненциального метода выравнивания тренда, определенных в производстве энергии верхнего и нижнего пределов. Исследования Gamorkveulia, в среднесрочной перспективе, Грузия, как ожидается, к использованию возобновляемых источников энергии, производства электроэнергии быстрыми темпами роста, а также увеличение добычи угля. Газификация роста населения за счет снижения потребления древесины. Природный газ и добыча нефти будет оставаться практически на уровне, скорее всего, дальнейшее снижение добычи энергоресурсов.

Ключевые слова: Энергетика, энергоресурсы, прогноз, прогнозные параметры электричество, плановые показатели.

ფარავანი ჰესზე განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრა

გ. ამოლაძე, დ. ბაქანიძე

შესავალი


უკანასკნელ წლებში განვითარდა ენერგობიექტების მშენებლობა, რასაც ხელს უწყობს უცხოეთიდან მოზიდული ინვესტიციები. ქვეყნის ენერგობალანსის გასაუმჯობესებლად თითოეულ ახალ სიმძლავრეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობას იძენს ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრა.

ძირითადი ტექსტი


ქვეყნის ენერგოსისტემამ 2009 წლიდან ააშენა და განაახლა ახალი სიმძლავრები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის ენერგობალანსის გაუმჯობესებაში.

ცხრილებში მოცემულია 2009 წლამდე ქვეყანაში არსებული ელექტრული სადგურების მიერ გამომუშავებული ელენერგია და 2015 წლის ბოლოსთვის არსებული ვითარება.

ცხრილი 1. წარმოებული ელენერგია მლნ/კვტსთ-ში.



ცხრილი 2. 2009-2016 წლებში ამოქმედებული ახალი სიმძლავრეები





ცხრილი 3. 2009-2015 წლებსი ახალი სიმძლავრეებით გამომუშავების პროცენტული ზრდა ენერგობალანსში.

დასახელება	2009	2010		2011		2012		2013		2014		2015	
	მლნ. კვტ.ს	მლნ. კვტ.ს	ნაზრ დი (%)	მლნ. კვტ.ს	ნაზრ დი (%)	მლნ. კვტ.ს	ნაზრ დი (%)	მლნ. კვტ.ს	ნაზრ დი (%)	მლნ. კვტ.ს	ნაზრ დი (%)	მლნ. კვტ.ს	ნაზრ დი (%)
გამომუშავება	8,4023	10046,3	19.62 %	10106,1	0.47%	9697.6	-4.03%	10059.3	3.72%	10371.1	3.09%	10,832.5	4.46%

ფარავნის ჰიდროელექტრო სადგური აგებულია ევროპული ხარისხის მქონე ტექნიკით. იგი ექსპლოატაციაში შევიდა 2014 წლის ბოლოს და ცხრილში მოცემულია ჰესის მიერ გეგმიური და ფაქტიური გამომუშავებების საშუალო თვიური მონაცემები მგვტ-ში.

ცხრილი 4. ფარავანჰესის გეგმიური და ფაქტიური სიმძლავრის მაჩვენებლები 2015-2016 წლებისათვის





ფარავანი ჰესზე ახალი სიმძლავრეების ამოქმედებაზე გამოყენებული ინვესტიციების ეფექტიანობა განისაზღვრება ეფექტიანობის შეფასების განზოგადოებული რესურსულ-დანახარჯების მოდელის საფუძველზე, რომელშიც ფარავანი ჰესის საქმიანობას ჯამური დანახარჯები გამოსახულია წარმოებული ელექტროენერჯის სრული ღირებულებით. (1). ეს მოდელი ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთ ქვეყნებში.

ამ შემთხვევაში რენტაბელობის გამოთვლა ხდება მოცემულ პერიოდში ენერგობიექტების მიერ სამეურნეო საქმიანობით მიღებული წმინდა მოგების შეფარდებით მიმდინარე წლიური დანახარჯების, მოცემული წლის ამორტიზაციისა და წმინდა მოგების ჯამთან ანუ წარმოებული ელექტროენერჯის ფასთან.

ჩვენ კერძო შემთხვევაში ფარავანი ჰესის მიერ 2015 წელს წარმოებულ იქნა 420 000000 კვტ/სთ ელექტროენერჯია და მიღებული იქნა 3 140 000 აშშ დოლარი წმინდა მოგება, ხოლო მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 1200000 აშშ დოლარი. წლიური სამორტიზაციო ანარიცხების სიდიდეა 4500000 აშშ დოლარი.

2015 წლის მონაცემების საფუძველზე ახალი სიმძლავრის ამოქმედებაზე გამოყენებული ინვესტიციების ეფექტიანობა გამოითვლება ფორმულით:
$$\mathfrak{P}_i = \frac{\Pi_i}{3_i + A_i + \Pi_i} \quad (1)$$

ხოლო ჩვენი მონაცემებით შეადგენს:
$$\mathfrak{P}_i = \frac{3140000}{1200000 + 4500000 + 3140000} = 0,355$$

ინვესტიციების ეფექტიანობამ შეადგინა 35,5 %. ე.ი. 1 აშშ დოლარის ჩადებულმა ინვესტიციამ მოიცვა 35,5 ცენტი ამოგება, რაც ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ამას გარდა, ახალი სიმძლავრის ამოქმედებაზე მოქმედებს სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორები, მათ შორის წარმოებული ელექტროენერჯის სარეალიზაციო ტარიფი, კერძო საკუთრება, მირითადი კაპიტალის რაოდენობა, სტრუქტურასა და ღირებულებაზე, იმის გამო, რომ ინვესტიცია განხორციელდა ვალუტით, აშშ დოლარით, ინფლაციის სიდიდე აიღება 0-ის ტოლად. ვითვალისწინებთ 2015 წლის სამეურნეო საქმიანობის ფაქტობრივ მაჩვენებელს და

ფორმულის (1) შინაარსობრივ თავისებურებების გაშლით რეალურ მაჩვენებლებში. ვანგარიშობთ ფარავანი ჰესზე ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეზე განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის განზოგადოებულ ინტეგრალურ ფაქტიურ მაჩვენებელს, რისთვისაც ვიყენებთ (2) მოცემულ მათემატიკურ მოდელს:

გამოითვლება შემდეგი გამოსახულებით:

$$O\Theta = \frac{\sum_{t=T_c}^T CF_{F,t} \times (I_{B,K,t} \times Z_0 \times I_{S,t})^{-1}}{\sum_{t=T_c}^T 3_t \cdot G_{F,t} + \sum_{t=T_c}^T K'_t \alpha_H \left(1 + \frac{N_t - I_t}{1 + I_t}\right)^{T-1} \cdot (G_{F,t} + E_{H,t} \cdot (\sum_{t=T_c}^T K_t - \sum_{t=T_c}^T K_{t-1} \cdot E_{H,t-1})) \left(1 + \frac{N_t - I_t}{1 + I_t}\right)^{T-1} \cdot G_{F,t}} \quad (2)$$

$O\Theta$ – ეფექტიანობის განზოგადოებული ინტეგრალური მაჩვენებელი

ინფლაციის მაჩვენებელი 0-ის ტოლია. ინვესტიციების შეფასებისათვის არებულია 2015 წელი

$T_c=5$ წ. K_t ინვესტიციების მოცულობა. R_t დაგროვების რეალური წლიური განაკვეთი

გამოითვლება ფორმულით

$$R_t = \frac{N_t - I_t}{1 + I_t} \quad (3) \text{ და უდრის } 6,5\%.$$

შემოსავლების განსაზღვრა და ხარჯების სტრუქტურის გამოითვლება ფორმულით:

$$P_t = Q_t + \Delta P_t + CK_t + ZK_t + A_t$$

$$\frac{(3140000 + 4500000)(1 + 0,065)}{1200000 + 4500000(1 + 0,065)} = 1,34$$

ფარავანჰესზე ინვესტიცია შეადგენს 180,000,000 ლარს. ცნობილია, რომ სესხის პროცენტი შეადგენს 6,5%, ხოლო სესხი აღებულია 15 წლით. სესხის მოცულობა არის 120,000,000 ლარი, ხოლო საკუთარი კაპიტალის-60,000,000 ლარი. ყოველწლიური შესატანი სესხის პროცენტის და ძირის დასაფარავად შეადგენს 12,760,000 ლარს. ფინანსური მოდელი აგებულია 20 წლიან პერიოდზე. ფინანსური შეფასებისათვის გამოყენებულია წმინდა დისკონტირებული შემოსავლის მაჩვენებელი, შემოსავლის შიდა ნორმა და გამოსყიდვის პერიოდი. 20 წლიანი ფინანსური მოდელის მიხედვით, წმინდა დისკონტირებულ შემოსავლებს გააჩნიათ დადებითი მნიშვნელობა, რაც აღნიშნული საინვესტიციო პროექტის ფინანსური ნაკადების დადებით მაჩვენებელსა და მის ეფექტიანობაზე მეტყველებს. შემოსავლის შიგა ნორმა 7%-ის ოდენობით საკმაოდ კარგი სიდიდეა, ხოლო გამოსყიდვის პერიოდი შეადგენს 11 წელიწადს.

დასკვნა

1. დახასიათებულ იქნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების ტენდეციები 2005-2015 წლებში და გაანალიზებულია სამომავლო განვითარების გეგმა.
2. დასაბუთებულია ელექტროსისტემის ელექტრო სადგურებში დადგმული სიმძლავრის გამოყენების ეფექტიანობა. დახასიათებულია საქართველოს ელექტრობალანსის პარამეტრები და დადგენილია მისი სრულყოფის პირობები.
3. ახალი სიმძლავრეების ამოქმედების ეტაპების გამოკვლევის შედეგად დადგენილია საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების პრობლემები.

4. კონკრეტულ ენერგო ობიექტზე დასაბუთებულია მეზობელ ქვეყნებთან სიმძლავრის მიმოცვლა და ახალი სიმძლავრის ამოქმედების შედეგად მიღებული ეფექტი.
5. დადგენილია ახალი სიმძლავრის ამოქმედებაზე ინვესტიციების გამოყენების ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში.
6. გამოკვლეულია ახალი სიმძლავრეების ამოქმედების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში.
7. დამუშავებულია გრძელვადიანი ფინანსური მოდელის გამოყენებით (20 წლიანი) კონკრეტული ელექტროსადგურის საქმიანობის ფაქტობრივი მაჩვენებლების საფუძველზე ინვესტიციების ეფექტიანობა, სემოსავლის შიდა ნორმა და გამოსყიდვის პერიოდი. ფინანსური მოდელი სასულალებს გვაძლევს განვაზოგადოთ მისი გამოყენების სფერო საერთოდ ენერგეტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Лившиц В. Шахназаров А. Виленский П. О Методологии оценки эффективности реальных инвестиционных проектов. Российский экономический журнал. 2006. №9-10
2. ჯაფარიძე დ. გაჩეჩილაძე ზ. “ენერგეტიკულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების მაჩვენებლის განსაზღვრა”. საქართველოს ეკონომიკა, №3, გვ. 56-61, 2010 წ.
3. ჯაფარიძე დ. საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება ენერგეტიკაში. თბილისი: “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009 წელი.
4. ჯაფარიძე დ. ენერგეტიკის განვითარების პროგნოზირება. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი. 2006 წ.
5. მახვილაძე რ. მახვილაძე კ. ჩოგოვაძე ჯ. ჭელიშვილი დ. გოგოლაძე ი. ინვესტიციების თეორია და ანალიზი. I ნაწილი, თბილისი: “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2005 წ.
6. საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება “ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიის, დადგენის წესებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ. 1998 წ.
7. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის წლიური ანგარიშები. www.esco.ge
8. ზედგენიძე ნ. საინვესტიციო პროექტების შემუშავების გადაწყვეტილებები. “საქართველოს ეკონომიკა”, №4გვ. 64-65, 2006 წ.
9. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ეს ბრძანებულება “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები”, 2006 წ.
10. ჯაფარიძე დ. გაჩეჩილაძე ზ. “ენერგო საწარმოების მშენებლობაზე განხორციელებული კერძო ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება”. №7(151), გვ. 72-77, 2010 წ

რეზიუმე

ფარავანი ჰესზე განხორციელებული ინვესტიციების ეფექტურობის განსაზღვრა გურამ ამყოლაძე, დავით ბაკანიძე

ფარავანი ჰესის 2014 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შეყვანამ საქართველოს ჯამურ სიმძლავრეს დაემატა 87,6 მგვტ. ამ მოვლენამ გააუმჯობესა სამხრეთ საქართველოს რეგიონების ელექტროენერჯით უზრუნველყოფა.

ფარავანი ჰესს თავისი გეოგრაფიული გაადგილებით მნიშვნელოვანი პოზიცია უჭირავს. მის მიერ წარმოებული ელექტროენერჯია ინტერესს წარმოადგენს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ელექტროენერჯის მომხმარებლებისათვის. საბაზრო პირობები, რომლებიც მოქმედებს ამ ორ ქვეყანაში, ფარავანი ჰესს აძლევს მანევრირების საშუალებას და ამით ახერხებს წარმატების მიღწევას.

განვილილი ორი წლის განმავლობაში ფარავანი ჰესის საქმიანობა ეფექტიანი გახდა. ამის წინაპირობა ჩადებული იყო საინვესტიციო პროექტის განხორციელების პირობებში და ეს დადასტურდა ფაქტობრივი მაჩვენებლებით, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ინვესტიციების გამოყენების ვადა და სესხის დაფარვის პერიოდი შეადგენს 11 წელს ნაცვლად 20 წლისა.

საკვანძო სიტყვები: სიმძლავრე, ელექტროენერჯია, საქმიანობა, საინვესტიციო პროექტი, ეფექტურობა.

Резюме

Гурам Амколадзе, Давид Баканидзе

Определение эффективности осуществленной инвестиции на Паравани ГЭС

В конце 2014 г. в эксплуатацию ввели Паравани ГЭС на р. Паравани. Мощность Грузии получила дополнительно 87,6 мВт от Паравани ГЭС. Ввод в эксплуатацию Паравани ГЭС значительно улучшил снабжение электроэнергией в южном регионе страны.

Своим географическим расположением Паравани ГЭС имеет очень выгодную позицию. Произведенная ГЭС-ом электроэнергия является необходимой для потребителей как Грузинской стороны так и для Турецкой Республики. Условия рынка часто меняются, и меняются уровни цен на электроэнергию, что дает ГЭС возможность маневрировать и достигать успехов.

За прошедшие два года деятельность Паравани ГЭС стала эффективной, предпосылка этому была заложена в инвестиционном проекте, что и подтвердилось фактическими показателями и эффективной деятельностью. Это дает возможность Паравани ГЭС покрыть банковский кредит за 11 лет вместо 20-ти.

Ключевые слова: Мощность, электроэнергия, деятельность, инвестиционный, проект, эффективность.

Summary

Guram Amkoladze, David Bakanidze

Determination of efficiency of the performed investment at Paravani hydroelectric power station

In the end of 2014 Paravani hydroelectric power station was put into operation on the river Paravani. Georgia received additional capacity of 87,6 MWt from Paravani hydroelectric power station. Operation of Paravani hydroelectric power station has considerably improved electric power supply in the southern region of the country.

Paravani hydroelectric power station has very advantageous geographical location. The electric power produced by hydroelectric power station is necessary for consumers from Georgian side as well as for the consumers of the Republic of Turkey. Market conditions are often changing and to change the level of prices for the electric power that gives opportunity to change and handle prices to achieve success.

For last two years activities of the Paravani hydroelectric power station became effective, the prerequisite to it was set in the investment project, as was confirmed by the actual indicators and effective activities. It gives the chance to cover a bank loan in 11 years instead of 20.

Keywords: Power, electric energy, activity, investment, project, efficiency.

სამართალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემა

თ. აბულაძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი

შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მეტად სათუთი საკითხია, ვინაიდან არასრულწლოვანი ჯერ კიდევ იმყოფება ჩამოყალიბების პროცესში, მისი ფსიქიკა ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. სწორედ ამიტომ ამ საკითხს ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორები, რაც გულისხმობს ყველა იმ გარემოების გათვალისწინებას, რამაც შეიძლება გავლენა

იქონიოს არასრულწლოვანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე. ჩვენი მიზანია გამოკვეთოთ და დავამუშავოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ბუნდოვანი საკითხები, ასევე შევიმუშავოთ რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ნათელი მოეფინოს რიგ ბუნდოვან საკითხებს და გაამარტივებს აღნიშნული კოდექსის პრაქტიკაში გამოყენებას. არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებისას სპეციფიკური მიდგომის აუცილებლობაზე საუბრობს კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში, ბატონი მორის შალიკაშვილი, რომელიც მიუთითებს არასრულწლოვანის ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და სოციალურ ასაკზე, მათ სხვაობასა და მნიშვნელობაზე.

მირითადი ტექსტი

2007 წლიდან საქართველო ხელმძღვანელობს ერ-რიადის სახელმძღვანელო პრინციპებით, რაც გულისხმობს არასრულწლოვანთა განათლებაზე ზრუნვას, განსაკუთრებით კი პრობლემური არასრულწლოვნების განათლებაზე. გარდატეხის პერიოდში არასრულწლოვნებს უჩნდებათ პროტესტის გრძნობა, რაც ხშირ შემთხვევაში სრულწლოვანების შემდეგ თავისთავად ქრება, თუმცა, თუ არასრულწლოვანს ვუწოდებთ დამნაშავეს ან კანონის დამრღვევს, ეს კიდევ უფრო განაპირობებს მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენას.

ე.წ. პეკინის წესები პირველი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც მთლიანად ადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების წესებს, რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს გამოიყენონ ყველა შესაძლო რესურსი, რათა თავიდან იქნას აცილებული არასრულწლოვანთა მიმართ კანონის გამოყენება.⁴

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია პირველი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, ბავშვთა თავისუფლების აღკვეთაზე საერთაშორისო სამართლებრივ რეგულირებასთან მიმართებით ერთიანი მიდგომის შესამუშავებლად. ეს კონვენცია იცავს თავისუფლებადკვეთილ არასრულწლოვნებს მათი სამართლიანი პროცესის დარღვევისაგან და ასევე მათი პიროვნული უფლებების ხელშეუხებლობას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მათ შორის 2010 წელს მიღებული მედიაციისა და განრიდების შესახებ კანონი, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა მხოლოდ არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ.

2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან შევიდა, რაც თავის მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ამით მოხდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოყოფა. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ კოდექსის ამოქმედებასაც თან ახლავს რიგი პრობლემები - მათ შორის, ამ კანონის პრაქტიკული გამოყენებისას, გადამზადებულ

⁴ ლ.ფაფიაშვილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი

კადრთა სიმცირის გამო, ასევე პრობლემას ვაწყდებით ტერმინთა განმარტებისას. ამ კანონის თანახმად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს შესაბამისად გადაზადებული და სერტიფიცირებული კადრები, იქნება ეს პოლიცია, პროკურორი, ადვოკატი თუ მოსამართლე. თუმცა, აქ არსებობს ერთი პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს გადაზადებულ კადრთა ნაკლებობიდან. კადრების გადამზადება დაიწყო ამ კანონის მომზადების პარალელურად, რამაც განაპირობა შესაბამისი კადრთა სიმცირე. გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სერტიფიკატი, რომლის მიღებაც მათ შეუძლიათ მხოლოდ შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდეგ. თუმცა, ამ გამოცდის ჩაბარებას ყველა გადაზადებული პირი ვერ ახერხებს და აქედან გამომდინარე წარმოიქმნა პრობლემა პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით და არა მარტო ამ პრობლემის გამო, ასევე საჭირო გახდა რიგი ნორმების გაუქმება და ახალი კანონის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონის ერთადერთი კომენტარი არსებობს, რომელიც ახალი გამოსულია და დამუშავდა ალექსანდრე კვამილავასა და აპოლონ გადელიას მიერ. ამ კომენტარებში გაანალიზებულია და მოცემულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონში მოცემული რამოდენიმე მუხლის განმარტება. განსაკუთრებით კი დეტალურად არის გაანალიზებული არასრულწლოვან ბრალდებულთა და დაზარალებულთა უფლებები, თუმცა, ამ კომენტარების გამოყენება დამხმარე ლიტერატურად საკმაოდ რთული იქნება, რადგან ავტორთა მოსაზრებით კანონმდებლობა მეტად ჰუმანურია. არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ “არასრულწლოვანთა საქმეებში სისხლის სამართლის პროცესი მოიცავს სასჯელის მოხდას რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას, რაც არასრულწლოვანთა საქმეების თავისებურებად მიიჩნევა. თუმცა საქმის წარმოებისა და სასჯელის მოხდის პროცესი და მასთან ერთად რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის პროცესი აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან სრულწლოვნებში და არასრულწლოვნებში, მაგრამ მაინც რადგანაც მართლმსაჯულება საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პროცესის წარმოების ბოლო სტადიაა, ჩვენი აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის დამთავრებულად გამოცხადება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის მომენტიდან.” აქ ნათლად ჩანს ავტორთა მოსაზრება არასრულწლოვან ბრალდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიმართ, რაც ავტორთა აზრით არ უნდა ითვლებოდეს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის ნაწილად. ამავე კომენტარებში ვაწყდებით უარყოფით დამოკიდებულებას არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის უმაღლესი საზღვრის დაწესებასთან მიმართებაში, ეს კი, ავტორთა აზრით, არამცთუ შეამცირებს არამედ გაზრდის დანაშაულთა რიცხვს, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ არასრულწლოვანის დასაქმებაზე ზრუნვა, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია, პირიქით, გაზრდის დანაშაულთა რიცხვს – ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი ბოლომდე ვერ გააცნობიერებს თავის ქმედების მართლწინააღმდეგობას. აქვე აღნიშნულია, რომ სრულიად უუფლებოდაა დატოვებული

დაზარალებული, მათ შორის არასრულწლოვანიც. ამ კომენტარის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ერთ მხარეს არის პროკურატურა და ბრალდებული, ხოლო მეორე მხარეს დაზარალებული, რაც რეალურად ასე არ არის. კანონი იცავს ორივე მხარეს, თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და პეკინის წესები, რომელიც მოითხოვს არასრულწლოვანთა მიმართ კანონის გამოყენებას მხოლოდ უკიდურესობისას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილში ტერმინთა განმარტებისას ვაწყდებით პრობლემას, რაც გულისხმობს ახლო ნათესავის დეფინიციას. ახლო ნათესავად კი მოხსენიებული მშობელი. აქვე ჩნდება კითხვა: თუ მშობელი ახლო ნათესავია, მაშინ ვინ შეიძლება იყოს ოჯახის წევრი?! მაშინ, როდესაც ამავე მუხლის ამავე ნაწილში მეუღლეც ახლო ნათესავია, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით 18 წლამდე ქორწინება აკრძალულია. ამ მუხლის თანახმად არასრულწლოვანს ოჯახის წევრი საერთოდ არ ჰყავს?! აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ოჯახის წევრი არის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, გერი, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ტერმინი ოჯახის წევრი საერთოდ არ გვხვდება. რადგან ეს ესეა, მაშინ ბუნდოვანი ხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 49-ე მუხლის პირველ ნაწილში ტერმინი "ხოლო თუ ეს შეუძლებელია" გამოყენება, "არასრულწლოვნის დამკავებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი მისი დაკავებისთანავე იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნის მშობელს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სხვა ახლო ნათესავს ან/და არასრულწლოვნის მიერ მითითებულ სხვა პირს დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს." აქედან გამომდინარე აქ არასრულწლოვანი გვევლინება დამოუკიდებელ პიროვნებად, მაშინ როდესაც კანონით სავალდებულოა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მაშინ რა საჭიროა აღნიშნული ინსტიტუტი?!

კითხვას ჰბადებს ასევე ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-3 ნაწილი "არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვისას ჰყავდეს ადვოკატი. ზეპირი მოსმენის დაწყებამდე არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს განმარტება ადვოკატის მოწვევის უფლება, რომელიც შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში ხორციელდება განმარტებიდან 6 საათის განმავლობაში. თუ დადგინდეს ვადაში ადვოკატი არ გამოცხადდება, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება", შესაბამისი თანხმობის მიღებიდან 6 საათის განმავლობაში, რა სახის თანხმობაზეა ამ შემთხვევაში საუბარი და ვისი მხრიდან თანხმობაზე?! მაშინ როდესაც ძირითად შემთხვევებში განაჩენის გამოტანის შემდეგ გასაჩივრებას თუ არ აქვს ადგილი ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა სრულდება, როგორ უნდა მოახერხოს არასრულწლოვანმა ადვოკატის წარდგენა და მაშინ თუ ეს ვერ ხერხდება მოიწვევა საზოგადოებრივი ადვოკატი რომელიც პირველად სწორედ ამ მუხლში გვხვდება, რაც კიდევ ერთ ბუნდოვანებას იწვევს ვინ არის საზოგადოებრივი ადვოკატი?!

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აღნიშნული კანონი დახვეწას საჭიროებს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ კოდექსით მოხდა არასრულწლოვანთა რიგი ინტერესების დაცვა და მათ შორის, შემცირდა ბრალდებულად ყოფნის ვადა, რომელიც განისაზღვრა ექვსი თვით. ასევე, შემცირდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში დასაშვებობისა და საქმის განხილვის ვადები. ამავდროულად, სასურველია და აუცილებლობასაც კი წარმოადგენს, რომ უმოკლეს დროში მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარების მიღება საკანონმდებლო ორგანოს, ან იმ პირთა მიერ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა პროექტის მომზადებასა და მიღებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული მთელი რიგი ბუნდოვანებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია. გაერო. 1989 წ.
2. გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების სტანდარტული მინიმალური წესები (ე.წ. პეკინის წესები). 1985 წ.
3. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ. 1999.
4. ლ. ფაფიაშვილი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი. 2008.

რეზიუმე

თეა აბულაძე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემა

წინამდებარე სტატიაში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ბუნდოვანი საკითხები, რომელთა შემდგომში მათი სიდრმისეული შესწავლა-ანალიზი უთუოდ მოგვეცემს საფუძველს შევიმუშავოთ რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, რითაც შესაძლებელი იქნება ნათელი მოეფინოს რიგ ბუნდოვან საკითხებს, დახვეწოს და გამარტივოს აღნიშნული კოდექსის ნორმათა სწორად, იურიდიულად და გამართულად გამოყენება პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, ე.წ. პეკინის წესები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, არასრულწლოვანი, სრულწლოვანი, ახლო ნათესავი.

Резюме

Тейя Абуладзе

Некоторые проблемы правосудия в отношении несовершеннолетних

В данной статье обсуждаются спорные вопросы кодекса правосудия над несовершеннолетними, последующее изучение и анализ которых бесспорно позволит нам разработать рекомендации для предотвращения данных проблем, благодаря которым будут разъяснены многие спорные вопросы, будет утончено и упрощено правильное, юридически точное использование вышеупомянутых норм в практике.

Ключевые слова: Конвенция ООН по правам детей, т.н. Пекинские правила, Кодекс ювенальной юстиции, несовершеннолетний, совершеннолетний, близкий родственник

Summary

Tea Abuladze

Some problems in juvenile jus

In the following article are discussed obscure issues of Juvenile Justice Code, which, after deep research-analysis, will certainly give us a basis to work out recommendations to avoid the following problems, which help us to understand several obscure items, to improve and simplify the accurate, legally and coherent implementation into practice norms of the above mentioned Code.

Key words: United Nations Children's Rights Convention, the so-called Beijing Rules, the Juvenile Justice Code, a minor, an adult, a close relative.

ისტორია

ქართული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა და საქართველოში მცხოვრები
ეროვნული უმცირესობები

ნაწილი I - ცნებები და მათი განსაზღვრება

პ. ჩიქოვანი

უნივერსიტეტი “გეომედი”, საქართველო, თბილისი, chikovani.paata@yahoo.com

შესავალი

ეთნიკური ჯგუფები (Ethnic Group) – ადამიანთა ერთობა, რომლის წევრებსაც აქვთ საერთო ისტორიული მემკვიდრეობა და საერთო წარმომავლობის მითი. ეთნიკურ ჯგუფს აქვს სხვებისგან განსხვავებული, სპეციფიური კულტურა.

80-იანი წლების შუა ხანებიდან, როცა გამოქვეყნდა ბრიტანელი სოციოლოგის ენტონი დ. სმიტის (Antony Smith) ნაშრომები, პოპულარული გახდა ეთნიკს (Ethnie) – ცნება. სმიტის აზრით, ეთნიკს იგივეა, რაც ეთნიკური ჯგუფი, მაგრამ ამ ცნებით უფრო დიდ ერთობებს აღნიშნავენ. იგი

შეიძლება მიხნეულ იქნას ნაციის წინამორბედ ფორმად, ნაციის წინარე ეპოქის საკაცობრიო მრავალფეროვნების ძირითად კულტურულ ერთეულად. შესაბამისად, ნაცია ძველი ეთნიკური თანამედროვე ვერსიისაა, რომელიც მისი განვითარების შედეგად ყალიბდება.

ძირითადი ტექსტი

ეთნოსი (ბერძნული სიტყვა - Ethnos) ნიშნავს “ხალხს”. ის, ჩვეულებრივ, გამოიყენება არაბერძნული ხალხის აღსანიშნავად. მოგვიანო პერიოდის ლათინურ-კათოლიკურ სივრცეში მას დაემატა კიდევ ერთი მნიშვნელობა – წარმართები. მკვლევართა ნაწილი ეთნოსს განმარტავს როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ მტკიცე ერთობას, რომელსაც აქვს საერთო, სტაბილური მახასიათებლები: ენა, კულტურა, ფსიქიკა, ერთიანობის განცდა. სხვები, ეთნოსის მთავარ მახასიათებლად, ფსიქოლოგიურ მსაზღვრელებს მიიჩნევენ: თვითშეგნებას (იდენტობას) და ქცევის სტერეოტიპებს. ეთნოსი შეიძლება, ასევე, განისაზღვროს როგორც ინდივიდთა მტკიცე ერთობა, დამყარებული საერთო წარმომავლობაზე, ისტორიაზე, ენაზე და კულტურაზე.

ნაცია (Nation) – ერი – სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცნების მრავალი განსაზღვრება არსებობს. სიტყვა ნაცია ლათინური წარმოშობისაა და მომდინარეობს სიტყვიდან *native*. ფართო გაგებით, ნაცია – ეს არის იმ ხალხის ერთობა, რომელსაც აქვს საერთო ისტორიული მემკვიდრეობა და საერთო წარმომავლობის მითი. მათ სწამთ, რომ აერთიანებთ საერთო სისხლი, ენა, კულტურა, რელიგია და სხვა ფაქტორები. როგორც უოლკერ კონორი (W. Connor) აღნიშნავს, “ნაციას საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური კავშირები, რომლებიც აერთიანებს ერთი ჯგუფის წევრებს და მიჯნავს მათ ყველა სხვა არაწევრისაგან”. ნაცია ი. სტალინის განსაზღვრების თანახმად, ეს არის ხალხის ისტორიული, სტაბილური ერთობა, რომელსაც ახასიათებს საერთო ენა, საერთო ეკონომიკური ცხოვრება, საერთო ფსიქოლოგია, რომელიც გამოიხატება საერთო კულტურაში. ნაცია არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ერთდროულად არსებობს ყველა ეს ფაქტორი.

დღეს ბევრი მკვლევარი იზიარებს შეხედულებას ნაციაზე, როგორც წარმოსახვით საზოგადოებაზე, რომელსაც აქვს საერთო ტერიტორია, ენა და კულტურა (ე. გელნერი, ბ. ანდერსონი და სხვ.). ეს წარმოსახვითობა მიიღწევა საერთო კულტურის გაერცვლებითა და გადაცემით (ჰომოგენიზაციის პროცესი), რომელიც წარმოშობს ნაციონალურ იდენტობას – ერთობისადმი მიკუთვნებულობის განცდას. ნაციას ხშირად განსაზღვრავენ როგორც “მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ ერთობას” (“community of memory”), ან “ეკონომიკურ ერთობას”. ასეთი ერთობის სიმყარე დამოკიდებულია წარსულის შეთანხმებულ, აღიარებულ ინტერპრეტაციაზე, რომელიც, ამავე დროს, დაკავშირებულია შესაძლო და სასურველი მომავლის სურათთან.

ქართულ ენაში ნაციის ცნება ერის სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება, რომელიც განიმარტება, როგორც ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული, მყარი, ერთობა, დამყარებული საერთო წარმომავლობაზე, კულტურაზე, თანაცხოვრების გამოცდილებასა და კომუნიკაციაზე. ერი ყალიბდება კონკრეტული ეთნოსის (სატიტულო ერი) საფუძველზე, თუმცა, შესაძლოა მოიცავდეს სხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში და, განსაკუთრებით, მასობრივ ცნობიერებაში, ერი ასოცირდება სახელმწიფოსთან და სახელმწიფო სუვერენიტეტთან. დამოუკიდებელი სახელმწიფო არის ერის განვითარების უმაღლესი ეტაპი და

ყველა ნაცია მიიღტვის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისაკენ. ეს შეხედულება, გარკვეულწილად, უკავშირდება “ერი-სახელმწიფოს” ცნებას. ავტორთა ნაწილი გარდაუვალ აუცილებლობად მიიხსენებს ერის სახელმწიფოებრივ ფორმირებას და გამოყოფს ე.წ. კულტურულ ერებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრივი ერთეულები და არ ისწრაფვიან მისი შექმნისკენ. ერების ისტორიული სწრაფვა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისაკენ გამოიწვია როგორც მათი წარმომადგენლების სურვილმა, გათავისუფლებულიყვნენ უცხო ნაციონალური ჯგუფების ბატონობისაგან, ასევე გარკვეული ეთნოსების მისწრაფებამ, განეგრცოთ საკუთარი მმართველობა სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე.

ეთნიკურობა/ეროვნება // – ამ ტერმინით აღინიშნება ჯგუფები, რომელთაც აქვთ საერთო ნორმები, რწმენა-წარმოდგენები, შეხედულებები. ხშირად, როცა ამ სიტყვას უმრავლესობის წარმომადგენლები იყენებენ, იგი აღნიშნავს უმცირესობად მიხნეულ ჯგუფ(ებ)ს, რომელთა მიმართ უმრავლესობას გარკვეული დამოკიდებულება აქვს. მეორე მხრივ, თავად უმცირესობის წარმომადგენლების მიერ, აღნიშნული ტერმინის გამოყენება, ასახავს საკუთარი განსხვავებულების თვითაღქმას. შესაბამისად, ტერმინს შეიძლება თანაბრად ჰქონდეს როგორც გამაერთიანებელი (ჯგუფი, გაერთიანებული საერთო მახასიათებლებით), ასევე გამყოფი (ჯგუფი, რომელიც სხვებისაგან განსხვავებულია) მნიშვნელობა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ მიმართავს ამ ტერმინს, რისთვის და რა კონტექსტში. თუ პირველი მნიშვნელობით იგი ერთმანეთთან აკავშირებს კონკრეტული ჯგუფის წევრებს, მეორე შემთხვევაში იგი შეიძლება სტერეოტიპიზაციის საფუძველი გახდეს.

უმცირესობა // – სოციალური ჯგუფი, რომელიც რაოდენობრივად ნაკლებია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან შედარებით. არცთუ იშვიათად, ტერმინი აღნიშნავს ამ ჯგუფის დაქვემდებარებულ ან მარგინალურ მდგომარეობას, არათანაბარ უფლებებს, ძალაუფლების არქონას და სტერეოტიპულ წარმოდგენებს უმრავლესობის მხრიდან. მკვლევართა ნაწილი საუბრობს “უმრავლესობის ტირანიაზე”, რაც გულისხმობს უმცირესობის უფლებების დათრგუნვას “უმრავლესობის აზრის” სახელით.

უმცირესობად ყოფნა ყოველთვის არ არის განპირობებული რიცხოვრივი სიმცირით, ზოგჯერ ის შეიძლება ჯგუფის სპეციფიკური კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით იყოს გამოწვეული, რომლებსაც ემყარება ფასეულობათა სისტემა და ცხოვრების წესი, რომელიც განსხვავებული ან, ზოგჯერ, შეუთავსებელიც კი არის გაბატონებული ჯგუფის კულტურასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში “უმცირესობის” სახელით აღნიშნავენ 4 სხვადასხვა ჯგუფს: 1) ავტოქტონ, ადგილობრივ (ინდიგენურ) მოსახლეობას, რომელიც ქვეყნის უძველესი მოსახლეობის შთამომავალია; 2) ტერიტორიულ უმცირესობას – კონკრეტულ ტერიტორიაზე ხანგრძლივად მცხოვრებ ჯგუფებს; 3) არატერიტორიულ უმცირესობებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კონკრეტულ ტერიტორიასთან (მაგალითად, მომთაბარეები); 4) იმიგრანტებს /2/.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ადვილი ავტოქტონური/ინდიგენური მოსახლეობის განსაზღვრა. მის მახასიათებლად მიიხსენიან: ა) ჯგუფის წევრთა თვითიდენტიფიკაციას ინდიგენურ მოსახლეობად; ბ) ასეთად მათ იდენტიფიკაციას სხვების მიერ; გ) მჭიდრო კავშირს კონკრეტულ ტერიტორიასთან/მიწასთან და სპეციფიკურ დამოკიდებულებას გარემოსთან/ბუნებასთან; დ) ძირითადისაგან განსხვავებული სოციალური, ეკონომიკური,

კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტებისა და მათი მარეგულირებელი ტრადიციების არსებობას /2/.

განასხვავებენ ტრადიციულ და ახალ უმცირესობებს. პირველში იგულისხმება ჯგუფები, რომელთაც ამა თუ იმ ტერიტორიაზე/ქვეყანაში/სახელმწიფოში ცხოვრების ხანგრძლივი ტრადიცია და გამოცდილება აქვთ. ახალ უმცირესობებად კი იმ ჯგუფებს მიიჩნევენ, რომლებიც გლობალიზაციის თანამდევნი მიგრაციის პროცესში ჩნდებიან სხვადასხვა ქვეყანაში.

უმცირესობის კულტურა – რიცხოვრივად მცირე ან მარგინალიზებული ჯგუფის კულტურა, რომელიც განსხვავებულია გაბატონებული – უმრავლესობის კულტურისაგან. უმცირესობის კულტურის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია თვით უმცირესობის სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსზე, რადგან კულტურული ფასეულობები იერარქიზებულია – ზოგი მათგანი გაბატონებულია, ზოგი – მარგინალიზებული.

დღეს, საზოგადოებათა კულტურული კომპოზიცია სულ უფრო მრავალფეროვანი და რთული ხდება ერთი ქვეყნიდან მეორეში მიგრაციული პროცესების, სოფლებიდან ქალაქებისაკენ მოსახლეობის მოძრაობის გამო. ეს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკას და სისტემას.

მულტიკულტურალიზმი (მრავალკულტურულობა) აღნიშნავს საზოგადოების – ეთნიკურ, ნაციონალურ, ლინგვისტურ, რელიგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ მრავალფეროვნებას.

ინტერკულტურალიზმი – ეს ტერმინი აქცენტს აკეთებს არა მრავალფეროვნების არსებობის ფაქტზე, არამედ სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, ლინგვისტური ჯგუფის ურთიერთობაზე და საერთო გამოცდილების დაგროვებაზე დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის გზით.

ამ ორი ტერმინის შესაბამისად, არის ორი მიდგომა: მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება. პირველი ემყარება სხვა კულტურების შესწავლას მათდამი პატივისცემისა და ტოლერანტობის აღზრდის მიზნით. მეორე – გულისხმობს ნაბიჯების გადადგმას პასიური თანარსებობიდან მრავალკულტურულ საზოგადოებაში თანაცხოვრებისაკენ, ურთიერთგაგებისა და პატივისცემისაკენ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის დიალოგის გზით.

ინტერკულტურული განათლება არ არის სასწავლო პროგრამის უბრალო დანამატი, იგი მოიცავს მთლიანად სასწავლო გარემოს, სასკოლო და საუნივერსიტეტო გარემოს, მასწავლებელთა განათლებას და შემდგომ მომზადებას, მოსწავლეთა/სტუდენტთა ჩართულობას, სასწავლო მასალებით უზრუნველყოფას, უმცირესობათა ენების, კულტურის, ისტორიის შესწავლას.

ტერმინი ტოლერანტობა XVI საუკუნეში ლათინურ და ფრანგულენოვან ლიტერატურაში დამკვიდრდა და კონფესიურ განხეთქილებას დაუკავშირდა. ამ კონტექსტში მან, უპირველეს ყოვლისა, სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა მიმართ შემწვანარებლობის ვიწრო მნიშვნელობა შეიძინა. XVI-XVII საუკუნეებში რელიგიური ტოლერანტობა უკვე სამართლებრივ ცნებად გვევლინება. მთავრობები გამოსცემენ საგანგებო აქტებს, რომლებიც სახელმწიფო მოხელეებს და მართლმორწმუნე მოსახლეობას რელიგიურ უმცირესობასთან – ლუთერანებთან, პროტესტანტებთან პუგენოტებთან და პაპისტებთან მიმართებაში ტოლერანტულ ქცევას აკისრებდა.

“ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაციის” თანახმად, რომელსაც 1995 წლის 16 ნოემბერს, პარიზში, ხელი მოაწერა იუნესკოს წევრმა 185 სახელმწიფომ, ტოლერანტობა “მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმების და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც, რადგან იგი შესაძლებელს ხდის მშვიდობას, ეხმარება ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას” /3/.

როგორც მე-19 საუკუნის ამერიკელი იურისტი და მოაზროვნე ლობერტ ინგერსოლი ამბობდა, “ტოლერანტობა აძლევს ყველა ადამიანს ყველა იმ უფლებას, რომელთაც შენ შენთვის ითხოვ”.

“გმირობის გამოცდას ვაბარებთ მაშინ, როცა უმცირესობაში ვართ, ტოლერანტობის გამოცდას კი – უმრავლესობაში ყოფნის დროს” (რალფ ვაშინგტონ სოკმანი, ამერიკელი პასტორი).

ტოლერანტობის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ეთნიკურად, კულტურულად და რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანა. კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე არსებული ხალხებისათვის, რომელთაც საქართველოც მიეკუთვნება, მრავალკულტურული რეალობა არსებობის ჩვეულებრივი გარემო იყო. უძველესი დროიდან რეგიონში გადიოდა საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისაგან ჰყოფდა სხვადასხვა, არცთუ იშვიათად – დაპირისპირებულ კულტურულ-ცივილიზაციურ არეალებს. კაკასია წარმოადგენდა, ერთსა და იმავე დროს, ხიდსა და ბარიერს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აქ მუდმივად მიმდინარეობდა კულტურული ნაკადების შემოდინებისა და გადინების პროცესი. განსხვავებული კულტურული ტრადიციების ურთიერთქმედება და თანაარსებობა, როგორც წესი, არ აღიქმებოდა დაპირისპირებისა და კონფლიქტის წყაროდ.

დასკვნა

შუა საუკუნეებში თვითიდენტიფიკაცია გაცილებით მოქნილი და ინკლუზიური იყო, ვიდრე მოგვიანებით, ნაციონალურ პერიოდში. “უცხოვს” აღქმა მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული – პოლიტიკურზე, ეკონომიკურზე, ფსიქოლოგიურზე, დემოგრაფიულზე. ძნელია განისაზღვროს ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც განაპირობებდა “უცხოვს” ინტეგრაციას ან მიუღებლობას. ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიის საუკეთესო პერიოდში მრავალკულტურულ მეკვიდრეობას კი არ უარყოფდნენ, არამედ უფროთხილდებოდნენ, სრულიადაც არ უკავშირდება მხოლოდ ქართველთა განსაკუთრებულ შემწყნარებლობას, არამედ ეს იყო სრულიად ბუნებრივი და ერთადერთი შესაძლო ფორმა მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყნის არსებობის. იგი ყალიბდებოდა როგორც ადაპტაციური მექანიზმი რთულ და ცვალებად ცივილიზაციურ გარემოში მცხოვრები ამგვარი საზოგადოებებისათვის. გარდა ამისა, მსხველწილობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ნაციის, ნაციონალური

მიკუთვნებულობის, პატრიოტიზმის გაგება შუა საუკუნეებსა და ახალ დროში ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებულია. ეს ყველაფერი განაპირობებდა ზემოთ ნახსენებ მოქნილ და ინკლუზიურ თვითიდენტიფიკაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 Cultural Theory. The Key Concepts. Andrew Edgar, Peter Sedgwick (eds.). Routledge, 2008. p.114.
- 2 იუნესკოს გზამკვლევი ინტერკულტურული განათლებისათვის.
- 3 ნოვიკი ბენიამინ, ტოლერანტობის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები. “სოლიდარობა”, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი, 2006 წ. 3’06.

რეზიუმე

პაატა ჩიქოვანი

**ქართული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა და საქართველოში მცხოვრები
ეროვნული უმცირესობები**

ნაწილი I - ცნებები და მათი განსაზღვრება

სტატია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომთა კომპილაციას საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მცირე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.

სტატიაში განზოგადებულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი, რომელზეც დამყარებულია ქართული სახელმწიფო ეროვნული პოლიტიკა.

სტატიაში განმარტებულია ცნებები, ტერმინები და პრინციპები. მაგალითად: ეთნოსი, ნაცია, უმცირესობის კულტურა, მულტიკულტურალიზმი, ინტერკულტურალიზმი და ა.შ. წარმოდგენილი სტატიის პირველ ნაწილში, ასევე ვახვებით კულტურათა დიალოგს საქართველოს ისტორიის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: ეთნოსი, ნაცია, ეროვნული უმცირესობები.

Summary

Paata Chikovani

Georgian State National Politics and National Minorities Living in Georgia Part I - The Concepts and their definitions

The article represents the compilation of scientific works about the history of Georgian State National Politics in late twentieth and early twenty-first centuries.

Common to all mankind values, on which Georgian State National Politics is based, is generalized in the article.

Notions, terms and principles like ethnos, , culture of minority, multiculturalism, interculturalism and etc. are expounded in the article.

In the first part of the presented article, we also refer to intercultural dialogue, on the example of Georgian History.

Key words: Ethnos, nation, National Minorities.